სმაილსი

# თვით-მოქმედება

თარგმანი

ივანე ჰ. როსტომაშვილისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

თბილისი
როტინიანცისა და კ°. სტამბა
1885

5



სმაილსი

# თვით-მოქმედება

თარგმანი

ივანე ბ. როსტომაშვილისა

31200

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

სსსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი
როტინიანცისა და კ°. სტამბა
1885

Дозволено цензурою въ Тифлисѣ 17 Іюля 1884 г.

# წინასიტყვაობა.

«თვით-მოქმედება» არის იმ გვარი მოქმედება, ანუ საქმიანობა, რომელიც წარმოსდგება თვით ადამიანის საკუთარის ნება-ყოფლობისაგან, საკუთარი შინაგანი ძალებისაგან.

ჩემის მხრით, ამ საქმისათვის, მე ამ წიგნით მინდოდა მეჩვენებინა ჩემი თანამემამულეებისათვის, რომ ყოველი საქმის წარმატება უწინარეს ყოველთა, ითხოვს ამ საქმის ყოვლის მხრით შესწავლას, აწონვას და განსჯას. თვით-მოქმედებაც ერთი იმ გვარი საგანეთაგანია, რომელიც თხოულობს ღრმად შესწავლას, რომ შემდეგში მომქმედებმა უფრო კარგად და წარმატებით თვით იმოქმედონ. რასაკვირველია, თქმა არ უნდა, რომ თვით ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრებიდამ შეიძლებოდა მრავალი თუ არა, ცოტა მაინც, იმ გვარი მოქმედების მაგალითები გვეპოვნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ-ერთი, რომ ამ გვარი პირების მოქმედების მოთხრობები თითქმის სრულიად არა გვაქვს და მეორე ის, რომ ჩვენი წინაპრების მოქმედების მიმართულება სხვა იყო, ე. ი., რომ ისინი თავიანთ თვითმოქმედებას იჩენდნენ მხოლოდ და უფრო მეტად სამხედრო ასპარეზზე და არა ხალხის შინაგანი ცხოვრების განვითარებაში და წინ-წაწევაში. ამიტომ მე განვიფიქრე და ინგლისის მწერლის — სმაილსის თხზულება „თვით-მოქმედება» ქართულად ვთარგმნე.

თვით თარგმნაზედ უნდა ვსთქვა, რომ მე გადმოვთარგმნე მხოლოდ თვითონ დედანის ნაწილი, დამატებანი კი, რომელიც რუსის მთარგმნელს შეეტანა, გამოვაკელ, რომ წიგნი უფრო მცირე და მაშასადამე იაფი გამოსულიყო. ამ დამატებანის და თვითონ სმაილსის დედანიდამ მრავალი წვრილმანი ადგილების გამორიცხვა იმიტომ გავბედე, რომ ისინი გარდამეტებით აჭიანურებდენ ამ წიგნს და ხდიდენ მას ძალიან მძიმე და უხალისო საკითხავ წიგნად. მე ვცდილობდი მხოლოდ ის ადგილები გადმომეღო, რომელნიც ნათლად და მარტივად ხატვენ წიგნის უმთავრეს საგანს.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ დროებამდე სხვა კაცთა მაგალითებმა მაინც განაცხოველონ ჩვენში ეს შეუნაცვლებელი, კერძო პირების ენერგიული თვით-მოქმედების ძალები.

ეს წიგნი დაარწმუნებს ამ უკანასკნელებს, რომ მხოლოდ თვით მოქმედება, მხოლოდ კერძო პირების მუდმივ, დაუღალავ, შეურყეველ და ხანგრძლივ თვით-მომქმედ შრომაზე და ენერგიაზე არის დამოკიდებული ყველა საქმის წარმატებით წარმოება...

ივ. პ. როსტომაშვილი.

# თვით-მოქმედება.

## I.

### თვით-მოქმედება პირადი.

რა არის თვით-მოქმედება? თვით-მოქმედება არის იმ გვარი მოქმედება ანუ საქმიანობა, რომელიც წარმოსდგება, როგორც კერძო პირთა თავისი თავის ნებაყოფლობისაგან და მის საკუთარ შინაგან ძალებისაგან. კიდევ სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, თვით-მოქმედება იმისთანა მოქმედება ანუ საქმიანობა არის, რომელსაც ადამიანი მხოლოდ თავის თავზედ, თავის გამოცდილებაზე, გამჭრიახობაზე და შეუწყვეტელ მეცადინეობაზე ამყარებს და ყოველ სიძნელის და ჭირის მიუხედველად მოქმედებს და იღწვის არჩეულის მიზნისათვის იმ იმედით, რომ ეს ღვაწლი მას მუქთად არ ჩაუვლის. ამ გვარი თვისება აუცილებლად საჭიროა ზოგიერთა ადამიანისათვის, თუ ამათ მართლა სურთ მოიპოვონ რამე კეთილ-მყოფობა. მხოლოდ თვით-მოქმედება არის ერთად-ერთი წყარო ადამიანის სიმხნესა, ახოვნებისა და ძალისა. გარეგანი შემწეობა რამე საქმეში ადამიანს მხოლოდ აუძლურებს, მაშინ, როდესაც შემწეობა

რომელიც გამომდინარეობს თვით ადამიანის საკუთარი ძალიდგან, უთუოდ აძლიერებს მას. ჩვენში დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველი ჩვენი ბედი და უბედობა, ყოველმხრივი კმაყოფილება და ნეტარება უფრო დამოკიდებულია მართებლობაზე, ვიდრე თვით ჩვენ საკუთარ მოქმედებაზე და მეცადინეობაზე, საუკუნოებითმა გამოცდილებამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ღირსება და წარმატება რომელიმე ხალხისა უფრო დამოკიდებულია იმ კერძო პირების საკუთარ თვისებებზე, რომელნიც ეკუთვნიან ამ ხალხს, ვიდრე მათ მართებლობაზე. ამიტომაც არის, რომ უპირატესი ყურადღება და ძალა ყველა ხალხისა უნდა მიმართული იყოს შესწავლაზე, იმ კერძო პირების ყოველ მხრივ გახსნაზედ და სრულ-ყოფაზე.

თუ ხალხის კერძო პირების შრომას, ენერგიას და პატიოსნებას დაბრკოლება არა აქვს-რა, — იგინი წინ მიდიან და სახელი მათი რჩება უკვდავად უკუნითი-უკუნისამდე. უკვდავად. წინააღმდეგ ამისა, ზოგან ამ ხალხის კერძო პირების სიცოცხლე მხოლოდ უსაქმობაში, ვიწრო თავის-თავის მოყვარეობაში და სიბილწეში ილევა.

ყველა ის ნაკლულევანებანი, უწესოებანი და სხვა მრავალი ქვეყნის დამღუპველი სენები, რომლებსაც ჩვენ ზიზღით ვიხსენიებთ და წამ-და-უწუმ ვაძაგებთ ხოლმე, მომეტებულად წარმოსდგებიან თვით ჩვენი უწესო ცხოვრებისაგან. ამიტომ, რამდენიც უნდა ვეცადოთ ამ დამღუპველი სენის აღმოფხვრას კანონის და მართებლობის შემწეობით, მაინც ვერას გავხდებით იმ დრომდე, ვიდრე თვით ჩვენი საკუთარი ცხოვრების პირობები და ხასიათი არ იქნებიან ძირეულად შეცვლილნი კარგ-

ზე. აი ეს არის მიზეზი, რომ ყველა ნამდვილი ქვეყნის შვილის ფიქრი და მიზანი სამშობლოს კეთილ-მყოფობისა უნდა მიმართული იყოს მომეტებულად იმაზე, რომ ამით თუ იმით წააქეზოს კერძო პირები საკუთარ კეთილ-განვითარებამა და სრულ-ყოფაში.

ყოველი ადამიანის წარმატება დამოკიდებულია არა გარეგან გამგებლობაზედ, არამედ მხოლოდ მის ცოდნაზე: «წესიერად განაგოს საკუთარი თავი». მონად შეგვიძლიან უწოდოთ არა იმას, ვისაც არ ძალუძს განირიდოს საკუთარი უმეცრება, ვიწრო თავის-მოყვარეობა და ბიწიერი გულის-თქმანი.

ეს თვით-მოქმედობითი ხასიათი, რომელიც აჩვევს ადამიანს, «რომ იგი იმედოვნებდეს მხოლოდ საკუთარ ღონეზედ». ყოველთვის იყო და ახლაც არის განმასხვავებელი თვისება ინგლისელების ხასიათისა. უცხო ქვეყნის მოთვალიერებლებმა დიდი ხანია შენიშნეს ინგლისელებში ეს პიროვნული ენერგიის გახსნილობა. ამ კერძო ენერგიული ნიჭიერთ პირების შემწეობით არსდებიან ინგლისში ურიცხვი საცხოველ-მოქმედო საზოგადოებანი; ამ ენერგიით სავსე პირების გარშემო თავს იყრიან სხვა ნიჭიერნი პირნი; მთელი საზოგადოება ცოცხლდება და ყველა ამით წარმატება შედის თვით მთელ ხალხშიაც. აი ამ გვარი ცოცხალი და მომქმედი საზოგადოებანი უნდა ჩავთვალოთ ჩვენ უპირატეს და უფრო გამოსაყენებელ სასწავლებლებად, ვიდრე თვით სასწავლებელნი. და ეგრეც არის: უფრო მაღალ—ხარისხოვანი და გამოსაყენებელია ის აღზრდა, რომელიც ინგლისელების შვილებს ეძლევა (შკოლას გარდა) თვი-

თონ შინ, ქუჩებში, სახელოსნოებში, ქარხნებში, საჯეიქროს და გუთნის წინ და საზოგადოთ ყველგან თავისუფალ ცხოვრებაში. ყველა ეს პირობები ზრდიან საქმეში დახელოვნებულ ინგლისელებს; ამ გვარი აღზრდა ჰხდის ინგლისელს ნიჭიერ მუშად და აძლევს შეძლებას: «შეიქმნეს მომავალში კაცურ კაცად». ამ თავისუფალ აღზრდას, რომლითაც შეიმუშავებიან საზოგადოების წევრნი, შილლერმა (შილლერი იყო ნემეცების უწარჩინებულესი მოლექსე, დაიბადა 1759 წ. და გარდიცვალა 1805 წ.) უწოდა «კაცობრიულად აღზრდვა.» ამ გვარი აღზრდა არ შეიძლება შესწავლილ იქმნას წიგნებით ანუ სხვა რომელიმე მეცნიერებით. იგი მდგომარეობს მოქმედებაში, თავისი თავის ცოდნით განმგებლობაში, თავისი ყოფა-ქცევის თვალ-ყურის დევნაში,—ერთის სიტყვით, ყველაფერში, რასაცკი შეუძლიან შეამუშაოს ნამდვილი ადამიანი, მარჯვედ და კარგად აღმასრულებელი ყველა თავისი მოვალეობისა და საქმეებისა, რომელნიც კი დაუხვდებიან მას ცხოვრებაშიდ. ბეკონი (ბეკონი იყო ინგლისის უწარჩინებულესი მეცნიერი; დაიბადა 1565 წ. და გარდიცვალა 1626 წ.) ამბობს, «რომ მეცნიერებანი არ ასწავლიან ადამიანს იმას, თუ როგორ უნდა მოხმარებულიყვნენ ისინი; ეს უგანასკნელი არის სრულიად სხვა, უფრო მაღალ-ხარისხოვანი ცოდნა და მოიპოვება მხოლოდ გამოცდილებით, თვით საქმით, და დაკვირვებით.» ეს ბეკონის სიტყვა სრულიად მართალია, რადგანაც ცხოვრებაში საქმიანობით უფრო შეიძლება სრული შეიქმნეს ადამიანი, ვიდრე მხოლოდ მეცნიერების შესწავლით და წიგნების კითხვით. კაცობრიობის წარმატებას უფრო შეუძლიან დაეხმაროს ყოველ-დღიური ცხოვრება, მოქ-

მედეგობა და ადამიანის მტკიცე შეურყეველი ხასიათი, ვიდრე მხოლოდ მწიგნობრობა.

ერთხელ გიოტე (გიოტე ერთი უწარჩინებულესი მელექსეთაგანის მთელ ქვეყნიერობაზედ; ნათესაობით იყო ნემეცი; დაიბადა 1749 წ. და გარდაიცვალა 1832 წ.) იმყოფებოდა ქალაქ ვეიმარში (გერმანიის ერთი შესანიშნავი ქალაქთაგანია) და უთხრა ერთს თავის მეგობარს ეკერმანს: «უნდა გავტყდე, რომ ინგლისელებში ბევრი უაღრესობა მოიპოვება სხვა ხალხებზედ; არ ვიცი რა არის ამისი მიზეზი, თვითონ იმათი შთამომავლობა, ჰავა, მიწა, თუ ის გონიერი აღზრდა, რომელიც იმათ ეძლევათ. აქ ვეიმარში მათი რიცხვი სულ ცოტაა, მაგრამ ერთი ნახეთ, როგორი რჩეული ხალხია: ჩვიდმეტი წლის ჭაბუკნი იმყოფებიან უცხოეთში, მაგრამ მაინც სრულიად არ ეტყობა, რომ ისინი უცხოეთლები იყვნენ; პირ-იქით ყველა საქმეში და აქაურ საზოგადოებაში, ასეთი გულ-დაჯერებით და მშვიდად უჭირავთ თავი, თითქო ყველგან ისინი იყვნენ პატრონები და მთელი ქვეყანა მათ ეკუთვნოდესო.» — «მაინც». უპასუხა ეკერმანმა გიოტეს: «მხოლოდ მაგ მიზეზებით მე არ შემიძლიან დაგეთანხმოთ, რომ ინგლისელების ჭაბუკნი უფრომეტად განათლებულნი და ზნეობით გახსნილნი იყვნენ, ვიდრე ჩვენი ახალ-გაზდები.» — «საქმე მაგაში არ არის, მოახსენა გიოტემ: მათი უაღრესობა მაგაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მათ ყოველთვის აქვთ იმდენი ვაჟ-კაცობა და გულოვნობა, რომ ყველგან იმ გვარ ადამიანებად გამოიხედებიან, როგორებიც ისინი თვით ბუნებას შეუქმნია; იმათში არ არის დაუსრულებლობა; ისინი სრული ადამიანები არიანო.»

ინგლისური აღზრდის წესი ცდილობს გახსნას მოწაფეში ყოველ-გვარ საქმეში გამოსაყენებელი ხასიათი, ნემეცური კი უფრო—გონების გახსნას. ამ მხრით ერთი ამერიკელი მწერალი ვიზე ადარებდა ინგლისურ და ნემეცურ აღზრდის წესებს და შემდეგი შენიშნა: «ინგლისის გამოჩენილთა კაცთა ცხოვრების მწერლები უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევენ სიყმაწვილეშივე ენერგიულ ლტოლვას, მომთმინეობას, ვაჟ-კაცობას, გულოვნობას, საქმის ბოლომდე გატანას, თავის დაჭერას და სწავლაში ბეჯითობას ე. ი. ინგლისელები ყველგან და ყოველთვის უფრო ცდილობენ პიროვნული ძალების გახსნას, და ხასიათს უმჯობეს რაცხვენ მხოლოდ ცოდნაზე; ნემეცები კი უფრო ცდილობენ, მხოლოდ ჭკუა-გონების ცოდნით გავსებას და მის გახსნასაო.»

აი ეს პიროვნული თავისუფლება და ენერგიული მოქმედება არის პირველი მიზეზი, ინგლისელების ძლიერებისა. წარჩინებულნი მეცნიერებაში, მწერლობაში თუ ხელოვნებაში, უდიდესნი მქადაგებელნი უდიდესი ჰაზრებისა,—განურჩევლად გამოდიოდნენ ინგლისელების მებადეებიდგან და შოტლანდიის მწყემსებიდამაც, ხელოსნებიდამაც და მადნეულობის მთხრელებიდამაც, მჭედლებიდგანაც და ძველ-ძველების გამყიდავებიდამაც. საზოგადოდ ინგლისის ხალხში, მაგალითები გამოჩენილი კაცებისა, რომელთაც მოიგეს სახელი მხოლოდ საკუთარი დაუღალავი შრომით და გაუდრეკელი ენერგიით, მრავალია, როგორც მაღალ წოდებაში, ისე მდაბიო ხალხში. როდესაც ჩვენ კარგად განვიხილავთ ზოგიერთ უფრო შესანიშნავ მაგალითებს, მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ ადრეული ბრძოლა

ცხოვრების ყველა დაბრკოლებებთან და სიძნელესთან, არის თითქმის შეუნაცვლებელი პირობა ადამიანის მკვიდრი გახსნილობისათვის და წარმატებისათვის.

ინგლისის საზოგადოებათა ურილობა მუდამ სავსე იყო იმ გვარი მაგალითებით, რომელნიც გვიმტკიცებენ განუსაზღვრელ შრომის მოყვარეობას და ენერგიას ინგლისის ერისას. უფრო მეტია იმ გვარნი პირნი, რომელნიც გამოვიდნენ სრულიად მდაბიო ხალხიდგან. ავიღოთ მაგალითად ინგლისის პარლამენტის (სამჯავროს) წევრი ლინდსეი (დაიბადა 1816 წ.) ლინდსეი იყო 14 წლისა, როდესაც ობოლმა განიზრახა გაერიოს ადამიანთა გუნდში. ქალაქ გლაზგოვიდგან (შოტლანდიის უწარჩინებულესი ქალაქთაგანია.) ის გაემართა ლივერპულში (ლონდონის შემდეგ უკეთესი ქალაქია მთელს საინგლისოში) სულ ექვსი აბაზი ფულით. ის ისეთი საწყალი იყო, რომ ორთქლ-მავალი ნავის უფროსმა შეიბრალა და იკისრა მისი მუქთად წაყვანა; მაგრამ იმ პირობით კი, რომ ამან გადაარჩიოს ხომალდზე დაგროვილი ნახშირი. ლინდსეიმ აასრულა ეს პირობა და ამით გარდაიხადა უფროსის ვალი. ნავის ფეჩის გამხურებელმა აჭამა თავის სადილიდამ მცირე რამ და, როგორც თითონ ლინდსეი ამბობს, მას არასოდეს ასე ტკბილად არ უსადილნია, რადგანაც ეს სადილი საკუთარი შრომით იყო მოგებულიო. ლივერპულში ლინდსეიმ შვიდი კვირის განმავლობაში ვერა სამუშაო ვერ იშოვნა და, როგორც იყო, ერთი ვაი-ვაგლახით, გამოდიოდა თავის ექვსი აბაზით, ვიდრე არ იშოვნა ადგილი ერთი ვაჭრის ხომალდზედ. 14 წლისა იყო, როდესაც ლინდსეიმ ფეხი შედგა ამ ხომალდზედ და 19 წლო-

ვანებაში კი თვითონ ის დანიშნეს ამ ხომალდის უფროსად. ოც-და-სამი წლის რომ შესრულდა ლინდსეიმ მიატოვა ზღვაში მოქმედება და დაბრუნდა სამშობლოში. აქ იმის ცხოვრება საკვირველი სიჩქარით წავიდა წინ. ასე რომ მცირე დროში გახდა 22 ხომალდის პატრონი, შემდეგ ამორჩეულ იქმნა პარლამენტში, სადაც დიდად იჩინა თავი, და ყოველი ამის მიზეზი იყო მხოლოდ მისი საკუთარი დაუღალავი მოქმედება, ზედმიყოლითი შრომა და შემდეგი მცნებით ხელმძღვანელობა: «აკეთე სხვისთვის ის, რაც გსურს საკუთარი თავისათვის».

სწორედ ამ გვარივე გაუტეხელი და ენერგიული ხასიათის თვისებანი ცხადდებიან ინგლისის ხალხის სხვა წოდებაში. საშუალო წოდებიდგან ყოველთვის გამოდიოდენ და ახლაც გამოდიან სხვა-და-სხვა მომქმედნი გამოჩენილნი პირნი მეცნიერებაში, ვაჭრობაში და ხელოვნებაში. ინგლისის უდიდესი ფილოსოფოსი (კაცი, რომელიც სჯის ღრმად მოსაზრავ საგნებზედ) ისააკ ნიუტონი (1642—1727 წ.), იყო მცირე მემამულის შვილი. გამოჩენილი ვარსკვლავთ მრიცხველი ადამსი (დაიბადა 1816 წ.) გამოვიდა ამავე წოდებიდგან; ამისი მამა იყო ერთი საწყალი მეურმე, ცივ და უნაყოფო მხარეში. რიჩარდ ოუენიც, რომელიც უკან არ ჩამორჩება ნიუტონს ბუნების-მეცნიერების ცოდნაში, გამოვიდა ამავე წოდებიდამ.

ყველა ამ შემთხვევებში პიროვნული ამაღლება იყო შედეგი გაუტეხელი და დაუძინებელი შრომისა. აღმატებულება, რა გვარიც უნდა იყოს იგი, შეუძლებელია ზანტებისთვის და უსაქმოებისათვის; კეთილ-მყოფელობა მოიპოვება მხოლოდ კაცის დაუღალავი ცდით — «კარგად გაიხსნას თავისი ჭკუა-

გონება და მომქმედი ხასიათით. მდიდრები რა არის, ისინიც კი მოიპოვებენ პიროვნულ აღმატებულებას, მხოლოდ ენერგიული და დაუღალავი შრომით, რადგანაც მემკვიდრეობით შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ ნივთიერი სიმდიდრე და არა ენერგია, ცოდნა და ჭკუა-გონება. მდიდარს შეუძლიან რამე საქმის გასაკეთებლად, თავის მაგიერად ვინმე სხვა დაიქირაოს; მაგრამ თვით-გახსნილობაში და თვით-წარმატებაში მაგიერობა შეუძლებელია, რადგანაც გონებითი გახსნილება, ცოდნა და გამოცდილება მოიპოვება მხოლოდ საკუთარის და თავისუფალის მოქმედებით; როგორც არ იქნება მოსავლის მომკა იქ, სადაც არაფერი დათესილა, ისე აქ «თვით მოქმედების გარეშე ყველაფერი ამაოა». ზემოთ-თქმულიდგანაც ცხადია, რომ სიმდიდრე და საზოგადოდ ადვილი ცხოვრების გზა ვერ მიიყვანენ ადამიანს სრულ-ყოფამდის. მშვიდობიანი, შეუშფოთებელი და შეძლებული ცხოვრება ვერ შეაჩვევს ადამიანს შრომას, ვერ შეახვედრებს სხვა-და-სხვა დაბრკოლებებს და ვერ გააცხოველებს მასში იმ შეგნებას საკუთარი ძალებისას, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან ენერგიული და წარმატებითი მოქმედებისათვის.

ბეკონი ამბობს: «პირველი შეხედვით ასე გგონია, რომ ადამიანებმა არ იციან ჭეშმარიტი ფასი სიმდიდრისა და საკუთარი შინაგანი ძალებისა; პირველს, ე. ი. სიმდიდრეს ისინი აწერენ, ნამდვილზედ მეტს მნიშვნელობას, მეორესკი, ე. ი. შინაგან ძალებს, ნაკლებს. სიმდიდრეს შეუძლიან მისცეს კაცს კმაყოფილი და გაურჯელი ცხოვრება; ამიტომ აღმატებით პატივის-ცემის ღირსნი არიან ისინი, ვინც, თუმცა მდიდარნი-

არიან, მაგრამ მაინც დაუღალავ მონაწილეობას იღებენ, თავიანთი დროის შთამომავლობის საზოგადო შრომაში,—ისინი, ვინც ზიზღით უკუ-აგდებენ მუდმივ ლხინსა და შვებას, და სცხოვრობენ მუდმივ შრომაში.

ამ მდიდარი და მაღალი წოდებიდგანაც ინგლისის ხალხმა მისცა ქვეყანას არა ცოტა წარჩინებულნი პირნი მეცნიერებაში, მოქალაქობაში თუ მწერლობაში. ამ საქმეებში, როგორც სხვებშიაც, წარმატება მუდამ დამოკიდებულია შრომაზედ, შეჩვევაზე და მუდმივ სწავლაზე. ინგლისში ყველა ვეზირი, ანუ რომელიმე დასის წინამძღომელი უთუოდ ეკუთვნის შესანიშნავ და გულს-მოდგინე მუშაკს. ამ გვარნი იყვნენ და არიან რობერტ პილი, ბრუმი, პალმერსტონი, დერბი, როსსელი და დიზრაელი (ბიკონსფილდი), გლადსტონი და ბულვერ-ლიტტონი და მრავალნი სხვანი.

ამ გვარ მოქმედთა შორის უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს განსვენებულს რობერტ პილს (1788—1850 წ.) ის ძლიერ შეჩვეული იყო ხანგრძლივ გონებით შრომას და არა ზოგავდა თავის თავსა. ყველა იმისი მოქმედება წარმოგვიდგენს იმ შესანიშნავ მაგალითს, თუ რის გაკეთება შეუძლიან შედარებით მცირე ნიჭიერებით შემკულს ადამიანსა, მაგრამ მუდმივ და დაუღალავ საქმიანობის მოყვარეს. იმისი ორმოცი წლის შრომა პარლამენტში, მართლა რომ გასაშტერებელი და დაუჯერებელია. როგორც ძლიერი პატრიოსანი კაცი, ისე ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებდა, უთუოდ ბოლომდე გაიყვანდა და ნახევარ გზაზედ არ მიაგდებდა. ყველა იმისგან წარმოთქმული სიტყვა ცხადად გვიმტკიცებს, თუ

როგორი ბეჯითობით სწავლობდა ის სალაპარაკო საგანსა. მან ძალიან ბევრი იმუშავა საკუთარი თავის სრულ-მყოფობისა-თვის და არავითარ ძალის-ხმევასა (ყოველი გონებითი და სხეულითი ძალების მოხმარება რომელიმე საქმის შესასრულებ-ლად) არ ზოგავდა მხოლოდ როგორმე კი შეეფარდებინა თა-ვისი მოძღვრებანი მსმენელების გასხნილობასთან. ამასთან, ის შემკული იყო საკვირველი შორს მხედველობით და საქმის ბო-ლომდე გატანით. ის აღემატებოდა სხვებს იმით, რომ იმისი რწმუნებანი, დროს და დროს მიმავლობაში სულ ფართოვდებოდ-ნენ და იხსნებოდნენ: ხნიერობა, რწმუნებების შევიწროების და დაძველების მაგიერ, აძლევდა მის ჭაზრებს უფრო მომეტებულ საფუძვლიანობას და ლმობიერებასა. თავისი სიცოცხლის უკა-ნასკნელ დღეებამდე ის მზად იყო შეეთვისა სრულ ახალი და ახალი შეხედულობანი და ჭაზრები.

მეორე გამოჩენილი ინგლისელის ბრუმის (დაიბადა 1779 წ. მოქმედება დაუღალავი თითქმის რომ ანდაზათ გარდაიქცა. იმის შრომა ხალხის სასარგებლოდ გაგრძელდა სამოც წლამდის, რომ-ლის განმავალობაში ის მოქმედებს მრავალ-გვარ ასპარეზზე—სჯუ-ლის მდებელობაში, მწერლობაში, მოქალაქობაში, თუ მეცნიერება-ში, და ყველა ამათში სათითაოდ სრული იყო. საიდუმლო იმა-ში მდგომარეობდა, რომ ბრუმი ჯანმრთელი კაცი იყო და არას დროს ერთს წამსაც უსაქმოდ არ ატარებდა. მოსუცებულობაში, იმ ხანში, როდესაც ადამიანი საზოგადოთ ჰსურს მშვიდ და მოსვენებით ცხოვრებას, ბრუმი შეუდგა მრავალ სამეცნიერო-საგნების გამოკვლევას და ნაყოფნი თავისი შრომისა წარუდგი-ნა გასაშინჯავად უმეცნიერეს კრებებს პარიჟში (დედა—ქალა-

ქის საფრანგეთისა) და ლონდონში (დედა—ქალაქის ინგლისი-სა). ამავე დროს იმან გამოსცა თავისი მშვენიერი აღწერა: „მეცნიერები და მწერლები მეფობისა დროსა ინგლისის მეფის გიორგი მესამისა."

მესამე დაუღალავი კაცი და ამავე წოდებიდამვე იყო ბულვერ ლიტტონი. ბევრს მწერალს არა გაუკეთებია იმდენი რამდენიც ბულვერმა და ვერც ბევრმა მათგანმა მიაღწია იმ სრულყოფამდის, სადამდისაც მივიდა ის მრავალ-გვარ ასპარეზზე. ბულვერის მოქმედება მით უფრო გასაკვირველი და ღირსია პატივის-ცემისა, რომ ეს მოქმედება იყო სრულიად თვით ნებაყოფილობითი, რადგანაც დიდი სიმდიდრის პატრონი იყო. ნადირობა, სროლა, დილაობით ნაცნობთა ნახვა და მოკითხვა, შემდეგ სოფლური ცხოვრება თავისი უხვი პურ-მარილით და სხვა-და-სხვა შექცევებით, საზღვარ-გარედ მოგზაურობანი—პარიჟში, ვენაში (ავსტრიის დედა-ქალაქის), რომში (იტალიის დედა-ქალაქისა) ყველა ეს ძალიან-და-ძალიან მიმზიდველია მდიდარი კაცისათვის. მაგრამ ბულვერმა, სიმდიდრით სავსემ უკუ-აგდო ყოველი ესე და გარდასწყვიტა აღმოირჩიოს თავის მოქმედების ასპარეზად „მწერლობა." პირველი ნაწერები ბულვერისა იყო ლექსები, რომლებშიაც ამან მიიღო დიდი მარცხი; შემდეგ—მოთხრობები, რომლებშიაც აგრეთვე მოუვიდა მარცხი. სხვა კაცი უფრო ნაკლებათ თავრანი და გამბედავი, მაშინვე თავს მიანებებდა მწერლობას. მაგრამ ბულვერი, სავსე შებედვით და შეუპოვრებით, განაგრძობდა თავის საქმეს და გარდასწყვიტა—რათაც უნდა დაუჯდეს ეს ცდა, მიაღწიოს სრულ მყოფობას. ის შრომობდა დაუღალავად, ძალიან ბევრს კითხულობდა და

პირველი მარცხებიდამ პირდაპირ გადვიდა გამარჯვებაზე. ამის შემდეგ მისი მოღვაწეობა მწერლობაში, თითქმის ოცდა-ათი წლის განმავლობაში, ყოველთვის სავსე იყო წარმატებით და გამარჯვებით.

დიზრაელიც (დაიბადა 1805 წ.) წარმოგვიდგენს სწორედ ამ გვარსავე მაგალითსა იმ ძალოვნებისას, რომელსაც იძენს ადამიანი შრომის მოყვარეობით და ბეჯითობით. მსგავსად ბულვერისა, მან ჯერ აღმოიჩინა მწერლობის ასპარეზი და მრავალი მარცხის შემდეგ, მიაღწია წარმატებას. პირველი იმისი გამოსვლა მჭევრ-მეტყველად საზოგადოებათა კრებაში იყო სავსე მარცხით; თუმცა აქ იმისი სიტყვა იყო მშვიდი და საკმარისად შემუშავებული, მაინც ყოველ მის სიტყვას მოსდევდა ძლიერი სარსარი მსმენელებისა. დიზრაელი იძულებული იყო მალე შეეწყვიტა თავისი სიტყვა, მაგრამ შეწყვიტა იგი სიტყვებით, რომელნიც შეიცავდნენ წინასწარმეტყველებას. განმწარებული ამ უკადრისობით, დიზრაელმა მაღალი და გასაკვეთავი ხმით დაიძახა: «ყოველი საქმე მე დამიწყია ხელ-ახლად მუდამ რამდენჯერმე და გამარჯვებაც დასასრულად მე დამრჩენია; არა უშავს რა, ახლა მე გავჩუმდები, მაგრამ მოვა დრო, როდესაც თქვენ, თქვენდა უნებურად, ყურს კი დამიგდებთ.» ეს დრო მართლა მოვიდა და ის პირველობა, რომელიც იმან დაიკავა მთელ საინგლისოში, წარმოგვიდგენს გასაკვირველ დამტკიცებას იმისას, თუ რამდენი ენერგია და თავ-გამოდება იყო მისგან მოხმარებული ამ მიზნისადმი მისაღწევად. ის არ მიეცა სასოწარკვეთილებას, მწუხარებას და გლოვას, არ გაიქცა მივარდნილ ალაგას, როგორც სჩადიან ამას მრავალი ახალ-

გაზდები, არამედ მხნედ და გულოვნად შეუდგა საქმეს: იგი დიდი მზრუნველობით სწავლობდა, როგორც საკუთარ შეცდომილებებს და ნაკლულევანებებს, ისე თავისი მსმენელების ხასიათსა, ბეჯითად ვარჯიშობდა მჭევრ-მეტყველებაში და დიდი შეცადინეობით იძენდა სამსჯავროების ყველა საჭირო ცოდნასა. იგი მოთმინებით ელტვოდა თავის მიზანსა და დასასრულად მიაღწია კიდეც. წარსული მარცხები დაივიწყებსა მიეცნენ და ყველამ აღიარა, რომ ამ ჟამად დიზრაელი არის ერთი უდიდებულესთაგანი ინგლისელი. ამ გვარსავე ბრწყინვალე მაგალითებს ინგლისელი ხალხის პიროვნული ძალებისას, წარმოგვიდგენენ მრავალნი სხვანიც. აი მაგალითად ლივინგსტონი, რომელიც სამხრეთ აფრიკის უდაბნოებში გმირულად უკაფავს გზას განათლებას და მოქალაქობას. აი ბრუკი, რომელიც ასახლებს ევროპიელებს ინდოეთის ოკეანის კუნძულებზედ, სადაც მოსახლობენ მხოლოდ ველური და ავაზაკნი ხალხნი. აი ფრანკლინი, მაკ-კლიური, კოლინსონი, მაკ-კლინტოკა და სხვანი მრავალნი, რომელნიც დაუღალავად ცდილობდნენ ჩრდილო—დასავლეთის გზა გაეკვალად ყინულში, ბნელში და ავდარში. (ჩრდილო—დასავლეთის გზას უწოდებენ იმ გზას, რომელსაც მეთექვსმეტე საუკუნიდამ დაწყებული დაუღალავად ეძებდნენ ამერიკის ჩრდილო კიდეების გასწვრივ, აღმოსავლეთიდამ მდორე ოკეანში). ის პიროვნული გამბედაობა, თავ-დადება, ენერგია და გმირობა, რომელიც ამათ გამოიჩინეს ამ საქმეში, მართლა რომ გასაშტერებელი და ადამიანის პიროვნული ძალების დიდების გვირგვინია!..

## II.

ბეჯითობა და შეუდრეკელობა მუშაობაში არიან აუცილებელნი პირობანი წარმატებისა.

უუდიდესი ცხოვრების მიზნები შეიძლება მოყვანილ იქმნენ აღსრულებაში. ჩვეულებრივი საშუალებებით და ადამიანის ჩვეულებრივი ნიჭის მოხმარებით. უპირატესი და უახლოესი გზა კეთილ-მყოფობისადმი მისაღწევად არის ჩვეულებრივი კეთილ-განმსჯელობა და შეუჩვეველი-მიყოლითი შრომა. ამ ჰაზრს ნათლად გვიმტკიცებენ ის მოქმედნი, რომელნიც ამ გზას გაჰყვნენ და რომლებმაც გამოუთქმელი წარმატება ნახეს. ამ ღირსებებით შემკული მუშაკისათვის გენიოსობა (აღმატებითი ნიჭიერება) აღარ შეადგენს აუცილებელს საჭიროებასა, მაშინ როდესაც, ამ ღირსებებს მოკლებული გენიოსი, სრულიად ვერაფერში გამოსადეგი. ნიუტონი იყო ერთი უუჭკვიანესი კაცი, მაგრამ როდესაც მას ჰკითხეს, რა საშუალებით აღმოაჩინე შენი გამოგონებანი, მან თავ-მდაბლად უპასუხა: «მათზე მუდმივ დაფიქრებით და მოსაზრებითაო.» იგი ზოგჯერ ამ გვარად აღწერდა თავის მოქმედების გზას: «მე დაჟინებით და მუდმივ ვამოქმედებ თავში რამე საგანს ანუ კითხვას. იმ დრომდე, ვიდრე დასაბამითნი ნაპერწკალნი სწორი მსჯელობისა ამ საგანზე ნელ-ნელა გარდაიქცევიან დასრულებულ და ნათელ ჰაზრათა.» ნიუტონმაც, როგორც ყველა სხვამ, მოიპოვა სახელი, მხოლოდ მუდ-

მივი, ზედ-მიყოლებითი, გაუტეხელი შრომით. ნიუტონისათვის მოსვენება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ხან ერთს საქმეს აკეთებდა, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხან მეოთხეს. ერთხელ თვითონვე უთხრა ერთს ექიმსა: მე თუ რამე სამსახური გაუწიე ხალხსა, ეს არის მხოლოდ გაუტეხელი შრომის და მუდმივი მოსაზრების შედეგი!»

ინგლისის წარჩინებული სიმიკოსი დალტონი, მუდამ-უარს ჰყოფდა თავისში გონიერებას და ყველა თავის ნამოქმედს აწერდა მხოლოდ თავის შრომის—მოყვარეობასა და იმ მრავალ ცოდნასა, რომელიც მან შეიძინა თავის გაუტეხელი შრომით და მეცადინეობით. საზოგადოთ უნდა განვიმეოროთ, რომ ყველა ის მოქმედნი, რომლებმაც მოუტანეს ქვეყანას რამე სარგებლობა, შემკულნი იყვნენ დაუღალავი მოქმედების მოყვარეობით; ეს ადამიანები იყვნენ აღვსილნი არა ბუნებითი გონიერებით, არა; ისინი რაც უნდა საქმე ყოფილიყო, წარმოუდგენელი ბეჯითობით ასრულებდნენ და ამიტომაც სასწაულებს ჰქმნიდნენ. ნიჭიერნი, მაგრამ ქარაფშუტები და მოკლებულნი ზედ-მიყოლებით შრომის კაცები, ცხოვრებაში მუდამ ჩამორჩებიან ხოლმე თავიანთზედ ათჯერ უფრო უნიჭოებს და ზოგჯერ სრულ უნიჭოებსაც, მაგრამ ბეჯითებს და დაუღლელებს შრომაში. ამიტომ, ყველა ჩვენგანი განსაკუთრებით იმას უნდა ცდილობდეს, რომ მოიპოვოს და ბუნებით მოთხოვნილებად გარდაიქციოს შრომის—მოყვარეობა. როდესაც ამას მოვახერხებთ, შემდეგ ყოველი საქმე ჩვენთვის უფრო გაადვილებული იქნება. საჭიროა, რომ ყველას მარცხის შემდეგ, საქმე სულ ხელ-ახლად და ხელ-ახლად ვიწყოთ ხოლ-

მე; მუდმივ მუშაობისაგან, ყოველი საქმე უფრო ადვილია და ადვილად კეთდება. ამ უდაუჟინებლობით საქმეში, შეუძლებელია უბრალო ხელოვნების შესწავლაც, მაშინ როდესაც გაუტეხელი ხასიათით მუშაობაში რა არ შეიძლება დასძლიოს ადამიანმა!..

პირველ თავში მოხსენებულმა რობერტ პილმა მხოლოდ მუდმივი ვარჯიშობით პატარაობიდამვე გახსნა თავისში ის შე-სანიშნავი მჭევრ-მეტყველის ნიჭი, რომლებმაც შემდეგში მოუ-პოვეს მას ასეთი დიდებული სახელი ინგლისის სამჯავრო-ში. როდესაც ის ჯერ კიდევ პატარა იყო, მამა წაიყვანდა მას ეკკლესიაში და შემდეგ შინ დაბრუნებისა მოსთხოვდა პატარა შვილსა, რომ მან მღვდლის ქადაგება ყოვლის მოუმზადებლად ზეპირად სთქვას ხოლმე. ჯერ საქმე მძიმეთ მიდიოდა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ, მუდმივი ვარჯიშობისაგამო, ყმაწ-ვილში ასე გაიხსნა ყურადღება და ეს ნიჭი, რომ შაეძლო მთე-ლი ქადაგება, ანუ ვისგანმე გაგონილი კარგა გრძელი სიტყვა, თავიდამ ბოლომდე სიტყვა—სიტყვით ეთქვა.

თუმცა ასეთი ყოვლად—შემძლებელია შრომა, მაგრამ მაინც უნდა გავტყდეთ, რომ ცოტა წარმატება რა არის, ისიც კი მოიპოვება მხოლოდ ხან-გრძლივი შრომით. დიდი შედე-გების მიღწევა შეუძლებელია ერთბაშად: ჩვენ კმაყოფილნი უნ-და ვიყვნეთ თუ ფეხ-და-ფეხ მივსდევთ ჩვენს მიზანსა, თუნდაც რომ ნელ-ნელა. ვინმე მესტრე (ფრანცუზების მწერალი იყო) ამბობს, რომ უდიდესი საიდუმლო ყველა წარმატებისა მდგო-მარეობს: «გონიერ ლოდინშიო.» ვიდრე რამეს მოვკიდეთ, ჯერ უნდა დავთესოთ და ამ დათესილის მოსავალს ხშირად დიდ-ხანს უნდა უცადოთ; ვიდრემდის კი კმაყოფილნი უნდა

ვიყვნეთ კეთილი იმედით მომავალზე. ტყუილად კი არ იტყვიან ანდაზად: «დრო და მოთმინეობა თუთის ფოთოლსაც აბრეშუმად გადააქცევსო.»

ყველა დაწყებულებაში და ყველა მუშაკისათვის ძრიელ საჭიროა ერთი თვისებაც, რომელსაც ეძახიან «დაჟინებულებას.» გამოჩენილი ფილოსოფოსი უნგი იყო იმ რწმენის კაცი, რომ «ყველა კაცს შეუძლიან ის გააკეთოს, რაც სხვამ გააკეთაო» და მართლაც ამ თავის რწმენას ის არასოდეს არ გადასდგომია, ე. ი. არავითარ სიმძიმეს ის ვერ უკუ-უგდია იმ საქმეში, რომლისათვისაც კი მას ხელი მოუკიდნია. ამაზე ლაპარაკობენ, რომ პირველათვე ცხენზე შეჯდომის დროს, ის გაეჯიბრა ერთს ამხანაგსა, რომელიც ძლიერ კარგი მოჯირითე იყო და რომელმაც იმ დროს, კარგმა ცხენზე მჯდომმა, გაჭენებაში თავისი ცხენი გარდაახტუნა მაღლად გადებულ ხარიხაზე. უნგმაც განიმრახა ამ გვარათვე ცხენის გარდახტუნება, მაგრამ ეს პირველი მისი ცდა იმით გათავდა, რომ ცხენი მართალია გადვიდა, მაგრამ თითონ კი ტყაპანით გასცვივდა დედა-მიწაზედ. ამან ხმა არავის გასცა, ადგა, ხელ-მეორედ მოაჯდა ცხენსა, გამოაჭენა და კიდევ გარდმოახტუნა, მაგრამ აღარ კი გადმოვარდა, მხოლოდ კისერზე მოექცა ცხენსა. მესამედ გადახტომაში მან ცხენიც გარდაახტუნა და თითონაც მარჯვედ იჯდა უნაგირზე. ამ გვარსავე დაჟინებულ ხასიათს წარმოგვიდგენს გამოჩენილი ამერიკელი, ფრინველთა მცოდნე ოდიუბონი (დაიბადა 1774-ს.) «იმ უბედურებამ,» ამბობს თვითონ ოდიუბონი, «რომელიც მე შამემთხვაო, პირველად თითქმის სრულიად შეაყენა ჩემი მოქმედება. მე მოგახსენებთ თქვენ,

თუ რა ძალას აძლევს ადამიანს მეგულიანება და დაჟინებულება უუსაშინელეს დაბრკოლებების დაძლევაშიო. მე გამოვეთხოვე ჩვენ სოფელსა და გავემგზავრე ფილადელფიაში (ქალაქის ამერიკის რესპუბლიკაში), სადაც ვფიქრობდი გამეგრძლებინა ჩემი მოქმედება. წასვლის წინად მე გადავშინჯე ყველა ჩემი ორასამდე სურათი, რომლებზედაც სხვა-და-სხვა ფრინველები იყო დახატული). დიდის სიფრთხილით ჩავალაგე ისინი ერთს ხის ყუთში და მივაბარე შესანახად ერთს ახლო ნათესავსა, რომელსაც ძალიან დიდად ვსთხოვე, რომ გარდამეტებით ყურადღება მიექცია ამ ყუთისათვის. ფილადელფიაში დავყავი რამდენიმე თვე; შინ დაბრუნების შემდეგ, ჩემი პირველი საქმე ის იყო, რომ მენახა ყუთი, მაგრამ, მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა ვიგრძენ იმ დროს, როდესაც, გავაღე ყუთი თუ არა, სურათების მაგიერ ვიხილე წყვილი ვირთხების მთელი ოჯახობა, რომელთაც იმდენ ნაწილად დაეღრღნათ ეს ჩემი სურათები, რამდენიც ჰაერში მცხოვრებლის (ფრინველებისა) სახე მქონდა მე მათზე დახატული. ამ უბედურებამ საშინლად იმოქმედა ჩემ ჭკუა-გონებაზედ: მე არა დამძინებია რამდენიმე ღამე, დღისით კი შეშლილსავით ვიჯექი ჩემს ოთახში. ეს ჩემი ამ გვარი მდგომარეობა გაგრძელდა იმ დღემდე, ვიდრე საშინელის ძალის ხმევით ხელ-მეორედ არ მოვიბრუნე გული და უწინდელი ძალა. მაშინ მე ავიღე თოფი, დავთარი ქაღალდით, ფანქარი და გავწიე ტყეში ასეთი მხიარული, ვითომ და არაფერი მოხდაო, მტკიცე გარდაწყვეტილებით, ხელ-მეორედ დავხატო, რაც დავკარგე; მე იმით ვანუგეშებდი ჩემ თავსა, რომ ახლ

უფრო უკეთესს სურათებს დავხატავ და მართლაც ჯერ სრულ-მა სამმა წელმაც არ განვლო, რომ ისევ გავამსე ჩემი ყუთი“.

საზოგადოდ, გამოჩენილთა კაცთა ცხოვრება წარმოგვი-დგენს მრავალ ამ გვარ მაგალითსა. მრავალ წარმოუდგენელ დაჟინებულს შრომას და მეცადინეობას საქმის აღსრულებაში მოსაყვანად. მხოლოდ ამ თვისებას და სხვას არაფერს უნდა ვუმადლოდეთ. ქვეყნის ყოველი აწინდელი გამოგონების და წარმატებისათვის. მწერლობა წარმოგვიდგენს მრავალ მაგალი-თებს ზემოდ აღწერილი თვისებებისა და მათ შორის ყველაზე ღირს-შესანიშნავი და სასარგებლო ვალტერ სკოტის (1771—1832 წ.) მოქმედების და ცხოვრების გაცნობა. ამისი სა-კვირველი მუშაობის ნიჭი გაივსებ ვექილობის სამწერლოში, სადაც ის პირველად მრავალი წლების განმავალობაში მსახუ-რებდა უბრალო მწერლად. ეს უგემური გადაწერ-გადმოწერა მთელი დღის განმავალობაში იყო იმისი მიზეზი, რომ საღა-მო ჟამს ვალტერი უფრო მხიარულად ატარებდა, რადგანაც ეს დრო სრულიად მის მფლობელობაში იყო, და, როგორც სურ-და, ისე ხმარობდა. ვალტერ სკოტი თვითონვე იტყოდა, რომ დაუღალავ შრომას მე შევეჩვიე ვექილობის სამწერლოში. იგი თავის თხზულებებს დილაობით სწერდა ხოლმე, საუზმეს წინ, დანარჩენ მთელ დღეს კი ასრულებდა ათას გვარ საქმეებს სა-სამართლოში. ამ კაცში ის არის გასაკვირველი, რომ იმ დრო-საც-კი, როდესაც ის ბევრსა და გატაცებით სწერდა, ის მაინც თავის სამსახურს პატიოსნად აღსრულებდა. მან გადასწყვიტა, რომ უნდა ვიცხოვრო თავისი სამსახურით და არა მწერლობი-თაო «მე გადავწყვიტეო», ამბობდა ვალტერი, რომ «მწერ-

ლობა უნდა იყოს ჩემ კვერთხად და არა ფეხ-მოტეხილის ჯოხად, და ვეცდებით, რომ ჩემი მწერლობის შემოსავალი, რაოდენიც უნდა იყოს იგი, არასოდეს არ დამეხარჯოს დღიურ საჭიროებაზე და შინაურ მოთხოვნილებაზედაო.

ვალტერის მრავალ ჩინებულ ჩვეულებათა შორის ძრიელ შესანიშნავია ერთი, ურომლოდაც შეუძლებელი იყო იმდენი საქმეების მართვა და მოსწრება, რამდენსაც ის მუდმივ ასწრობდა. მან დაიცვა კანონად, რომელსაც მტკიცედ ასრულებდა, რომ ყველა ქაღალდს, რომელიც მას მოუვიდოდა; იმ დღესვე მისცეს პასუხი, გარდა იმ ქაღალდებისა, რომლებიც ითხოვდენ წინა-წლებში საქმეების შეტყობას, ანუ დიდ მოფიქრებას. ის ჩვეულებრივ დგებოდა დილის ხუთ საათზე, იცვამდა ტანისამოსს და ექვს საათზედ მიუჯდებოდა კიდეც თავის საწერლოსტოლსა, რომელზედაც საკვირველ რიგზე დაწყობილი ჰქონდა ყველა ქაღალდები; სასამართლოს სხვა-და-სხვა დავთრები კი იატაკზედ ჰქონდა დაწყობილი, ასე, როდესაც მთელი მისი ოჯახობა, ცხრა საათზე, იკრიფებოდა საუზმეზე, ამას, ამ დროს საქმეების კარგა დიდი ნაწილი გათავებულიც ჰქონდა. მაინც, ვალტერი, ამ გვარი დაუღალავი შრომის და აუარებელი ცოდნის პატრონი, მუდამ თავ-მდაბლად ლაპარაკობდა თავის ნიჭიერებაზე. «მთელი სიცოცხლის განმავალობაში მე ბევრი დაბრკოლება და სიძნელე გამოვიარე და ყველა ეს მხოლოდ თვით ჩემი საკუთარი უმეცრების შედეგი იყო», ხშირად იტყოდა ხოლმე ვალტერი. ასეთის ჭეშმარიტად დი-

და ჭკუა-გონება. რამდენადაც კაცმა ნამდვილად მეტი იცის, იმდენად ნაკლებია მასში ზესთა-მჩენობა და მზვაობრობა.

საკვირველ გაუტეხელ ხასიათს წარმოგვიდგენს აგრეთვე ერთი, სარეწაობაში მომქმედი, ბერნარ პალისი (1510—1589) რომელმაც დაუჯერებელი დაბრკოლებანი გმირულად დასძლია და დააფუძნა საფრანგეთში მეჭურჭლეობა სრულიად ახალ საფუძველზედ.

ბერნარ პალისი დაიბადა **1510 წ.** საფრანგეთის ერთს საწყალს სოფელში. თავისი საწყალი მემინე მამისაგან პალისის არ მიუღია არავითარი სწავლა. „მე არა მქონდაო ამბობდა ისი, „არავითარი წიგნი, გარდა იმ ერთის, ყველასათვის მისაწდომი წიგნისა, რომელსაც უწოდებენ ცა და დედამიწას“. პალისიმ მამის ხელობის გარდა ისწავლა კიდევ მინაზე მხატვრობა და შემდეგ წერა-კითხვაც. როცა დაინახა, რომ მემინეობით ბევრს ვერას გამოდის, თვრამეტის წლის პალისიმ დასტოვა მამის სახლი და გუდით ზურგზე გაუდგა გზას ბედის საძებნელად. ის გაემართა ჩრდილოეთისკენ და ხან საფრანგეთში, ხან ჰოლანდიაში და ხან გერმანიაში სცხოვრობდა. ამ გვარი ათის წლის მგზავრობის შემდეგ, პალისიმ ცოლი შეირთო და დასახლდა ერთს პატარა ქალაქში, სენტში (საფრანგეთშია), სადაც ხან მემინეობით, ხან მინაზე მხატვრობით და ხან მიწის—მზომელობით გამოდიოდა. წლითი წლობით ჯალაბობა უმრავლდებოდა, ცხოვრების საშუალება კი თითქმის ერთი და იგივე იყო. პალისი გრძნობდა, რომ მას შეუძლიან მეტი საქმის და სამუშაოს შესრულება, მაგრამ რა საქმე იყო ეს საქმე, ჯერ თითონაც არ იცოდა. ამ გვარ მდგო-

მარეობაში მყოფმა, პალისიმ მიაქცია ყურადღება თიხის ჭურჭლის დახატვის ხელობას. ეს ხელობა მას თვითონ უნდა შეესწავლა, ყოვლის უმასწავლებლოდ და ამასთან სულ თავიდამ უნდა დაეწყო ამ საქმის შესწავლა, რადგანაც თავის სიცოცხლეში ჯერ არც კი ენახა, თუ როგორ სწვავენ ჭურჭელსა. ამას არა ჰქონდა რა, გარდა ძალოვანი იმედისა, ცოდნის წყურვილისა და გაუტეხელი მეცადინეობისა თავის მიზნის აღსასრულებლად.

თიხის ჭურჭლის დახატვის ჰაზრმა პალისის პირველად გაუარა მაშინ, როდესაც ერთხელ მან ნახა იტალიანური საქსონის ჭურჭელი. ამ უბრალო საქსონის ჭურჭლის ნახვამ პალისში დაჰბადა ძლიერი სურვილი გაიგოს, თუ რა ნაწილებისაგან და როგორ კეთდება ამ საქსონის ჭურჭლის მინაქარი (მუშის მზგავსი ბრწყინვალე რამ წასასმელია ჭურჭელზე). პალისი რომ მარტო—ხელა და რა ცოლ-შვილიანი ყოფილიყო, თქმა არ უნდა, რომ დაუყოვნებლივ გასწევდა იტალიაში, რათა ადგილობრივ შეეტყო ამ მინაქრის შემადგინებელი ნაწილები და მისი კეთება. თვის და უნებურად პალისს თითონ უნდა გამოეგონა მინაქარის კეთება და ამიტომ მან მრავალი გამოცდა მოახდინა. როდესაც პალისიმ იშოვა ყველა ის შემადგინებელი წამლები, რომლებისაგანაც, მისი ფიქრით, შესდგებოდა და კეთდებოდა მინაქარი, ამან იყიდა რამდენიმე ჩვეულებრივი თიხის ქოთნები, დაამსხვრია პატარ-პატარა ნატეხებად, წაუსვა მათ სხვა-და-სხვა საკუთარი ხელით დამზადებული წამლები და გამოსწვა ფეჩში. გამოცდამ სრულიად ფუჭად ჩაუარა. ამის შემდეგ იყო მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ მრავალი ქოთნების

დამსხვრევა, დიდ-ძალი შეშის დაწვა, წამლების, დროის და შრომის დაკარგვა.

ამისი ცოლი ძლივ-ძლიობით ითმენდა ქმრისაგან ასე ფუჭად ფულების დახარჯვას ქოთნების, წამლების და შეშის ყიდვაში, ამ ფულებისა, რომელიც თითონ და მათ შვილებს ეჭირებოდათ საცხოვრებლად. მაგრამ პალისი წამის კაცი არ იყო: რაკი გარდასწყვიტა მინანქრის აღმოჩენა, იგი გაუსხლეტლად აგრძობდა გამოცდას მთელი თვეობით და მთელი წელიწადებით. პირველი ფეჩით ის უკმაყოფილო დარჩა და ამიტომ მეორე გააკეთა თავისი სახლის გარეთ. აქაც იგი სწვავდა დიდ-ძალ შეშას, აფრქვევდა მრავალ სხვა-და-სხვა მასალებს, ამსხვრევდა სულ ახალ-და-ახალ ჭურჭლებს და იმდენი დრო და ფული დაკარგა, რომ მთელი სახლობით წარმოუდგენელ სიღატაკეში შთავარდა. დრო და დროს გამოშვებით პალისი ხან პირის სახეებს ხატავდა, ხან მემინეობდა, ხან მიწებს მიჯნავდა, მაგრამ ამ შემოსავლით ის მაინც ვერ იბრუნებდა თავის გამოცდებზე ნახარჯებსა. ბოლოს, პალისს ასე გაუჭირდა შეშის ყიდვა, რომ იძულებულ იყო სრულიად მოესპო გამოცდა თავის საკუთარ ფეჩში. ის მაინც ყიდულობდა მეჭურჭლეებისაგან დაწუნებულ ჭურჭლებსა, ამსხვრევდა სამას—ოთხას ნატეხებად, უსვამდა მათ მრავალ-გვარ წამლებსა და რადგანაც შინ, შეშის უქონლობისაგამო, მათი გამოწვა აღარ შეეძლო, მიჰქონდა ეს წასმული ნატეხები ათ ვერსზე მოშორებულ ქარხანაში და იქ სწვავდა. თუმცა აქაც თითონ უხელმძღვანელებდა საქმესა, მაინც წარმატება ვერა ნახა. გაბრაზებული, მაგრამ მაინც გაუტეხელი, პალისიმ გარდაწყვიტა დაუყოვნებლივ «ხელ-მეორედ იწყოს

ყოველი. ამ დროს პალისი ცხოვრების საშუალების მოსაპოებლად, მიწებს მიჯნავდა, რომლისგამო მისი გამოცდანი რამდენიმე ხნობით სრულიად შეჩერდა. ესვე დრო იყო, რომ პალისის ჩაბარეს ერთი მარილიანი და ჭაობიანი ადგილის «გეგმისა» (იმ გვარი დასახულობას საგნის ზედაპირისა, რომლითაც ის შეგვიძლიან გამოვიანგარიშოდ მისი სივრცე) აღება. მან ეს საქმე მარჯვედ შეასრულა და შრომის ფასად კარგა დიდი ფული მიიღო. გაათავა გეგმის აღება თუ არა, პალისი ახალი ენერგიით და უფრო გარდამეტებითი მეცადინეობით ხელ-ახლად შეუდგა მინაქარის გამოძებნას. პალისმა ახლა საქმე იმით დაიწყო, რომ დაამსხვრია ორმოცამდე თიხის ქოთანი, წაუსვა მათ თავისი სხვა-და-სხვა წამლები და გამოსაწვავად წაიღო ერთს მინის ქარხანაში. აქ პალისს, ბედმა მიტომ გაუღიმა: ამ ქარხნის ქურის ძრიელმა ცეცხლმა გაადნო ზოგიერთი მისგან წასმული წამლები და შეუერთა ჭურჭლის ნატეხებს; მაგრამ ბოლოს, მინაქარის კვალი რა არის, ისიც არ აღმოჩნდა. ორი წლის განმავლობაში პალისი კიდევ აგრძელებდა თავის გამოცდილებას ყოვლის უნაყოფოდ. გეგმების აღებით მონაგარი ფული სულ შემოელია და მთელი სახლობით ხელ-მოკლედ შთავარდა საშინელ სიღატაკეში. მაშინ პალისმა გარდაწყვიტა უკანასკნელი გამოცდა მოახდინოს და ამისათვის დაამსხვრია წინანდელზედ გაცილებით უფრო მეტი ჭურჭელი. როდესაც სამასს ნატეხს წაუსვა თავისი წამლები, პალისმა გაგზავნა იგინი მინის ქარხანაში და მალე თითონაც უკან გაუდგა. ოთხი საათის განმავლობაში პალისმა ფეხიც არ მოიცვალა იქიდამ და სულ განაბული თვალს ადევნებდა ნატეხების გამოწვას; ბო-

ღოს გააღეს ფეჩი: სამასი ნატეხიდამ მხოლოდ ერთზე გამდნარიყო წასმული წამალი და, როდესაც გაგრილდა ცივს ჰაერზე, მიიღო სრულიად თეთრი და უმქისო სახე. ეს ნატეხი თვითონ პალისის სიტყვით, გარდამეტებით მშვენიერად იყო მოკიდებული მინაქარით. პალისი მაშინვე გაიქცა აჩვენოს იგი ცოლსა, რომლის შემდეგ ეს გმირი სრულიად ახალ კაცად გრძნობდა თავის თავსა. მაინც იმის შემდეგაც საქმე ჯერ სრულიად არ იყო გათავებული და გარდაწყვეტილი. ამ მცირე გამარჯვებამ პალისი მხოლოდ სხვა მრავალ ახალ გზას შეახვედრა, რომლების გამოცდა მკელებურად სულ მარცხით იყო სავსე. რომ საიდუმლოდ აწარმოოს ეს საქმე, პალისიმ გამართა ერთი მინის ფეჩი თავის სახლში და ცხარედ შეუდგა საქმეს. შვიდი თუ რვა თვის განმავლობაში მან დაამზადა რამდენიმე ტყვიის კარაყით მოკიდებული თიხის ჭურჭელი, რომლებსაც მინაქრის მოკიდებას გარდა აღარა აკლდა რა. ცოტა მოწვის შემდეგ პალისიმ წაუსვა მათ თავისი წამლები და ჩაალაგა ფეჩში უკანასკნელი გამოცდისათვის. ამ უკანასკნელი გამოცდისათვის, პალისიმ დაამზადა დიდ-ძალი შეშა, რაოდენიც ამის ფიქრით საკმარისი იქნებოდა და რომელზედაც ამას დაეხარჯა უკანასკნელი გროშები. აანთო ცეცხლი; პალისი ერთ წამზედაც თვალს არ აშორებს ფეჩსა; ასე გავიდა მთელი დღე; ასე გავიდა მთელი ღამე; პალისის არ ჰსძინავს, მაგრამ მინაქარი ჯერ არსად სჩანს. გავიდა მეორე დღეც; დადგა მეორე ღამეც; პალისის კიდევ არა სძინავს. სწორედ ამ გვარად მღვიძარებდა ეს საკვირველი და დაუღალავი კაცი ექვსი დღის და ექვსი ღამის განმავლობაში, მაგრამ სამწუხაროდ, მინაქარი კიდევ არ-

სად იყო; მაშინ ამას მოუვიდა ჰაზრად, რომ ეს მარცხები მას იქნება იმიტომ მოსდის, რომ მისგან ხმარებული მასალები კარგი თვისებისანი არ არიან, ანუ იქნება კარგად ვერ არიან ერთმანეთში გალესილნი და აზელილნიო. ამიტომ იგი ხელახლად შეუდგა გამოცდას. ასე განვლო ორმა სამმა კვირამ. მაგრამ, რადგანაც თისის ქოთნები ბევრი დაწვისაგან სრულიად გაფუჭებულიყვნენ, ახლების ყიდვისათვის კი მას სრულიად ფული არა ჰქონდა, ამიტომ პალისს ერთი საშუალებაღა დარჩომოდა— ეს იყო ვალის აღება. თუმცა მეზობლები და თვითონ ცოლიც ყველა ამის გამოცდილებებს უბრალოდ ფულის, დროს და შრომის დაკარგვას ეძახდენ, მაინც მას ყველა პატიოსან კაცად იცნობდა და ამიტომ ფული არავინ არ დაუჭირა. ეს იყო უკანასკნელი განწირულებითი გაბედვა და გამოცდა. დაანთო ფეჩში საშინელი ცეცხლი, მაგრამ მინაქარი არსად იყო; პალისი ჯერ კიდევ იმედს არა ჰკარგავს, მაგრამ რა ქნას, რომ შეშა ელევა! საწყალმა არ იცოდა რითი გასტანოს ბოლომდე ეს ჯოჯოხეთური ცეცხლი! ამ დროს მოიხედა და დაინახა ხმელი მარგილების მესერი; ის გალამქებული ეცა მესერსა, დაგლიჯა მერქნები და ჩაყარა ფეჩში, მაგრამ ვერც ამან უშველა რა: მინაქარი კიდევ არსადა სჩანდა. მაშინ პალისიმ დაწიოკებული ცოლ-შვილის წინაშე, რომელსაც ეგონა, რომ იგი ჭკუაზედ შეცდა, ხელი მიჰყო სახლის ავეჯეულობას, მიამტვრ-მოამტვრია სკამები, სტოლები და სულ ფეჩში ჩაყარა; მაგრამ არც ამან უშველა რა; შეშა კიდევ აკლია; ამ დროს სახლში მოისმა ცულის ხმა და სახლის იატაკის დამსხვრევა, რომლის ფიცრებიც პალისიმ უკან გაადევნა სკამ-სტოლებსა. იმისი ცოლი და შვილი საშინელი ქვი-

თინით და ჭყივილ-კივილით გამოცვივდნენ გარეთ. პალისი კი სრულიად დატანჯული და მოქანცული იყო ამდვენი მოუსვენარი შრომით, უჭმელობით და უძილობით. ამას გარდა ის შთავარდა ვალში და თითქმის სრულიად დაღუპულსა ჰგვანდა. მაგრამ, მის და ყველას სანეტაროდ საქმე სრულიად სხვანაირად გათავდა. უკანასკნელმა გარდამეტებით აღზნებულმა ცეცხლმა თავისი ქმნა და ჭურჭელს მინაქარი მოეკიდა. წინანდელი უშნო და მოშავო თიხის ქოთნები, ფეჩიდამ გამოღების და ჰაერზე გაგრილების შემდეგ გარდაიქცნენ მშვენიერ თეთრ ქაშანურ ჭურჭლებად. ამ დღიდგან პალისი უფრო ადვილად იტანდა ყველა დაცინვას, შეურაცხყოფას და უგულებელს-ყოფას. ამას იქით პალისის საქმე ის იყო, რომ დაექირავა ცალკე მეჭურჭლე ქოთნების გამაკეთებლად იმ ნიმუშებით, რომლებსაც თვითონ მისცემდა. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ პალისს ცხოვრების ყოველი საშუალება გამოელია და არ იცოდა რა საშუალებით დაეწყო საქმე. მის და სანეტაროდ ჯერ კიდევ იყვნენ იმისთანა კაცები, რომლებსაც, იმისი გამოგონვისა თუ არა სწამდათ რა, მის პატიოსნებაზედ მტკიცედ იყვნენ დაჯერებულნი და ამიტომ ერთმა ვინმემ გაბედა და მისცა მას სახლი და საზრდო ექვსი თვის ვადით, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრემდის ის დაამთავრებდა თავის მუშაობას. ამის შემდეგ პალისმა ააშენა სრული ფეჩი; მაგრამ აქაც საუბედუროთ შეცდომა მოუვიდა: ფეჩის აშენების დროს, იმან გარდამეტებით იხმარა ტალი, რომლისაგამო ფეჩი ძლიერი ცეცხლისაგან გასკდა და მისი ნაფხვენი ჭურჭელს მოეცხო. თუმცა ჭურჭელი კარგი გამოვიდა, მაგრამ ფეჩი სრულიად გაფუჭდა და ამით ნახევარი

წელიწადი ტყუილ-უბრალოდ დაჰკარგა. ამ დროს პალისი კინაღამ სასოჯკვეთებას არ მიეცა. ჯალაბობა და მეზობლები კიდევ არცხვენდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. მაგრამ პალისი, გამხდარი და მჭლე როგორც მკვდარი, ჩაცმული ძონძებში, გულსა შინა კიდევ ცდილობდა თავის გამაგრებას. ამ დროს ლუკმა პურის მოსაპოვებლად, პალისიმ ხელი მოჰკიდა წინანდელ საქმეებსა. მთელი წლის განმავალობაში ის ბეჯითად მუშაობდა და ცოტა არ იყოს ფეხზე წამოაყენა ასე საშინლად დაცემული სახლობა. ამის შემდეგ ის კიდევ შეუდგა შეყენებულ საქმეს: ააშენა ახალი ფეჩი, დაამზადა ჭურჭელი და გამოსწვა. ამის შედეგი იყო სრული გამარჯვება: ჭურჭელი გამოვიდა ფრიად მაგარი, თეთრი და მშვენიერი.

ასე და ამ გვარად თექვსმეტი წლის განმავლობაში პალისი მუშაობდა წარმოუდგენელი და დაუჯერებელი გაუტეხაობით, და, ბოლოს ისა ჰქმნა, რომ გამარჯვების გვირგვინი დაიდგა თავზედ! ახლა კი პალისიმ იგრძნო, რომ ის სრულ-ყოფილი მეჭურჭლეა, მაგრამ მაინც ის სრულიად არა ჰფიქრობდა დაცხრომას და შესვენებას! ყოველ წამს ცდილობდა უმეტეს წარმატებაში შეეყვანა ამდენი წვალებით მოპოვებული ხელოვნება. ჭურჭლის გაკეთებაში ნიმუშად ის ხმარობდა ბუნებას და ასეთი ნიჭით ამსგავსებდა თავის ნახელოვნარს ბუნებაში მყოფ საგნებსა, რომ ერთხელ საფრანგეთის უწარჩინებულესმა ბუნების მეძიებელმა ბიუფონმა (1707—1788 წ.) სთქვა მასზედ: «მხოლოდ ბუნებას შეეძლო დაებადა ამ გვარი ბუნების მეძიებელი!»

მისი მომეტებულად მშვენიერი ნამუშევარი, რომლისთანა

აწინდელ დროშიაც იშვიათად მოიძებნებიან, წარმოგვიდგენენ საკვირველ და მიუბაძველ დახატულებას სხვა-და-სხვა ველური ცხოველებისა, ქვემძრომელებისა და მცენარეებისას, რომლებსაც ის ათვალიერებდა და სწავლობდა სენტის არე-მარეში და მიუბაძავი გემოვნებით აწყობდა ამაებს ბადიებზე და ლარნაკებზე (ერთგვარი ჭურჭლისა, მშვენიერი სანახაობისა).

შემდეგში პალისიმ ძალიან გაავრცელა თავისი ხელობა; ახლა ამას ორი კარგი თანაშემწე ჰყვანდა: ესენი იყვნენ ამისი შვილები და მალეც გამდიდრდა. პალისი ამით არ დაკმაყოფილდა: ხანში შესვლაში ამან დასწერა რამდენიმე სამეცნიერო-თხზულება მეჭურჭლეობაზე, რომ წინადვე დაიცვას სხვანი შეცდომისაგან და საზოგადოდ ყველასათვის, ვისაც ჰსურდა მეჭურჭლეობის შესწავლა. ამას გარდა ბევრსა სწერდა მეურნეობაზე, სამხედრო სიმაგრეების აგებაზე და გამაგრებაზე, ბუნების მეცნიერებაზე და ამ უკანასკნელ სამეცნიერო საგნიდგან რამდენჯერმე, სხვა-და-სხვა კრებებზე ლექციებიც (რამე საგანზედ წაკითხვა, სწავლის გარდაცემა) წაიკითხა.

ეს პალისი, რომელმაც გამოიგონა ქამანური ჭურჭლის მინანქარით მოკიდება და რომელმაც ამით სრულიად ახალი საფუძველი და მიმართულება მისცა ამ ხელობას მთელ საფრანგეთში, გარდაიცვალა 1589 წელსა. მან იცოცხლა ოთხმოცი წელიწადი.

ეჭვი არ არის, რომ გაუტეხი შრომა არის უკეთესი და უძლიერესი იარაღი გამარჯვებისა. ერთხელ, ერთ ინგლისის გრაფმა არგაილმა ჰკითხა ნაცნობ მებაღეს ედმუნ სტონსა: «შენ, უბრალო და საწყალმა მებაღემ როგორ წაიკითხე და

მაგრე კარგად შეისწავლე ნიუტონის ვეება თხზულებანი, ლა-თინურ ენაზე დაწერილნიო?»—სტონმა უპასუხა «ყველა ადამიანისათვის საჭიროა მხოლოდ ოც-და-ოთხი ასოს შესწავლა, რომ ამის შემდეგ მას შეეძლოს ყოვლის შესწავლა, რასაც ის მოისურვებს: დანარჩენს იქმონენ ბეჯითობა, გაუტეხაობა შრომაში და დაუღალავი მეცადინეობა—ხეირიანად მოიხმაროს ყველა გარემოებანი!»

ვისაც სურს გაუტეხლად იმეცადინოს და იშრომოს; იმას მოკლე ხანშიაც ფრიად ბევრის გაკეთება შეუძლიან. თუ ამისთანა კაცი, ყოველ-დღე, ერთ ორ საათს მოაკლებს თავის ჩვეულებრივ განცხრომასა ან ცუდად დროის გატარებასა, მაშინაც კარგა წინ წაიწევს მისი ნამდვილი ცოდნა და გახსნილობა; ასე რომ ამ გვარად ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, უმეცარს შეუძლიან გახდეს განათლებულ კაცად, რომელიც კარგა საკმარისად იქმნება ყოველ-გვარი ცოდნით აღჭურვილი. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ინგლისელი ჯონ გენტერი (1728—1793 წ.), რომელსაც ოც-წლოვანობამდე არავითარი სწავლა არ მიეღო და, რომელმაც ამის შემდეგ საშინელის ძალის ხმევით წერა-კითხვა შეისწავლა. ამის შემდეგ გენტერმა ბევრი იმეცადინა, ბევრი ისწავლა თითონ და აჯობა თავის მას—პროფესორს მხოლოდ ამ დაუღალავი შრომით. ეს გენტერი იყო ინგლისის პირველი მეცნიერთაგანი, რომელიც ბეჯითად შეუდგა ადამიანის სხეულის აგებულების შესწავლას და თავის სიკვდილის შემდეგ დასტოვა ოცი ათასი დაწერილი შენიშვნები, რომლის გარჩევას და წესზე მოყვანას, გამოჩენილი პროფესორი ოუენი ათს წელს მოუნდა. ამასთან გენტერი იყო

მკურნალად წმ. გიორგის საავადმყოფოში (ლონდონშია), უფროს ექიმად მთელი ინგლისის მხედრობისა; უკითხავდა სტუდენტებს ლექციებსა და უხელმძღვანელებდა იმ სასწავლებელსა, რომელიც იმან საკუთარ სახლში გახსნა. ყველა ამას დაუმატეთ, რომ ჰუნტერი მხოლოდ ხუთს საათს იძინებდა და მაშინ თქვენ წინ სრულიად დაიხატება ამ საკვირველი კაცის შრომის-მოყვარეობა!

გამოჩენილი ინგლისის მხატვარი, ჯოშუა რეინოლდსი (1723—1792 წ.) მალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა შრომის-მოყვარეობას. იგი ამბობდა: «გენიოსობა, თქმა არ უნდა, ეკუთვნის იმ ნიჭსა, რომელიც ადამიანს ეძლევა თვით ბუნებისაგან, მაგრამ მაინც უნდა გავტყდეთ, რომ შეუმუშავობისაგან ეს გენიოსობა და ნიჭი შეიძლება სრულიად დაიხშოს და შემცირდეს ადამიანში. საზოგადოდ, ვინც თავი გამოიდო რამე საქმეში—ხელოვნებაში, მეცნიერებაში, თუ სხვა რამე დაწყობილებაში, საჭიროა, რომ იგი სრულიად გაიჟინოს დაწყებული ჭაზრით, საქმით და ამასთან გაუტეხლად იმუშაოს მათი სისრულეში მოყვანისათვის და დარწმუნებული იყოსო, რომ ამის შემდეგ იგიც გენიოსზე არა ნაკლებს გააკეთებსო!»

მსგავსად რეინოლდისა, იტალიის უდიდებულესი ხელოვანი მიქელ ანჯელოც (1474—1564 წ.) დიდად აფასებდა შრომის მოყვარეობას და თითონაც შესანიშნავი და დაუღლელი მუშაკი იყო. ის მუშაობის დროს კმაყოფილდებოდა ერთი პატარა პურის ნატეხით და ერთი სტაქანი ღვინით; მუშაობის შემდეგ დაძინებაში ტანისამოსს არ იხდიდა, რომ რა არის დრო არ დამეკარგოსო და რა წამსაც შესვენებას ვიგრძნობო,

მაშინვე მოვეკიდო საქმესაო. რეინოლდის მსგავსად ამისი მცნება იყო: «მუშაობა, მუშაობა და მუშაობა!»

## III.

### ენერგია და მამაცობა

ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ ერთი წარჩინებული სიტყვა, რომელიც ძლიერ კარგად გვიხატავს ინგლისელებსა: «მე არ მრწამს არც კერპები და არც ეშმაკები», ამბობდა ერთი წარსული დროის ინგლისელი, «მე მრწამს მხოლოდ ჩემი საკუთარი სულის და ხორცის ძალა და უუსაშინელეს შემთხვევაშიაც, მხოლოდ ამ უკანასკნელს ვენდობი მეო.» უწინდელი მეზარადი (მხედრების თავზედ სახურავი სპილენძისა) გამოხატული ბარით და შემდეგი ზედ-წარწერით: «ანუ ვიპოვნი გაკვალულ გზასა, ან მე თითონ გავკვალავ მას», იყო ზემო-თქმულისავე აზრის, ე. ი. ინგლისელების შეუპოვარი დამოუკიდებლობის ხასიათის და ნივთიერებითი გაძლიერების ლტოლვის გამომეტყველი.

ენერგიული ხასიათი ადამიანში შეუნაცვლებელი რამ თვისებაა. უიმისოდ ყოვლად შემძლებელი შრომის მოყვარეობაც თითქმის რომ არაფერია. მხოლოდ ენერგია აძლევს ძალას ადამიანსა, გაიკვალოს გზა იმ ათას გვარ დაბრკოლებებთა შორის, რომელნიც მას მოქმედების ასპარეზზე უხვად წინ წამოეჩოთირებიან ხოლმე. რომელიმე დაწყობის წარმატებით წარ-

მოებისათვისა იმდენად საჭირო არ არის დიდი ნიჭი, რამდენადაც გარკვეული გამბედაობა. ამიტომაც ხასიათს ჩვენ შეგვიძლიან უწოდოთ ადამიანის ქვა-კუთხედ ნიჭად,—შეიძლება ვსთქვათ, რომ მხოლოდ იგი და სხვა არაფერი, შეადგენს თვით ადამიანსა. იგი აძლევს მიმართულებას ყოველ მის მოქმედებას და სიცოცხლეს უმატებს ყოველ მის ლტოლვას. მხოლოდ ამაზეა დამყარებული იმედი, ის იმედი, ურომლოთაც თვით სიცოცხლეც შეუძლებელია. სირახიც (ებრაელთა მწერალია) კი ამბობს: «ვაი სულ-მოკლეს!» მართლაც და, აბა, რა იქნება მხნეობაზე და სიმტკიცეზე უმჯობესი! ამ შემთხვევაში, მარცხის შემდეგაც, იმით მაინც ვნუგეშობთ, რომ ყოველი ჩვენზე დამოკიდებული საშუალება პატიოსნად მოვიხმარეთ. ჩვეულებრივ ცხოვრებაში მშვენიერი სანახავია ის კაცი, რომელიც მომთმინეობით ამარცხებს ყოველ თავის ტანჯვას, წვალებას, გაჭირებას და რომელიც დასისხლიანებულ-დაქანცული ხელ-ფეხით მაინც გმირულად წინ მიდის, შეგულიანებული მხოლოდ საკუთარი მხნეობით და მამაცობით. თუ სურვილი, მხოლოდ სურვილად რჩება და მოქმედებაში არ გადადის, მაშინ იგი შეიძლება გარდაიქცეს ადამიანის დაუძლეველ სენად. რაკი ადამიანს ერთხელ დაებადა კეთილი განძრახვა, საჭიროა, რომ იგი რაც შეიძლება მალე აღსრულებაში მოყვანილ იქმნას, ყოველის სიძნელის დაურიდებლად და ამასთან ნათელი და მშვიდი გულით, როგორც სიცოცხლის აუცილებელი მოვალეობა. ვინც უბრალო დაბრკოლებას, ანუ რამე სიძნელის გამო, სწორს გზას უხვევს და ბეჯითობას იკლებს, იგი, წინათვე იცოდეთ, მარც-

ხის გარდა ვერაფერს ნახავს. სვედების მეფე კარლოსი მეცხრე (1550—1611 წ.) პატარებშიაც ძალიან აფასებდა ხასიათის სიმტკიცეს. როდესაც იმის შვილს რამე ძნელი საქმე უნდა გაეკეთებინა, მამა მეფე ხელს თავზე დაადებდა და ალერსიანად ასე იტყოდა: «ჩემი შვილი შეასრულებს ამას! ჩემი შვილი უთუოთ შეასრულებს ამ საქმესაო!»

ყველაფერი, რასაც კი აქვს რამე ფასი, შეიძლება მიღწეულ იქმნას მხოლოდ მხნე და გულოვანი შრომით. ადამიანის წარმატება დაფუძნებულია იმ ყოვლის ღონით ცდაზე, რომელსაც ჩვენ ვეძახით ძალის ხმევას. ამ შემთხვევაში, საკვირველი და გასაშტერებელი ის არის, თუ რა გვარად მსუბუქმისაღწევ საქმედ გარდაიქცევიან ხოლმე ის ჩვენი საქმეები, რომელნიც აქამომდე შეუძლებელ რამედ მიგვაჩნდნენ. მხოლოდ ორჭოობი და მშიშარა ადამიანებს ჰქონიათ, რომ ესა და ეს საქმე შეუძლებელია, ერთს საფრანგეთის ახალ-გაზდა აფიცერზე ამბობენ, რომ ის თავის ოთახში გავლა-გამოვლაში ჩვეულებრივად შემდეგს ამბობდა: «მე გავხდები საფრანგეთის სპასპეტათ და უუდიდეს ლაშქართ-სარდლათაო.» შემდეგში ამან მართლაც მოიპოვა სახელი წარჩინებული სარდლისა და გარდაიცვალა საფრანგეთის სპასპეტად.

ინგლისის მწერალს უოკეთს ასე ღრმად სწამდა ძალოვნება ხასიათისა, რომ როგორც თვითონ ამბობს, ერთხელ ავათმყოფობის დროს მე გარდავწყვიტე მორჩენა და მართლაც სრულიად მოვრჩიო. როდესაც არაბები პორტუგალიელებს შეებნენ, პირველების სარდალმა მულეი მოლუკმა, სრულიად მოურჩენელი ავათმყოფობით და დაქანცულობით შეპყრობილმა,

გაჭირების წამს შეიკრიფა ყოველი თავისი ძალა, ადგა მოა-პიდამ, რომელზედაც იმას ატარებდნენ, შეკრიფა გაფანტული ჯარი, ხელმეორედ წაიყვანა ომში და სრულიად მიამარცხ-მოამარცხა მტერი; მაგრამ ამ საშინელმა უკანასკნელმა ძალის-ხმევამ და უფრო მეტათ დაქანცულობამ. ეს გმირი თვითონაც თან გადიტანა. მხოლოდ თვით-ნებითი ხასიათს და ენერგიით მეცადინეობას შეუძლიან ქმნას ყოველი. ერთი საფრანგეთის მწერალი ლამენნე (1782 1854 წ.) ასე ეტყოდა ხოლმე ერთს მხიარულ და უდარდელ ახალგაზდას: «თქვენ ახლა იმ წლოვანებაში ხართ, როდესაც უნდა დასასრულად შეიმუშაოს ხასიათი და რადგანაც ხასიათის სიმტკიცე სხვა ნიჭზე უფრო ადვილად გარდაიქცევა ხოლმე ადამიანში ჩვეულებად, ამიტომ ეცადეთ და იბეჯითეთ, რომ ეს ხასიათის ძალა თქვენში იყოს ძლიერი და გამბედავი, მიეცით თქვენს სიცოცხლესა მტკიცე მიმართულება და ნურა შემთხვევაში სწორ გზას ნუ გადაუდგებითო.»

ბექსტონი (გამოჩენილი ინგლისელი 1786—1845 წ.) მტკიცედ დაჯერებული იყო, რომ ახალგაზდას შეუძლიან იმ გვარ კაცად გახდეს, როგორიც თვითონა სურს, თუ ის წინათვე გარკვეულად გამოიანგარიშებს მოქმედების ვითარებასა და გაუტეხლად გაჰყვება ამ თავის გარდაწყვეტილებას. ერთს თავის შვილთაგანს, რომელიც სკოლაში სწავლობდა, ბექსტონმა მისწერა: შენ ახლა იმ წლოვანებაში ხარ, როდესაც უნდა არჩევანი მოახდინო კარგ და ცუდ, სწორ და მრუდ გზას შუა. შენ ახლა ან უნდა წარმოიდგინო საბუთები, მტკიცედ აღსრულებისა, ერთხელ მიღებული წესების და სულის ძლიე-

რებისა, ანუ უნდა შთავარდე უსაქმობაში და შეითვისო ჩვეუ-
ლებანი დაუდეგარი ახალ-გაზდისა. მე დარწმუნებული ვარ,
რომ ახალგაზდას ნამდვილად შეუძლიან ის გასდეს, რაც სურს;
თვით ჩემი ცხოვრება არის ამის დამამტკიცებელი. თუ შენ
მტკიცედ გარდაწყვიტე იყო ენერგიული და დაუღალავი მომქ-
მედი, მაშ მომილოცნია, შენ ნაშველი ხარ და მომავალში
ბევრს გაიხარებ, რომ მაგ გზას დაადექი.»

არის ერთი ძველებური მაგრამ ძრიელ მარტივი სიტყვა: «სა-
დაც ხასიათია, გზაც იქ არისო!» და მართლაც, ვინც ერთხელ
მტკიცედ გარდასწყვიტა საქმის შესრულება, მან ამით თითქმის
ყველა დაბრკოლებანი დასძლია და მიაღწევს კიდეც მიზანსა.
ვინც დაჯერებულია, რომ იმას შეუძლიან ამა-და-ამ საქმის გა-
კეთება, იმას, შეიძლება ვსთქვათ, რომ შესრულებულიც აქვს
თავისი განზრახვა; ერთი გარდაწყვეტა და გამბედაობა საქმის
სისრულეში მოყვანისა, ხშირად უდრის თვით საქმის შესრუ-
ლებას ისე, რომ მტკიცე გამბედაობა აქ თითქმის რომ ყოვ-
ლად შემძლებელ არსებად გამოდის. გასაშტერებელს მაგალითს
ამისას და ყველა ზემო-თქმულის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვე-
ძლო მრავალი მაგალითი მოგვეყვანა ინგლისის და სხვა ხალ-
ხების სამხედრო ისტორიიდგან; მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ ორი-
ოდე მაგალითსა სხვა გვარ, უფრო მშვიდი მოქმედების ასპა-
რეზიდამ. ამ გვარი ენერგიით მოქმედების მაგალითებს წარ-
მოგვიდგენენ ლივინგსტონი და სხვა მრავალნი, რომელთაც
ასეთი სახელი მოიგეს უშორეს წარმართთა ქვეყნებში.—ინ-
დოეთში, აფრიკაში და დიდ-ოკეანის კუნძულზე. ყველა ეს
წარჩინებულნი წარმართ-მომქცევნი გამოვიდენ მდაბიო ხალხი-

დგან. მაგალითად ლივინგსტონის წინაპარნი იყვნენ სწყალნი, მაგრამ პატიოსანნი შოტლანდიელები. დავით ლივინგსტონი ათის წლისა იყო, როდესაც მან პირველად მუშაობა დაიწყო ერთ ბამბეულ ქარხანაში გლაზგოვის ახლო. აქ გამოზოგვილი ფულით მან იყიდა ლათინური გრამატიკა და იწყო მის შესწავლა ღამ-ღამობით, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე წელიწადი. ის მუდამ ღამის თორმეტ საათამდის იჯდა ხოლმე სასწავლებლად, ვიდრე დედა ძალად არ დააძინებდა, რადგანაც დილის ექვს საათზე მზად უნდა ყოფილიყო ქარხანაში წასასვლელად. ასე და ამ გვარად ლივინგსტონმა შეისწავლა ვირგილიის და გორაციის (ორივენი იყვნენ რომაელების პოეტები 70—19 და 65—9 წ.წ. ქრისტეს დაბადებამდე) თხზულებანი და გარდიკითხა სხვა მრავალი წიგნები. ქარხანაში ოწინარების (მაშინების) რახა-რუხში, მუშაობის დროსაც კი, თავს არ ანებებდა წიგნსა და ყოველ თავისუფალ წამს წიგნების კითხვას ახმარებდა. ამდენი კითხვით მან მრავალი ცოდნა შეიძინა და პატარაობითვე მოიწადინა გახდეს წარმართთა მომქცევად. ეს იყო მიზეზი, რომ ლივინგსტონმა ახლა მოჰკიდა ხელი მკურნალობის შესწავლას, რადგანაც იცოდა, რომ ველურ და გაუნათლებელ ხალხებში უმკურნალოდ ბევრს ვერაფერს გაარიგებდა. ამიტომ ლივინგსტონმა იწყო დიდის დამზოგველობით ცხოვრება, რადგანაც მომეტებული ფული, რომელსაც ის მუშაობაში იღებდა, უნდებოდა სამკურნალო, ბერძნული ენის და ღვთის-მეტყველების გაკვეთილების შესწავლაში. აქედამ ცხადად სჩანს, რომ ლივინგსტონი ერთსა და იმავე დროს სცხოვრებდა და სწავლობდა კიდეც თავისი საკუთარი სამუშაო

ფულებით და ერთი კაპეკიც სხვა რომელიმე წყაროდამ არას დროს არ შემოსვლია. სამკურნალო მეცნიერების შესწავლის შემდეგ, ლივინგსტონმა განიზრახა ჩინეთში (აზიაში) წასვლა საქადაგებლად, მაგრამ რადგანაც იმ დროს ინგლისს ჩინეთთან ომი ჰქონდა, ეს აზრი ვერ აუსრულდა. მაშინ ის გაემგზავრა აფრიკაში, სადაც მივიდა 1840 წ. აფრიკაში მისვლისათანავე იმან იწყო ცხარე მუშაობა. ის სცხოვრებდა ბეჩუანებში (აფრიკაში მცხოვრები ხალხია) და მასთან ერთად სთხრიდა არხებსა, აშენებდა სახლებსა, ამუშავებდა მინდვრებსა, ამრავლებდა საქონელსა და ამავე დროს ასწავლიდა. ერთხელ მუშაობიდამ დაბრუნების დროს ლივინგსტონი ვერ მიჰყვა იქაურს ხალხს სიარულში, რადგანაც ბეჩუანები ჯანმრთელი და მარდად მოსიარულე ხალხი იყო და ის კი, მათთან შედარებით, სუსტი. ერთხელ ლივინგსტონმა გაიგონა თავისზე შემდეგი სიტყვები: «ეს არ არის ღონიერი, ძრიელ ჩქარა იღლებაო». ამ სიტყვებმა გულზედ მოიყვანეს დავითი და რამდენიმე ხნის განმავლობაში დაუღალავად და მოუსვენრად მუშაობდა და ვარჯიშობდა, რომ ამით ღონე მოიმატოს და დაუღლელობას შეეჩვიოს. მეცადინეობამ ფუჭად არ ჩაუარა: ამის შემდეგ სრულიად წინააღმდეგი სიტყვა გაიგონა ხალხში თვის შესახებ, რადგანაც ყველა გაკვირვებული იყო მისი დაუღალაობითი მუშაობით. თუ რას აკეთებდა ლივინგსტონი აფრიკაში და როგორ გაუტეხლად და უშიშრად მოქმედობდა ის იქ, ყველა ეს უცხოდ არის აწერილი თვით ლივინგსტონისაგან დაწერილ თხზულებაში: «წარმართ-მომქცევის მოგზაურობანი», რომელიც უმშვენიერესი წიგნია ყველა ამ გვარ გამოცემულ წიგნებთა შორის.

გასაშტერებელია აგრეთვე ჯონს განვეის მოქმედება. (1712—1786 წ.) ის იყო ვაჭარი, მაგრამ იდიდა თავი და სახელი მოიგო მხოლოდ უსაყვედურო სიმართლის და სამშობლო კაცთ განუსაზღვრელი მოყვარეობით, ის იმ მომთმენ და გაუტეხელი კაცების დასს ეკუთვნოდა, რომელთა წყალობით ინგლისი აწინდელ წარმატებაშია, ე. ი. კაცებს, რომლებმაც ენერგიულად აღასრულეს მოვალეობა და საქმე, რომლის შესრულებისათვისაც ისინი მიწვეულნი იყვნენ. განვეი დაიბადა 1712 წელსა; მამა ბავშვობაშივე მოუკვდა და მისი დედა გადმოვიდა ლონდონში, რომ, შეძლებისა-მებრ, კარგი აღზრდა განათლება მისცეს თავის ერთად ერთს შვილსა. როდესაც განვეი ჩვიდმეტი წლისა შეიქმნა, დედამ გაგზავნა ის ლისაბონში (პორტუგალიაშია) ერთს ვაჭართან, ვაჭრობის შესასწავლად, სადაც მან თავისი მუდმივი ყურადღებით უწყებულ საქმეში, რიგიანობით, სისწორით, გაუტეხელი პატიოსნებით და სიმართლით დიდი პატივის-ცემა დაიმსახურა ყველასაგან, ვინც მას იცნობდა. შემდეგ, რამოდენიმე წლის განმავლობაში ის ვაჭრობდა რუსეთში, სპარსეთში და ერთხელ, როდესაც ამან მიიღო ერთი გარდაცვალებული ახლო ნათესავისაგან კარგად დიდი შეძლება, დაბრუნდა ინგლისში. დაბრუნების მიზეზი, თვით განვეის სიტყვით, იყო სიმრთელის მობრუნება და განსაკუთრებით ის, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს თავის საყვარელს ქვეყანას. მართლაც და მთელი ამისი სიცოცხლე ინგლისში განუწყვეტელი მოქმედება იყო მოყვასთა სასარგებლოდ და მათ საკეთილ-დღეოდ.

ერთი უპირველესი საქმე, რომელშიაც განვეიმ თავი გა-

მოიჩინა, იყო გზების გაუკეთესობა ინგლისში. ლონდონის მაშინდელი ქუჩები წარმოადგენდენ ერთს საშინელ სანახაობას: ყველგან ლაფი, გუბე, ორმო, ღრე, ქვა და ერთის სიტყვით ყველა ის, რაც ასე საშინლად აბრკოლებს მისვლა-მოსვლას. განვეიმ ასე გაუტეხლად და ენერგიულად იმეცადინა, რომ მართებლობა იძულებული იყო ყურადღება მიექცია მის მოთხოვნასათვის, რომლის შემდეგ ლონდონის ქუჩები იმდენსავე მომარჯვებულებას და სიწმინდეს წარმოადგენდენ, რამდენსაც ამას წინად ფათერაკსა და უწმინდურებას. 1755 წელსა, საფრანგეთის ქალაქში ბრესტში შეიკრიბა კარგა დიდი გუნდი სამხედრო ხომალდებისა დიდის ჯარით, რომელსაც განზრახვად ჰქონდა ინგლისის მიწაზედ გამოსვლა და მისი დაპყრობა. განვეიმ შეიტყო ეს თუ არა, ყოველი საშუალება და ხასიათის მალა იხმარა, რომ ვაჟ-კაცობა ჩაუდოს ინგლისის ზღვის მხედრებსა. ამ დროს განვეიმ დაინახა, რომ ინგლისს აკლია გამოცდილი ზღვის მხედრები და ამიტომ განიფიქრა შემდეგი საშუალებით წარმართოს ეს საქმე: «მან მოახდინა ვაჭართა კრება და წინადადება მისცა: შევადგინოთ ჩვენთა შორის საზოგადოება და დავამზადოთ და მოვაწყოთ დახელოვნებულნი მხედარნი, როგორც ხმელეთზე ისე ზღვაზეო» ეს წინადადება აღტაცებით იქმნა მიღებული; მაშინვე შესდგა საზოგადოება, დაიქირავეს თავისუფალი მხედარნი, დაუნიშნეს მათ გამოცდილი აფიცრები და ყველა ამ საქმის მართვა ჩააბარეს თითონ განვეის. ამის შედეგი ის იყო, რომ 1756 წელს, საინგლისოში დაარსდა ეგრედ-წოდებული «ზღვის საზოგადოება», რომელმაც არა ერთხელ დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა მთელს ინგლის-

სა. ექვსი წლის შემდეგ დაარსებისა ამ საზოგადოებამ მოამზადა და ზღვაზედ საომრად გამოიყვანა რამდენიმე ათასი მხედარი: ეს ცოტაა: დაარსებიდამ აქამომდე ეს საზოგადოება ყოველ წელს ამზადებს (ღატაკი მშობლების შვილებისაგან) ექვსას კარგა განათლებულ და დახელოვნებულს ზღვაზე საქმის მცოდნე ახალგაზდებსა, რომლებიც მომეტებულად სავაჭრო ხომალდებზე და ორთქლ-საცურავებზე შედიან სამსახურში.

დანარჩენ თავისუფალ დროს განვეი ახმარებდა ზოგიერთ კეთილ დაწესებულებების დაფუძნებას. მაგალითად, ამან ძლიერ დიდი შემწეობა აღმოუჩინა, როგორც ფულით, ისე საკუთარი შრომით, «ბავშვების მომვლელ და აღმზრდელ სახლსა.» ამისივე მეცადინეობით დაარსდა «მაგდალინის თავ-შესაფარებელი,» სადაც ბევრი, ძლიერ ბევრი, სისაწყლისაგან, თუ სხვა მიზეზებისაგან გაფუჭებული და გარყვნილი ქალი და დედა-კაცი მოიქცა და კეთილ გზას დაადგა. განვეი დადიოდა ამ გვარ ქალებთან თუ დედაკაცებთან, მამობრიულად ურჩევდა მათ ცხოვრების გამოცვლას და მოქცეულებს გზავნიდა «მაგდალინის თავ-შესაფარებელ-სახლში,» სადაც ისინი მუშაობდნენ კარგ ხელ-ფასად.

მაგრამ, რა არის ყველა ზემოთქმული იმ ხანგრძლივ შრომასთან, რომელიც განვეიმ გასწია სოფლის საწყალი ბავშვების სასარგებლოდ, განვეის მეცადინეობა ამ უმანკო და უბრალო ბავშვების სასარგებლოდ მართლა რომ გასაშტერებელია, საშინელი სანახავნი იყვნენ ეს უმანკო მცირე-წლოვანი არსებანი: სილატაკე, მოუვლელობა და ამის გამო გარდამეტებითი ხშირი სიკვდილი მათში. დაუჯერებელი იყო, მაგრამ მშველელი

კი ჯერ არსად სჩანდა. აი ამ საქმეს მიმართა განვეიმ მთლად თავისი ენერგია. ის ყველაზე უწინარეს შეუდგა იმის გაცნობას, თუ რამდენად არის, ეს დასაღუპავი მოვლენა, გავრცელებული. ამან ბეჯითად იწყო ლონდონის ღატაკთა გლახ-სახლების, ხანაგების (უძლურთათვის შესაფარებელი სახლები), საავათმყოფოების და ყველა ამ გვარი სამზრუნველო სახლების დაწვრილებით შესწავლა. ამას გარდა, რომ კარგა ვრცლად შეიტყოს ყოველი ამ საქმის შესახებ, განვეი გაემგზავრა ჰოლანდიაში და საფრანგეთში. ნახა იქ ყველა საჯარო დაწესებულებანი საწყლებისათვის, რომელნიც სულ დაწვრილებით აღწერა. ამ საქმეს განვეიმ მოანდომა სწორედ ხუთი წელიწადი, რომლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და დრო და დროს მიმავლობაში გამოსცა თავისი დაკვირვებანი ცალკე წიგნებად. ეს მისი თხზულებანი ასეთ საშინელებას აღწერავდნენ, რომ არავის არა სჯეროდა მისგან მოყვანილი ამბების სინამდვილე. ამავე დროს განვეიმ მოიწადინა, სარისხის გაურჩევლად, საჯაროდ გამოაცხადოს ყველა იმ გვამთა სახელები, რომელთა ზრუნვაზე მიგდებული იყო ადგილობრივი საწყლების მდგომარეობის გაუმჯობესობა, მაგრამ რომელნიც ამ საქმეს სრულიად არავითარ ყურადღებას არა აქცევდნენ; ეს იყო მიზეზი, რომ განვეის კარგა ბლომად მტრები აღმოუჩნდნენ.

აღმოჩნდა, რომ 23 საწყალი ბავშვებისაგან, რომელნიც ჩაებარებინად ძიძებისათვის. ერთს წელიწადში 18 გარდაცვლილიყო. 2 დაეთხოვნათ და მხოლოდ სამიღა დარჩომილიყო ცოცხალი, მეორე ამ გვარ აღმრზდელ სახლში 75-ტი ბავშვიდამ 64 მომკვდარიყო. ზოგიერთ ადგილებში ერთი წლის დას-

რულებში არა რჩებოდა არც ერთი ბავშვი: ყელა უდროოთ ეთხოვებოდა ამ ნათელ ქვეყანას! ყოველთვის, როდესაც დამნაშავენი თავს იმართლებდნენ, განვეი საჯაროდ აცხადებდა გარდაცვალებული ბავშვების სახელებსა, მათი დაბადების და სახლში მიღების დღესა, მათი ძიძების და მომვლელების სახელებსა.

შემდეგ განვეიმ ბევრი იმგზავრა თვით ინგლისში, რომ შეადაროს გარე ადგილების ყრმათა-აღმზრდელი სახლების სიკვდილიანობა, ლონდონის ამ გვარ სახლების სიკვდილიანობას; და ყველგან ხედავდა ერთს და იმავე სატირელ მოვლენას: სიკვდილიანობა ძალიან ხშირი იყო, რომელიც წარმოსდგებოდა მრავალთა ყრმათა ერთად, ვიწრო ოთახებში ცხოვრებისაგან, ცუდი ჭაერისაგან და უწესო მოუვლელობისაგან. ამ ამბების საჯაროდ გამოცხადებას, მერე ამისთანა მართალი და უტყუარი კაცისაგან, როგორიც იყო განვეი, არ შეიძლებოდა, რომ დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა უუგრილეს და ულმობიერეს ადამიანზედაც; მრავალი ამ გვარი დაწესებულებანი მმართებლობამ იმავე წელს გარდაასხვაფერა და გააუმჯობესა. შემდეგში განვეიმ იმდენი იმეცადინა, რომ პარლამენტს გამოეცემინა ბრძანება, რომლითაც ყველა სამზრუნველო სახლებსა, ვალად ედებოდა დავთრების შემოღება, სადაც მათ ყოველწლივ დაწვრილებით უნდა ჩაეწერათ მიღებული, დათხოვნილი და გარდაცვალებული ყრმების სახელები; თვით განვეიც წარმოუდგენელი დაუღალაობით სასტიკად უგდებდა ყურს ამ ბრძანების ასრულებში მოყვანას. დილით ის მიდიოდა ერთი სამზრუნველო სახლიდგან მეორეში, მესამეში, მეოთხეში... პარ-

ლამენტის ერთი წევრიდგან მეორესთან, რომლებთანაც სულ საწყალთა სასარგებლოდ მეცადინეობდა.

ასე მიდიოდა მისი ცხოვრება თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. დასასრულად, წარმოუდგენელი გაუტეხაობის შემდეგ, განვეიმ დაამტკიცებინა პარლამენტს ის ჲაზრი, რომ, რომელ სახლებშიაც ხშირი სიკვდილი იყო, მობარებული ბავშვები დაეზარდათ არა თვით სამზრუნველო სახლებში, არამედ გაგზავნილ ყოფილიყვნენ ახლო-მახლო სოფლებში, რამდენიმე სასტიკ მზრუნველობის ქვეშ. ამ საშუალებამ ისა ჲქმნა, რომ მართლაც მრავალი ათასი ბავშვი გარდარჩენილ იქმნა სიკვდილსა. არც ერთი კაცთ-მოყვარე საქმე ისე არ დაწყებულა ლონდონში, რომ ჯონას განვეის მასში მონაწილეობა არ მიეღო. ამისი უანგარობა და გულ-წრფელობა ახლა კი ყველასაგან აღიარებული იყო, ის ასეთი თავ-გამოდებული იყო გაჭირებულთათვის, რომ მუდამ მზად იყო უკანასკნელი თავისი ქონება სულ მათზე გადაეგო. განვეი მოხუცდა, დასუსტდა, მაგრამ განა შეუძლიან ამ გვარ კაცს უსაქმოდ ყოფნა! განვეიმ ახლა სულ თავისი ხორციელი და გონებით-ზნეობითი ძალები მიმართა საკვირაო სკოლების გახსნას და საწყალი ზანგის მდგომარეობის გაუმჯობესობას, რომელნიც იმ დროს ყოვლის უსაქმოდ დაეხეტებოდენ ლონდონის ყველა ქუჩებში და საზოგადოდ ყველასაგან უგულებელ-იყვნენ. თუმცა განვეიმ ყველაზედ უკეთესად და დაწვრილებით იცოდა, აუარებელი საწყალი ხალხის განწირული მდგომარეობა, მაინც იგი ძლიერ მხიარული და მშვიდი გულის კაცი იყო, მხოლოდ ამ თვისების წყალობით მან, სხეულით სუსტმა, აიტანა ის აუარებელი

წყენა და შეურაცხყოფა, რომელიც მას ყოველი მხრიდგან მოსდიოდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. განვეის ისე არაფრისაგან ეშინოდა, როგორც უმოქმედობის და უსაქმობისაგან. თუმცა ის, თითქმის გარდამეტებით, სუსტი აგებულების პატრონი იყო, მაინც მის გამბედაობას და დაუღალავობას საზღვარი არა ჰქონდა. ზნეობითი მხნეობა, რომლითაც ის ასე უხვად იყო შემკული, არა ყველას ექმნება. განვეი იყო უსაყვედურო პატიოსნების და გარდამეტებით მართლის მოყვარე კაცი; იმის სიტყვას ყოველთვის უპირობოდ შეიძლებოდა დანდობოდა კაცი. საზოგადოდ მას ყველა დიდ-პატივსა სცემდა, თითქმის თაყვანსა ჰსცემდენ. ყოველ თავის სიტყვას, საქმეს, მოვალეობას განვეი მტკიცედ, რიგიანად და სწორედ ასრულებდა.

როდესაც განვეი გახდა სამოცდა თორმეტის წლისა, იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, რომელსაც ის ასე მშვიდად მოელოდებოდა, როგორც სადმე უცხო ქვეყნებში გამგზავრებასა. მაშინ განვეიმ გაათავა ყველასთან რაც ანგარიში ანუ საქმეები ჰქონდა, გამოეთხოვა მეგობართა, დაამზადა ყველა საჭირო განკარგულებანი და სრულიად მშვიდად გამოეთხოვა თავის გარდამეტებით ნაყოფიერს სიცოცხლესა. სიკვდილის შემდეგ მას დარჩა მხოლოდ ათას-ორასი მანათი, რომელიც მისი ანდერძისამებრ გაუნაწილეს რამდენსამე უუსაწყლეს ობლებსა. ასეთი იყო ჯონას განვეის ღირს-საქები სიცოცხლე, რამდენადაც შეიძლებოდა მისი აღწერა, რამოდენიმე სტრიქონით. ამას ყოვლის სიმართლით ეკუთვნის პატიოსანი, ენერგიული მუშა-

კის და პირიანი ადამიანის სახელი. არა ბევრი ამისთანა შვილი დაბადებულა, არათუ ინგლისში. არამედ მთელ ქვეყნიერობაზედაც.

გრენვილ შარპის (1735—1813 წ.) ცხოვრება წარმოგვიდგენს მეორე ბრწყინვალე მაგალითს პირადული ენერგიის ძალოვნებისას, რომელიც მან გამოიჩინა განსაკუთრებით მონობის მოსპობაში. თავის ცხოვრება შარპმა იწყო შაგირთობით ერთს ვაჭართან, რომლიდგანაც ის გადვიდა უბრალო-მწერლად ერთ სასამართლოში. ამ დროს ის მოცლილობაში სწავლობდა ბერძნულს და ებრაულს ენებსა, რომელნიც მცირე ხანში უცხოდ შეისწავლა. შემთხვევა, რომელმაც სრულიად სხვა მიმართულება მისცა შარპის მოქმედებას, იყო შემდეგი: ამისი ძმა, ექიმი, ვილიამი, ხშირად უფასოდ სწამლობდა საწყლებსა. სხვებთა მრავალთა შორის იყო ერთი ზანგი (ზანგებად საზოგადოდ უწოდებენ აფრიკის მცხოვრებლებს! 1480 წლიდამ პორტუგალიელებმა პირველად იწყეს ზანგების სამშობლოდამ გადმოყვანა და გასყიდვა ამერიკაში მუშაობაში სახმარებლად. შემდეგში ამათ მიჰბაძეს ისპანიელებმა, ფრანცუზებმა და ინგლისელებმა, ასე რომ ამ კაცობრიობის დამამცირებელი საშუალებით მოაშორეს თავიანთ სამშობლოს თერთმეტ მილიონზე მეტი ზანგი. აი ამ საწყლების სასარგებლოდ ცდილობდა შარპი და რა გააკეთა ქვევით იხილავთ), ჯონატან სტონგი, რომელიც ეკუთვნოდა ვინმე ადვოკატს (სასამართლოში ვისიმე უფლების დამცველი). ეს უფალი ასე სასტიკად ეპყრობოდა ამ სამშობლოს ძალად მოშორებულს აფრიკანელსა, რომ მომეტებული ცემის და შეწუხებისაგან სრულიად ბრმა და უძლური

შეიქმნა. რა ნახა უფ. ადვოკატმა, რომ ავად-მყოფი ზანგი, ხარჯს გარდა, მას არავითარ ხეირს არ მოუტანს, შეუბრალებლად სახლიდგან დაითხოვა ღვთის ანაბარაზე. ამის შემდეგ საწყალი სტონგი იკვებებოდა მათხოვრობით იმ დრომდე, ვიდრე მას არ შეჰხვდა მწყალობელი ვილიამ შარპი, რომელმაც არა-თუ უწამლა, სავადმყოფოშიაც დააწვინა, სადაც ის რამოდენიმე ხნის შემდეგ სრულიად გამრთელდა. მორჩენის შემდეგ ორივე ძმები შეძლებისამებრ, ხელს უწყობდენ სტონგსა და არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ამის შემდეგ, ვინმედა გაჰბედავდა საკუთრების უფლებას გამოაცხადოს მასზე. ამათ მოათავსეს კიდეც სტონგი ერთს აფთიაქართან მოსამსახურედ, რომელთანაც ორი წელიწადი დაჰყო. აქ აფთიაქში ერთხელ ის ენახა წინანდელს ბატონსა და გამოეცხადებინა თავისი უფლება ამ კაცზე. უფალმა ადვოკატმა ორი სამსახურის პირის შემწეობით დაიჭირა სტონგი და ამერიკაში გაგზავნამდე სატუსაღოში ჩასვა. აქ ზანგს მოაგონდა თავისი მწყალობელი შარპი და წერილი მისწერა, რომელშიაც აუწყა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. შარპს დავიწყებოდა სტონგის სახელი, მაგრამ მაინც მოიკითხა, თუ ვინ არის საპატიმროში დაჭერილი, გამოჩნდა, რომ საპატიმროს ზედამხედველები ჰმალავენ მას. შარპის ეჭვი აღიგზნა: დაუყოვნებლივ თითონვე წავიდა საპყრობილეში და ძალით ინახულა ის, ვინც მას წერილსა სწერდა. რა იცნო წინანდელი საწყალი ზანგი, რომელიც ხელ-მეორედ შთავარდნილიყო მონობაში, შარპმა საკუთარი პასუხის გებით უთხრა საპატიმროს ზედამხედველს, რომ არამც-და-არამც ეს ზანგი არავის დაანებოს, ვიდრე ქალაქის მოსამართლესთან არ წარვადგენ

ამ კაცის საქმესაო, რომელთანაც დაუყოვნებლივ გასწია კიდეც და ძალა დაატანა მას, სამართალში მიეცნენ ყველა ისინი, ვინც ასე უსამართლოდ ჩააგდო სტონკი საპყრობილეში.

როდესაც მოსამართლემ იწყო საქმის განხილვა, აღმოჩნდა, რომ წინანდელ პატრონ-ადვოკატს, სტონკი სხვისთვის მიუყიდნია და ახალი პატრონი თხოულობდა მას, როგორც ნაყიდ ნივთსა. ახალმა პატრონმა შეუთვალა შარპსა, რომ საჩივარი შენზედა მაქვსო და შენგან მოვითხოვ დაკმაყოფილებასაო, ასე და ამ გვარად იწყო ამ ენერგიით სავსე საქმემ, მონათა განთავისუფლების სასარგებლოდ, რომელიც შეადგენს უუბრწყინვალესს სტრიქონებს ინგლისის ისტორიაში.

მაშინ, 1767 წ. პირადი თავისუფლება საინგლისოში თუმცა აღიარებული იყო საყოველთაოდ, მაგრამ ამ უფლებას ხშირად არღვევდენ. ძალადობით ზღვათა ჯარის კაცების მოგროვება, მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომლის გულისათვის ლონდონში და ყველა დიდ ქალაქებში არსებობდენ ცალკე ჯარის დასტები, რომელნიც მხოლოდ იმას აკეთებდენ, რომ იდუმალ იჭერდენ ახალ-გაზდებსა და ინდოეთს აგზავნიდენ სამსახურში და ზანგების მონების გაყიდვას ხომ გაზეთშიაც აცხადებდენ. მაგალითად, 1769 წ. ერთს გაზეთში სხვათა განცხადებათა შორის შემდეგი განცხადება იყო დაბეჭდილი: „ვყიდი წაბლ-ფეროვან ცხენსა და ლონიერ შავ ბიჭსა, კარგის ყოფაქცევისასაო.“ მეორე გაზეთში იყო დაბეჭდილი შემდეგი განცხადება: იყიდება ზანგის გოგო თუთხმეტის წლისა, რომელიც ძლიერ ხელ-მარდია, დახელოვნებულია კერვაში, მშვენიერ-

რად ლაპარაკობს ინგლისურად და ამასთან მშვიდი და პატიოსანი ხასიათისააო, ამის შემდეგ მოწერილია პატრონის სახელი და გვარი.

ამ მდგომარეობაში იყო ეს საქმე, როდესაც უბრალო მწერალმა გრენვილ შარპმა თავი გამოიდო და არათუ დასაბამი, არამედ თვით დასრულებაც მისცა მონათა განთავისუფლების საქმეს, აღჭურვილი და შეგულიანებული მხოლოდ თავისი მტკიცე, პატიოსანი ლტოლვილებით და გამბედაობით კეთილ საქმეში.

შარპამდე ზანგ მონების მდგომარეობა ინგლისში ძლიერ გამოურკვეველი იყო. სასამართლოშიაც ხან ასე არჩევდნენ ამ საქმეს, ხან ისე, რადგანაც ამისთვის ჯერ კიდევ არავითარი მარტივად გარდაჭრილი კანონები არ არსებობდენ, თუმცა, ხალხის ფიქრით ინგლისის ნიადაგზე შეუძლებელი იყო ვინმე მონად ჩარიცხულიყო, მაგრამ მაინც იყვნენ, ხშირად წარჩინებულებშიაც, გვამნი, რომელნიც სრულ წინააღმდეგ ჰაზრებს ადგებოდენ.

კანონის მცოდნენი, რომლებსაც შარპმა მიმართა რჩევისათვის იმ საჩივარზე, რომელიც მასზე სტონგის პატრონმა შეიტანა, იჭერდენ ადვოკატის მხარსა. თვითონ პირველი ქალაქის მოსამართლე და უუწარჩინებულესი ადვოკატები შარპის წინააღმდეგნი იყვნენ. ამ გვარი გარემოებანი, რომელ ადამიანს ხელს არ აალებინებდა, მაგრამ გრენვილ შარპი, როგორც აღმოჩნდა, გაუტეხელი ხასიათის კაცი იყო: ამ გვარმა გარემოებებმა და უსწორმა ბრძოლამ ის მხოლოდ აღზნეს მომეტებულ გამბედაობაზე და უჩვენეს, რომ [illegible] ის მხოლოდ თავის-

თავზე უნდა იყვეს მოიმედე, მიტოვებული ყველასაგან. შარპმა მტკიცედ გარდასწყვიტა, თვითონ დაიცვას თავისი თავი და ეს საქმე, თუმცა სრულიად არ იყო ამ საქმისთვის მომზადებული, სრულიად არ იყო გაცნობილი სასამართლო კანონებთან, თუმცა იმ დრომდე, მას არც ერთი კანონმდებლობითი წიგნი არ ენახა. არც წაეკითხა. აქ შარპმა უწინარეს ყოველთა ბეჯითად ხელი მოჰკიდა კანონების შესწავლას. ყველა ამას, დღისით სამსახურის საქმეებისაგამო, სწავლობდა ანუ ღამით, ანუ დილით ადრიანად, ასე, რომ როგორც შარპი ამბობს, თვითონ შევიქენ მონათაო; ერთს წერილში მეგობართან შარპი ბოდიშს იხდის პასუხის დაგვიანებისათვის და სწერს: «უნდა გაგიტყდე, რომ აღარ შემიძლიან განვაგრძო შენთან სამეცნიერო მიწერ-მოწერა. ის მცირე ხანი, რომელსაც მე ვპარავ ძილსა, აუცილებლად უნდა მოვახმარო კანონების გარჩევას და შესწავლას, რომლებმაც მოცდა არ იციან და თხოულობენ კაცისაგან გარდამეტებით დიდ ყურადღებასა და შრომასა. კვირა დღე რა არის, ამასაც კი სულ ამ საქმეს ვახმარებ, რადგანაც ეს საქმე არა რომელიმე პირადი სარგებლობისათვის არის ატეხილი. არამედ იმისათვისაო, რომ მოვსპოთ ზოგიერთი უსამართლოებანი მონათა შესახებ.»

ასე და ამ გვარად შარპი ორი წლის განმავლობაში უკანასკნელ თავისუფალ წამსაც, ინგლისის კანონების შესწავლას ანდომებდა. ეს საქმე ძლიერ მძიმე საქმე იყო, რადგანაც შარპს დიდის მოთმინებით უნდა გარდაეკითხა მრავალი, სრულიად მშრალი თხზულებანი და პარლამენტის ძველი დადგენილებანი. ამ უსალისო და ხანგრძლივ შრომაში მას არსაიდამ ჰყვანდა გზის

მაჩვენებელი, ანუ შემწყობის მომცემი: მარპმა ვერც ერთი ადვოკატი ვერ იპოვნა, რომლის აზრი ამ საქმის შესახებ, მის აზრს დასთანხმებოდა. მაგრამ მაინც ამ დაყინებულმა კანონთა საულ-ყოფით შესწავლამ, ასეთი ნაყოფი მოუტანა მარპსა, რომ ყველა კანონის მცოდნენი განცვიფრებაში მოვიდნენ. «დიდება ღმერთსა, იწერებოდა მარპი, რომ ვერც ერთ ინგლისის კანონების მუხლში, ვერც ერთს პარლამენტის დადგინებაში, მე ვერ ვიპოვე ის დადგინება, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს თავისუფალი კაცი მონებაში ჩააგდონ; ამისთანა კანონის [illegible] მე, მაინც ვერა გზით ვერ შევიძელ.» ამ გვარად მარპმა ნათლად დაინახა ის მიზეზი, რომელიც გზას უხლართავდა მოსამართლეებს ამ გვარ საქმეებში. ამის შემდეგ მარპმა სულ ამაზე დაამყარა თავისი საქმე და დარწმუნდა, რომ ძველი დადგინება — «მონას არ შე ძლიან ისუნთქოს საინგლისოში» — მართალია. ამის შემდეგ მარპს აღარაფრისა აღარ ეშინოდა. ყოველი ამ საქმის შესახებ მარპმა აღწერა მოკლედ: «მონობის უსამართლოდ აღვიარება საინგლისოში». ამ თხზულებიდამ გარდაღებული მრავალი პირი მარპმა გაავრცელა ყველა კანონთა მცოდნეთა შორის. რა შეიტყო სტონგის პატრონმა, თუ ვისთან აქვს საქმე, იგონებდა ათას გვარ ხერხებსა, რომ საქმე როგორმე დაეგვიანებინა და დასასრულად წინადადება მისცა მინაურულად მორიგებისა; მაგრამ მარპმა შეუპოვრად უარ-ყო იგი. ამავე დროს მარპის თხზულებამ თავისი ქმნა: თითქმის ყველამ უკუაგდო წინანდელი შეხედულობა ამ საგანზე, და მიიღო მარპისა, ასე რომ სტონგის პატრონმა ვერა გაარიგა რა და იძულებული იყო, საქმის მოსასპობლად

სამი სარჯი გარდაეხადა. ამის შემდეგ შარპის თხზულება იქმ-ნა დაბეჭდილი 1769 წ. ამ საქმემ შარპი უნებლიეთ იძულებული ჰყო, კარგად შეესწავლა ზანგების მონათ გასყიდვის საქმე. შეიტყობდა თუ არა ზანგის ძალ-დატანებით დაჭერას და დასავლეთ ინდოეთში (ამერიკაშია) გაგზავნას, შარპი დაუყოვნებლივ სასამართლოში აძლევდა დამნაშავეს. მაგალითად, ერთი ავრიკელის გაილასის ცოლი ძალადობით იყო დაჭერილი და ბარბადოსში გაგზავნილი; შარპმა გაილასის სახელით იჩივლა სასამართლოში მტაცებლებზე და იმ დრომდე აწარმოვა საქმე, ვიდრე უკან არ დააბრუნეს ეს დედა-კაცი.

1770 წ. მოხდა კიდევ ერთი ძალ-დატანებითი მოტაცება ზანგისა, რომელსაც დამჭერნი ძალიან სასტიკად და ბარბაროსულად მოეპყრენ. ეს საქმე მოხდა ამ გვარად: ერთი ავრიკელი, სახელად ლუისი, ბნელ ღამეში იყო დაჭერილი ორი დაქირავებული მენავისაგან: ამ დროს ლუისი დიდ-ხანს ეთრიათ წყალში, ძლივ-ძლივობით ამოეყვანათ ნავში, ხელ-ფეხი შეეკრათ და წამოეყვანათ იმ ხომალდზე, რომელიც იამაიკაში (ამერიკაშია) წასვლას აპირებდა, სადაც, საწყალი, უნდა გაეყიდნათ, როგორც მონა, ამ ზანგის ყვირილმა (რომელსაც მენავეები იჭერდენ), მიიქცია ზოგიერთი მეზობელი სახლების ყურადღება, მაგალითად შემდეგში გამოჩენილი ჯოზეფ ბენკსის, დედისა. მეორე დღესვე ეს კეთილი დედა გაემართა გრენვილ შარპისკენ, რომელსაც ახლა ყველა იცნობდა, როგორც ზანგების მცველსა, და უამბო წუხანდელი შემაძრწუნებელი ამბავი. შარპი მაშინვე გაქანდა სადაც ჯერ იყო და აიღო სასტიკი ბრძანება ზანგის ლუისის განთავისუფლებისა და დაბრუნებისა;

აქედამ გაექანა ქ. გრევეზუნდში. სადაც ხომალდი იდგა, მაგრამ ამის მისვლამდე ხომალდი კიდეც წასულიყო. შარპმა სასჩქაროდ აცნობა ეს საქმე იმ ქალაქში, სადაც ხომალდი დროებით უნდა გაჩერებულიყო. ამ ქალაქის გამგეობას მაშინვე ზომები მიეღო და ხომალდი გააჩერეს. ნახეს რომ მონა მიბმულია ხომალდის ანძასთან; (მაღალი ბოძი გემზე იალქნების გასაბმელად) იგი საშინლად ტიროდა და დიდის მწუხარებით იცქირებოდა იმ მიწისაკენ, რომელსაც მას ასე უწყალოდ აშორედენ. ზანგი დაუყოვნებლივ იყო განთავისუფლებული და ლონდონში ჩამოყვანილი; ამისი დამჭერი კი სამართალში მისცეს. გამბედაობა, სიჩქარე მოაზრებაში და მოქმედებაში, რომელიც შარპმა ამ საქმეში გამოიჩინა, თითქმის რომ წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, მაგრამ შარპი მაინც სულ ამას ჩიოდა, რომ მარდად ვერ ვაწარმოვე ეს საქმეო. შემდეგში ეს საქმე იქმნა გარდაცემული უხუცეს მოსამართლესთან მანსფილდთან, რომლის აზრი ზანგების შესახებ სრულიად არ ეთანხმებოდენ შარპისასა. მაგრამ აქაც შარპმა ასე კარგად აწარმოვა საქმე, რომ მანსფილდმა სრულიად გაანთავისუფლა ზანგი.

სწორედ ამ გვარადვე დაიხსნა შარპმა მრავალი სხვა, ვიდრე ზანგის ჯემს სომმერსენტის საქმემ სრულ დასრულებას არ მისცა ზანგების განთავისუფლებას. ეს საქმე განიხილა ისევ მსაჯულმა მანსფილდმა თორმეტ სხვა უპირველეს მოსამართლესთან, რომლებმაც არათუ გაანთავისუფლა ზანგი ჯემსი, არამედ საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ადამიანთა დასაკუთრების უფლება ინგლისში, კანონით არასოდეს არ ყოფილა დადგენილი და აღიარებული. ამ უკანასკნელი საქმით გრენვილ შარპ-

მან საშინელი მარცხი მიაყენა ამ კაცობრიობის დამამცირებელ ჩვეულებას, ე. ი. ადამიანთა ყიდვა-გაყიდვას. ამასთან სამუდამოდ და კანონად იყო აღვიარებული, რომ რა წამსაც მონა ფეხს შემოსდგამს ინგლისის ნიადაგზე, მაშინვე თავისუფალი ხდება, როგორც ყველა საინგლისოს მცხოვრები. ეჭვი არ არის, რომ მანსფილდის ამ გვარი გარდაწყვეტილება მოხდა მხოლოდ შარპის დაუღალავი და გამბედავი თვით-მოქმედების გავლენისაგან.

საჭირო არ არის გავაგრძელოთ აქ დაწვრილებითი აღწერა შარპის მოქმედებისა; საზოგადოდ, ის დაუღალავ მონაწილეობას იღებდა ყოველ კეთილ დაწყობაში, მაგალითად ის იყო პირველი მომქმედი სიერა-ლეონის (აფრიკაში) ახალ-შენის (ახლად დასახლებული სოფელი) დაფუძნებაში, სადაც ასახლებდენ განთავისუფლებულ ზანგების მონებსა. ბევრსა შრომობდა და ცდილობდა ამერიკის ახალ-შენების და განსაკუთრებით იქაურ ადგილობრივ მცხოვრებთა წარმატებისათვის. როგორც დიდი მოყვარე თავისი სამშობლოსი, შარპმა ბევრი ეცადა გაეფართოებინა სახელმწიფო უფლებანი თავისი ხალხისა და ცდილობდა სრულიად მოესპო ძალ-დატანებითი გაგზავნა ზღვაზე სამსახურისათვის. აგრეთვე შეუპოვრად ცდილობდა, როგორმე მოერიგებინა თავისი სამშობლო ამერიკის ახალ-შენებთან, რომელსაც ამათ შორის შუღლი ჩამოვარდა; მაგრამ ვერას გახდა. ატყდა ომი ძმათა შორის, შარპი გამწარებული ინგლისის უსამართლობით, გამოვიდა სამსახურიდამ. ამის შესახებ აი რა მისწერა შარპმა თავის უფროსს ბედდინგტონს:

მე არ შემიძლიან ვიმსახურო იმ დრომდე, ვიდრე ომი

ხრ შესწყდება, რომელიც, ჩემის ჰაზრით, ძლიერ უსამართ-ლოდ დაიწყო ინგლისის მთავრობამ, თუმცა შეჩვეული ამ თანამდებობას და საქმეს, მე სხვა გზა ცხოვრებისა სრულიად არა მაქვს.» მრავალნი იწუნებდენ შარპის ამ გვარ-ქცევას, მაგრამ ეს მოვლენა იმით არის შესანიშნავი, რომ ნათლად გვიხატვენ შარპის რკინის, მიუდგომელ, მართალს და ალმატებით ზნეობიან ხასიათსა. ყველა ამის გარდა შარპმა დააარსა „ბიბლიური საზოგადოება“ და სხვა მრავალი ამ გვარი. მაგრამ მაინც შარპის უპირველეს საქმეს მუდამ მო-ნების განთავისუფლება შეადგენდა, რომლის წარმატებისათვის მან დააარსა «მონების გაუქმების საზოგადოება», რომელშიაც დიდი მონაწილეობა მიიღეს მრავალთა მომქმედთა, შეგულია-ნებულინ შარპის დაუღალავი მუშაობით, წარმოუდგენელი ენერ-გიით და თავ-გამოდებით. ეს ენერგია და თავ-გამოდება გარ-დაეცა მის თანაშემწეებსაც ამ საქმეში (კლარკსონს, უილბერ-ფორს, ბრუმს და სხვათა მრავალსა), რომლებმაც მონობის გაუქმების საქმე ასე კარგად წაიყვანეს, რომ მალე გამოაცემი-ნეს მართებლობას ბრძანება, რომლის ძალითაც მთელ საინგ-ლისოს სამეფოში სამუდამოდ გაუქმებულ იქმნა მო-ნობა.

შარპის გარდა, მონობის გაუქმებაში დიდი და დაუვიწყა-რი სახელი მოიგეს კლარკსონმა, ბეკსტონმა და აბრამ ლინკოლმა. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ამ უკანასკნელთ ორი პირის ცხოვრებას. სიყმაწვილეში ბეკსტონი საზოგადოდ მძიმე გონებიანი, მაგრამ ძლიერი ხასიათის ყმაწვილი იყო. მა-მა ბეკსტონს პატარაობაშივე მოუკვდა, მაგრამ დედა მისი,

ძლიერ ჭკვიანი ქალი იყო და კარგად გახსნა მასში ხასიათის
ძლიერება.

ბეკსტონის დედას კარგად ესმოდა, რომ ძლიერი ხასია-
თი ძალიან საჭიროა ვაჟ-კაცისათვის და ამ შემთხვევაში ასე-
ზრდიდა შვილსა, როგორც საკუთარი ჭკუა და შეხედულობა
უჭრიდა. როდესაც ნაცნობნი ხედავდენ ყმაწვილის უჯიათობას
და დედას აფრთხილებდენ, დედა ასე უპასუხებდა: ნუ გაწუ-
ხებთ; ეხლა ის უჯიათოა, მაგრამ დაინახავთ, რომ შემდეგში
კარგად გამოვა. სასწავლებელში ბეკსტონი ცოტას სწავლობ-
და და საზოგადოდ იყო რაღაც უსწავლელი და უმეცარი.
თხუთმეტ-წლოვანობაში მან მიატოვა სასწავლებელი და და-
ბრუნდა სახლში, სადაც გარდა ნავში ცურვისა, ცხენზე ჯდო-
მისა, თოფის სროლისა და ნადირობისა, იგი სხვას არაფერს
საქმეს არ აკეთებდა. მაინც ბეკსტონი კეთილი გულის კაცი
იყო და ძლიერ უყვარდა ბუნების მოვლინებებზე დაკვირვება,
თუმცა თითქმის სრულიად არ იცოდა არც კითხვა და არც
წერა. იგი შემკული იყო საკმარისი ნიჭით, აკლდა მხოლოდ
ხასიათის შემუშავება, განათლება და გონების გახსნა. სწორედ
ამ დროს, როდესაც ბეკსტონი რამე მიმართულებას უნდა
გაჰყოლოდა, მან, სანეტაროდ გაიცნო გერნეის ოჯახობა,
რომელიც განირჩეოდა სხვათა ოჯახებისაგან, როგორც თავისი
წმინდა ზნეობით, ისე გონებითი განათლებით და დიდი კაცთ-
მოყვარეობით. ამ ცნობამ გერნეის ოჯახობასთან სრულიად
სხვა მიმართულება მისცეს ბეკსტონის ცხოვრებასა. ამათ აღა-
გზნეს და მკვიდრად ჩაუნერგეს მას თვით-გახსნილობისადმი
ლტოლვა, ასე რომ როდესაც, დუბლინის უნივერსიტეტში შე-

სვლის და დასრულების შემდეგ მან ჯილდოები მიიღო, ყოველი ეს ჯილდო შეკრა და გარნეის ოჯახობას გაუგზავნა შემდეგი წერილით: «ყოველივე ეს არის იმ თვით გახსნილობისადმი ლტოლვის ნაყოფი, რომელიც თქვენ მე ჩამინერგეთო და ამიტომ თქვენ გეკუთვნისთ ეს ჯილდოებიო.» შემდეგში ბეკსტონმა შეირთო გარნეის ერთი ქალთაგანი. ის ძალა ხასიათისა, რომელიც მას პატარაობაში ვერ არიგებდა ამხანაგებთან, ახლა გარდაიქცა დაუღალავ და გაუტეხელ ენერგიად ყოველ საქმეში, რომელსაც კი ის ხელს მოჰკიდებდა. ყოველ დაწყებულ საქმეს ბეკსტონი ახმარებდა მთლად თავის ძალებსა, რომლითაც იგი გახდა ერთი უპირველესი მოქმედთაგანი. ყოველ მის დაწყობაში გამოჩნდა დაუძლეველი ენერგია და გამბედაობა. მოქმედებასთან ერთად ბეკსტონი უყურადღებოდ არ სტოვებდა თავის გონებით გახსნასა და თავს არ ანებებდა სწავლასა; საღამოობით ის ბეჯითად კითხულობდა სხვა-და-სხვა სამართლის წიგნებსა. კითხვის დროს ის სასტიკად და შეუცვლელად ასრულებდა შემდეგ წესებსა: «არასოდეს მეორე წიგნს ხელს არ ჰკიდებდა, ვიდრე პირველს ბოლომდი არ წაიკითხავდა.—იმ დრომდე არ იტყოდა რომ ესა-და-ეს წიგნი წავიკითხეო, ვიდრე სრულიად არ შეიგნებდა და არ შეისწავლიდა მის შინაარს. ყველა სამეცნიერო საგნის შესწავლას, რომელსაც კი ის შეუდგებოდა ხოლმე, ყველა თავის გონებითი ძალებს მიჰმართავდა.»

ბეკსტონი ოც-და-თერთმეტი წლისა იყო, როდესაც მან ფეხი შესდგა პარლამენტში, სადაც მაშინვე მოიპოვა დიდი გა-

ვლენა თავისი პატიოსნებით, შრომის მოყვარეობით და განათლებით. უმთავრესი საქმე, რომელსაც ბეკსტონმა მოახმარა ყველა თავისი ძალები და შეუპოვარი მეცადინეობა, იყო — «მონების სრული განთავისუფლება ყველა საინგლისო ახალ-შენებში. დიდ სიყვარულს და თანაგრძნობას ამ საქმისადმი თვითონ ბეკსტონი აწერდა პრისცილა გერნეის (ცოლი იყო ამისი) გავლენას. რომელიც ძლიერ დიდი ჭკვის და გარდამეტებით კეთილი გულის დედა-კაცი იყო. სიკვდილის წამს (1821 წ) ამ ღირსეულმა დედა-კაცმა აღთქმა ჩამოართვა ბეკსტონსა, რომ «ზანგების საქმეს იგი გახდის თავისი სიცოცხლის უმთავრეს მიზნად.» ბეკსტონი არასოდეს არ ივიწყებდა ამ ანდერძს და მართლაც მოაწია ჟამმა, როდესაც მან ერთს მეგობარს თავისი ქალის გათხოვების დღესა სხვათა შორის, მისწერა: «საინგლისო ახალ-შენებში აღარ არის არც ერთი მონა!»

ბეკსტონი არ იყო გენიოსი, თითქმის არც ისე გამოჩენილი გასხნილი კაცი იყო, თავი არ გამოიჩინა რომელიმე გამოგონვით და აღმოჩენებით, მაგრამ იმით არის შესანიშნავი, რომ ყოველთვის მოქმედობდა დიდის გულ-დადებით და ამასთან პირიანად, ენერგიულად და გზის აუხვევლად. ბეკსტონის ხასიათი აღმატებით კარგად იხატება მის საკუთარ სიტყვებში, რომლებიც ძალიან კარგ ხელმძღვანელად შეიძლება იყვნენ ახალგაზრდებისთვის: „რამდენადაც მეტსა ვცხოვრობ, ამბობდა იგი, იმდენად უფრო ვრწმუნდები, რომ უმთავრესი განსხვავება სუსტთა და ღონიერთა, გამოჩენილთა და სრულიად უმნიშვნელო ადამიანთა შორის, მდგომარეობს იმ ენერგიაში და შეუმუსრავ გამბედაობაში და პირიანობაში, რომლებსაც სხვა-და-

სხვა კაცები სხვა-და-სხვა ნაირად ხმარობენ თავიანთ მიზნის მისაღწევად. ამ თვისებით შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს ყველაფერს, რაც კი რამ მისაღწევია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი., როდესაც ადამიანი მოკლებულია საკუთარს ენერგიას, ვერა გვარი აღმატებითი ნიჭი, ვერაგვარი საკეთილო გარემოებანი, ვერ შეამუშავებენ იმ ორ ფეხ ცხოველსა, რომელსაც ადამიანს უწოდებენო!»

დასასრულად ამ თავისა ჩვენ არ შეგვიძლიან არ გავაცნოთ მკითხველს ის კაცი, რომლის საკვირველი ენერგია სრულ და მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ იყო მიმართული და რომელიც მიბაძვის ღირსია ყველა აწინდელი მომქმედისაგან. ჩვენ მოგახსენებთ აბრაამს ლინკოლნზე.

აბრაამ ლინკოლი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, (პირველ-მჯდომელი) აღმადგინებელი ამერიკის შტატების ზავისა და გამანთავისუფლებელი ზანგებისა, დაიბადა 1809 წ. ერთი საწყალი მიწის მუშაკისაგან. პირველი შვიდი წლის განმავლობაში თავისი სიცოცხლე ლინკოლმა გაატარა კენტუკის სამთავროში, სადაც იმისი მამა იყო უბრალო მუშად და ძლივს-ძლივობით გამოჰყავდა თავისი სახლობა. რადგანაც იმ დროს ამერიკაში ჯერ კიდევ იშვიათად ნახავდით სკოლებსა, ამიტომ ლინკოლმა წერა-კითხვა ისწავლა ერთ მეზობელთან. კითხვას ის მალე მიხვდა, მაგრამ ამისი სწავლა ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ კარგა ხანს შეაყენა. ამისი მამა გადასახლდა სხვა ადგილას იმ იმედით, რომ იქ უფრო მეტ შრომის ფასს აიღებო. როდესაც მოვიდენ ახალ სამოსახლოზე, მამა და პატარა აბრაამი ცხარედ შეუდგენ მუ-

შრომას: გაკაფეს ტყე ახოს გასაკეთებლად და დათალეს ხეე-ბი სახლის ასაშენებლად. აქ სწავლის გაგრძელების ხსენებაც არ იყო. ამის მაგიერად ლინკოლმა მუდმივი მუშაობით და ზოგ ჯერ ნადირობით გარდამეტებით დიდი ღონე და სიმრთელე შეიძინა. გარდასახლების ორის წლის შემდეგ აბრამს დედა მოუკვდა, რომელმაც ის ძლიერ დააფიქრა და დაალონა. ამავე დროს ლინკოლმა დრო და შემთხვევა იპოვა—გააგრძელოს ამდენი ხნით შეწყვეტილი სწავლა. მან ცხარედ დაიწყო წიგნების კითხვა და პირველი წიგნი, რომელიც მას შეხვდა, იყო «ეზოპის იგავ-არაკნი». მალე ლინკოლნი შეუდგა წერას და არითმეტიკის შესწავლას, რომლებშიაც ამან ისეთი წარმატება გამოიჩინა, რომ აჯობა თავის მასწავლებელსა. წერის შესწავლის შემდეგ ლინკოლნი ხშირად უწერავდა მეზობელს წერილებსა; ეს საქმე მას ძალიან ახალისებდა სწავლაში, რადგანაც ხედავდა, რომ ამით სარგებლობა მოაქვს სხვისათვის. ლინკოლნი გაუმაძღრად კითხულობდა ყველა წიგნებსა, რომელსაც კი ხელში ჩაიგდებდა. ერთხელ იმან გამოართვა თავიანთ მღვდელს «ვაშინგტონის ცხოვრება» (ვაშინგტონი იყო ამერიკის განმათავისუფლებელი ინგლისის მფლობელობიდამ) რომელმაც ეს წიგნი იმ პირობით ათხოვა, რომ ძალიან გაუფრთხილდეს და არ გააფუჭოს. ლინკოლნი ამ წიგნს არასოდეს არ ეშვებოდა და მინდორში მუშაობის დროსაც თანა ჰქონდა. მინდორში ამ წიგნს ლინკოლნი ინახავდა ერთ ფუტუროში, სადაც, ამის ფიქრით, უფრო კარგად შეინახებოდა. ერთხელ მოვიდა დიდი წვიმა და სრულიად გაუფუჭა ეს წიგნი. რამდენი არ იმეცადინა, ლინკოლმა, უბედურება მაინც ვერ გაასწორა: ფასი მისცეს, რით

მისცეს, რომ გროში არ აბადია; დარჩა ერთი საშუალება: წავიდეს მღვდელთან და პატიობა მოსთხოვოს; ასეც მოიქცა, მაგრამ წინადადება მისცა, მუშაობით გარდაუხადოს ზარალი, რომლის შემდეგ ამან უშველა მღვდელს მკაში, და ეს წიგნი მას სრულ საკუთრებად დარჩა.

ლინკოლნის განმასხვავებელ თვისებად კიდევ ერთი ის იყო, რომ იგი არასოდეს მონაწილეობას არ იღებდა ამხანაგების თამაშობებში; ესენი ეძახდენ მას «მშვიდობის მყოფელად», რადგანაც თავიანთი დავიდარაბის დროს, ამას მიმართავდენ ხოლმე საქმის გასარჩევლად. საზოგადოდ ლინკოლნმა ყოველი ის ცოდნა, რომელიც მან შემდეგში ასე ბლომად გამოიჩინა, მიიღო და შეიძინა უმასწავლებლოდ, მხოლოდ საკუთარი მეცადინეობით.

ცხრამეტი წლის რომ გახდა ლინკოლნი შევიდა მუშად ერთ ხომალდზე, რომელიც მდინარე მისისსიპით ახალ ორლეანში მიდიოდა. (ამერიკაშია). აქ ამას დაუხვდა სრულიად სხვა ცხოვრება, სავსე მრავალი დაბრკოლებებით და სიძნელებით, მაგრამ მხიარული და თავისუფალი. გზაზე ამ ხომალდს დაეცენენ ყაჩაღად გავარდნილი ზანგები, მაგრამ ლინკოლნმა მამაცად უკუაგდო ისინი და მშვიდობიანად ჩავიდა დანიშნულ ადგილს, სადაც ამას მიეგებნენ როგორც ხომალდის დამხსნელსა.

ამასობაში მამა მისი, თავისი საქმისაგამო, ხელმეორედ გადასახლდა სხვაგან. ოცდაერთი წლის ლინკოლნი ბეჯითად ჰშველოდა სახლობას პირველ მოწყობაში. აქ ლინკოლნმა ბაღის გასაშენებლად საკუთარი ხელით დათალა რამოდენიმე ათასი მარგილი, რომელსაც შემდეგში დიდი მნიშვნელობა მიე-

ცა. ლინკოლნმა თავისი მამაცობა ყოჩაღობა და გონიერება განსაკუთრებით მაშინ ამოიჩინა, როდესაც იმათ მხარეს ასეთი დიდ-ძალი თოვლი მოვიდა, რომ სრულიად მოსპო სოფლებთა შორის მისვლა-მოსვლა. ამ დროს ახალ-გაზდა და ღონიერი ლინკოლნი დადიოდა სოფლებში და ტყეში სანადიროდ და მიჰქონდ-მოჰქონდა ყოველი საჭირო, როგორც მშობლებისათვის, ისე მეზობლებისათვის. ამისი ამ გვარი ყოჩაღობა იქ კარგა შორს გაითქვა. მეორე წელს ლინკოლნი წავიდა ქალაქში, სადაც მუშაობდა მრავალ გვარ საქმეში; ამავე წელს ლინკოლნმა წინადადება მიიღო ერთი ვაჭრისაგან, რათა სხვა-და-სხვა საქონელით დატვირთული ხომალდი ქალაქ ახალ-ორლეანში ჩაეტანა, ლინკოლნმა იკისრა ეს საქმე და კარგადაც აასრულა. ამ მოგზაურობაში იმან ბევრი წვალება და ტანჯვა ნახა ზანგებისა თავიანთი ბატონებისაგან, რომელიც მას ძალიან ღრმად ჩაეჭრა გულში. ამ საქმის სვინიდისიანად შესრულებამ ლინკოლნს ასეთი სახელი და ნდობა მოუპოვეს ხომალდის პატრონისა, რომ მან დანიშნა ის თავის სავაჭრო დუქანში დახლიდრად. ამ ახალ თანამდებობაში აბრამ ლინკოლნმა, თავის პატიოსნებით და თავაზიანობით, ასეთი პატივი დაიმსახურა, რომ ყველგან ეძახდენ «პატიოსანი აბრამი». ეს ხელობა ლინკოლნს როგორღაც მაინც თავში არ მოსდიოდა და სხვას ეძებდა. სწორედ ამ დროს იმ მხარეს დაეცნენ ველური ინდიანები: საზოგადო ნდობა ლინკოლნისადმი იმით გამოცხადდა, რომ იმ ჯარის გუნდში, სადაც ის მილიციონრად შევიდა, უფროსად ამოირჩიეს. ამ ახალ თანამდებობაში ლინკოლნმა დიდი სიყვარული მოიგო თავისი მხედრებისა; გონიერად და მამაცურად

ასრულებდა თავის თანამდებობას და იმდენი ჭირი და ვაი-ვაგლახი ისე აიტანა და დასძლია, როგორც კარგმა მთავარ-სარდალმა.

ომიანობის გათავების შემდეგ ლინკოლნმა განიზრახა გახდეს ადვოკატად, რომლის გულისათვისაც გარდაწყვიტა კანონმდებლობის შესწავლას შეუდგეს. მაგრამ რადგანაც ცხოვრების საშუალებაც ეჭირებოდა, ამიტომ ლინკოლნს უნდა სხვა საქმეც ამოერჩია. ამ დროს მიიღო მან წინადადება ერთი მიწის მზომელისაგან, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მიწები უნდა დაემიჯნა. თუმცა ლინკოლნს არავითარი გეომეტრიული ცნობანი არა ჰქონდა, მაგრამ იმის გაუტეხელი შრომის მოყვარეობით რის შექნა არ შეიძლებოდა! ლინკოლნმა მაშინვე მოიშოვა გასამიჯნავად ყველა საჭირო იარაღები და ცხარედ შეუდგა საქმესა, რომელმაც მას კარგა დიდი ფული აშოვნინა, რადგანაც ის ყოველ საქმეს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, პატიოსნად და რიგიანად ასრულებდა. თქმა არ უნდა, რომ გამიჯვნის საქმე პატიოსნების და ცოდნის გარდა, დაუღალავ შრომას და მრავალთა გაჭირვებათა დაძლევას თხოულობს, მაგრამ ლინკოლმა ყველა კარგად შეასრულა. ეს სამიჯნო საქმეები ლინკოლნს სწორედ მაშინ გაუთავდნენ, როდესაც ამისი კანონების შესწავლა იმდენად წარმატებული იყო, რომ მას ადვილად შეეძლო ადვოკატობაზე გამოცდის დაჭერა. ეს იყო 1836 წელსა. ასე და ამ გვარად ლინკოლნი ოცდაშვიდ წლოვანებამდე შეშის მჭრელიც იყო, მუშადაც ხომალდზე, გამსყიდავათაც დუქანში, ჯარის მოთავეთაც, მიწის მზომელათაც, ცოტას ხანს ფოშტის უფროსადაც და დასასრულად მერჯუ-

ღეთაცა. (სამართლის მცოდნეთ). თქმა არ უნდა, რომ ლინკოლნს თითქმის მოკლებულსა პირველ-დაწყებით სწავლასაც, წარმოუდგენელი მეცადინეობა და აუარებელი შრომა უნდა გაეწია ამერიკის კანონმდებლობის შესწავლაში, რომელიც იმან მაინც უცხოდ შეისწავლა.

აი იმისი ზოგიერთი სიტყვები, რომლებშიაც ის აგვიწერავს თავის შეხედულობას, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა «დამოუკიდებლობას.» — «როდესაც ახალგაზდა კაცი შედის იმ წლოვანობაში, რომელშიაც ის უნდა გამოვიდეს სხვის მზრუნველობიდამ და ამასთან, ფულის და მიწის მაგიერად, აქვს მხოლოდ ორი ძლიერი ხელი და თავ-გამოდებითი სურვილი შრომისა. მაშინ იმან უნდა მოსძებნოს იმ გვარი მუშაობა, რომელიც იმას კარგ ხელ ფასს მისცემდესა. ამის შემდეგ ახალგაზდამ უნდა ბეჯითად იშრომოს, ზომიერად იცხოვროს და ერთ-ორ წელში კარგა ფული გამოიზოგოს. მერმე ყიდულობს მიწასა, ავრცელებს თავის მეურნეობასა, ირთავს ცოლსა, დროს მიმავლობაში იძენს თავნ ფულსა და თვითონაც ქირაობს მუშებსა. რომელნიც ამ გვარადვე ეძებენ თავიანთ დამოუკიდებლობას!»

ერთს თავის წერილში ჩრდილო ამერიკის კონგრესთან (სახელმწიფო საპატიო პირთა ყრილობაა,) აი რასა სწერს ლინკოლნი: «ყველაზე წინ და ყველაზე მაღლა სდგას შრომა; ფული არის შრომის ნაყოფი და სხვა არაფერი, და არასოდეს არ იქნებოდა ფული, თუ არ იქნებოდა შრომა. ამიტომ, თუმცა ფულს თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შრომა მაინც

იმაზე აღმატებული და საჭიროა, და მას დიდი და უხუმარი ყურადღება უნდა მივაქციოთო.»

თქმა არ უნდა, რომ ამ გვარი შეხედულობის ადამიანი, ვერას დროს ვერ მოითმენდა, რომ ვისიმე შრომით, სრულიად გაურჯელად, სხვა სცხოვრებდეს. აქედამვე ცხადათ სჩანს, თუ რა შეხედულობა ექნებოდა ლინკოლნსა, ზანგების მონობაზე, რომელთა შრომით სხვანი სარგებლობდნენ. მონობისადმი სიძულვილე კიდევ უფრო იმან აღზნა ლინკოლნში, რომ წინანდელ თავის მოგზაურობაში, იგი ხშირად ხედავდა იმ ტანჯვას და გაჭირებასა, რომელსაც მონები იტანდნენ თავიანთი ბატონების და პატრონებისაგან.

ჯერ კიდევ ადვოკატობის მიღებამდე, ლინკოლნი არჩეულ იქმნა წევრად სამოსამართლო დებულებათა კრებაში. ამ ახალ თანამდებობაში მან ძლიერ დიდი მჭევრ-მეტყველობის ნიჭი გამოიჩინა და მიუდგა იმ მოწინავე დასსა, რომელიც მუდამ მონობის მოსასპობლად მოქმედებდა. პირველი ამორჩევის ვადის გასვლის შემდეგ, ის ხელ-მეორედ იქმნა ამორჩეული 1838 წელსა. ყველა ამით ლინკოლნმა ისეთი სახელი მოიგო, რომ 1846 წ. არჩეულ იქმნა ილინოის შტატის წარმომადგენელად ამერიკის კონგრესში, სადაც ის ორის წლის განმავლობაში დიდის გამბედაობით იბრძოდა ზანგების მონობის მოსასპობლად. 1849—1854 წლამდე ლინკოლნმა დროებით თავი დაანება მოქალაქობას და შეუდგა თავისი შვილების აღზრდას და ადვოკატურ მოქმედებას. 1854 წ. ლინკოლნი ხელმეორედ გამოვიდა სამოქალაქო ასპარეზზე, რომლისათვინაც თავი აღარ დაუნებებია სიკვდილამდი. ამ დღიდგან ლინკოლნმა

ერთად თავის თანამოზიარე დასსთან უფრო ენერგიულად იწყო ბრძოლა მონობის მოსპობაზედ ამერიკაში, სადაც ის საკუთარ პიროვნულ სარგებლობას და დიდებას ხშირად სწირავდა თავისი დასის გაძლიერებას მაგალითად, 1854 წ. ის ამორჩეულ იქმნა კანდიდატად (წინათვე დანიშნული რომელიმე ადგილის დასაკავებლად სამსახურში) სენატორობაზე (წევრის სენატისა; სენატი კიდევ უმაღლესი დაწესებულებაა მთავრობისა) ერთად თავის დასის წევრთან ტრუმბელსასთან. რომ უკმაყოფილება და შური არ იდოს თავისი დასისა ლინკოლნმა უარი ჰყო ამ უმაღლეს თანამდებობაზე და პირველმა კენჭი ჩაუგდო ტრუმბელსა. აგრეთვე უარი ჰყო ლინკოლნმა ილინოის გამგედ მოწვევაზე. 1856 წ. ლინკოლნი უნდოდათ აღმოერჩიათ პრეზიდენტის მოადგილეთ, მაგრამ აქაც უარი ჰყო და კენჭი ჩაუგდო თავისი დასის წევრს ფერემონტსა. მხოლოდ, როდესაც ლინკოლნი ამოირჩიეს მთელი ამერიკის პრეზიდენტად, მხოლოდ მაშინ იძულებული იყო მიეღო ეს დიდი და მძიმე თანამდებობა. ახლა კი შეუდგა ლინკოლნი თავისი დიდი ხნის ფიქრის შესრულებას, ე. ი. ამერიკაში მონობის მოსპობას, რომელსაც მიაღწია კიდეც, თუმცა ძლიერი ომის შემდეგ სამხრეთ და ჩრდილო შტატების შორის, რადგანაც სამხრეთელები უარსა ჰყოფდენ მონობის მოსპობას, ჩრდილოელნი კი წინააღმდეგ მზად იყვნენ მონობა მოესპოთ, როგორც ადამიანის დამამცირებელი მოვლენა. ჩრდილოელებმა გაიმარჯვეს და ამერიკის კონგრესმა საჯაროდ აღიარა მონობის მოსპობა მთელ ამერიკაში, ე. ი. აღიარა განთავისუფლება რამდენიმე მილიონი ზანგისა.

საზოგადოთ ლინკოლნი მუდამ თავმდაბალი და ალერსია-

ნი ქვეყნის კაცი იყო; ამასთან გარდამეტებით პატიოსანი, როგორც კერძო, ეგრეთვე საზოგადო მოქმედებაში; მართალი და ენერგიული მქადაგებელი და მოღვაწე თავისუფლებისსა, გულმოდგინე და დაუღალავი მუშაკი შეშის მჭრელობიდამ ვიდრე პრეზიდენტობამდე. ის არ იყო შემკული არავითარი უზენაესი ნიჭით და თუ ასე წარმატებაში შეიყვანა თავისი თავი, ამის მიზეზი იყო მხოლოდ ერთი თვისება, რომელიც შეიცავს დანარჩენებსაც: «ენერგიულად და ერთგულად მოვალეობის აღსრულება ხალხის, სახელმწიფოის და კერძო პირების წინაშე.»

## IV.

(ყოველი სამუშაო, რომელიც აძლევს ადამიანს ცხოვრების საშუალებას და სიმდიდრეს).

სარეწაობაში მომქმედნი, აღმომაჩენელნი და მწარმოებელნი.

ყველა იმ გამოჩენილების სახელები, რომელნიც ჩვენ წინა თავებში მოვიხსენიეთ და რომლებმაც იდიდეს თავი მეცნიერებაში, ვაჭრობაში, მწერლობაში, თუ ხელოვნებაში, ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ის სიძნელე და დაბრკოლებანი, რომლებსაც წარმოგვიდგენს სიღატაკე და მუშაობის სიმძიმე, მომეტებულად დასაძლეველნი არიან. უუდიდესნი მოპოებანი, რომლებმაც მისცეს ქვეყანას საკვირველი ძალა და სიმდიდრე, მომეტებულად აღმოჩენილნი არიან მდაბიო ხალხის შვილებისაგან.

ერთი უპირატესთაგანი გამოგონება იყო და არის ორ-

თქლის ოწინარის აღმოჩენა. ამ ოწინარის აღმომჩენთა შორის, ჩვენ ვხედავთ ერთსა, რომელიც სხვებში გამოჩანს თავისი ბეჯითობით, მომთმინეობით და დაუღალაობით ჯემს უატსს (1736—1819 წ.) ყოველი, რასაც კი ეღირსებოდა ჯემსის ყურადღება, მაშინვე შეიქმნებოდა მის შესწავლის საგნად. ამ შესანიშნავი კაცის ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს, რომ უკეთეს შედეგებს მიაღწევს არა ის, ვინც შემკულია ბუნებითი ნიჭით, არამედ ის, ვინც მზრუნველობით და ცოდნით მოიხმარს თავის ჩვეულებრივ ნიჭსა. ჯემს უატის დროს მრავალნი გარდამეტებით უფრო ნიჭიერნი იყვნენ და ბევრად მეტიც იცოდნენ იმაზე, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეიძლო ჯემსზე ბეჯითად მოეხმარა თავისი ცოდნანი სასარგებლო საქმეზედ. ჯემსი იყო საქმის ბოლომდე გამტანი კაცი; ის დიდის მეცადინეობით აჩვევდა თავის თავს—«რომ მუდამ ფხიზლად და ყურადღებით სავსე იყოს», რომლებზედაც დამოკიდებულია ყველა გონებითი ძალების სრულ—ყოფა.

ჭაბუკობაში ჯემსმა იწყო წვრილმანი იარაღების ოსტატობა; ამ დროს ამას შეუკვეთეს ორღანოს (ერთგვარი სამუსიკო იარაღის) გაკეთება; თუმცა მას სრულიად არ ჰქონდა გახსნილი საგალობო მსმენელობა, მაინც ბეჯითად შეუდგა მუსიკის კანონების შესწავლას, და გააკეთა კიდეც შეკვეთილი ორღანო.

აგრეთვე ერთხელ გლაზგოვის (შოტლანდიაში) უნივერსიტეტმა გადმოსცა მას ნიუკომენოვის საორთქლე ოწინარის ყალიბი გასასწორებლად (ნიუკომენი ინგლისელი იყო, რომელმაც 1765 წ. პირველად გააკეთა საორთქლე ოწინარი, შემდეგ-

ში სრულ-ქმნილი ჯემს უატისაგან). ჯემსმა დიდის გულს—მოდგინებით იწყო ყველა იმის შესწავლა, რაც კი იცოდნენ იმის დროს აღმორთქვლაზედ და სხეულთა შესქელებაზე; ამავე დროს ბეჯითად სწავლობდა მეხანიკას (მეხანიკა იმ გვარი მეცნიერება და ხელოვნებაა, რომელიც ასწავლის ღონის საქმეზე გამოყენებას და ოწინარების კეთებას) და შენობის მეცნიერებას. ყველა ამ სწავლის შეძენის ნაყოფი ის იყო, რომ ჯემსმა გამოიგონა ნიუკომენოვზე გაცილებით უფრო სრულ—ყოფილი ორთქლის ოწინარი. ათის წლის განმავლობაში ის დაუღალავად შრომობდა სრულ—ჰყოს თავისგან გამოგონილი ოწინარი. გამამხნევებელი სიტყვა ჯემსს არავისაგან არ ესმოდა, და თუ ვისგანმე მოისმენდა ამ გვარ სიტყვას, იმასაც მხოლოდ ახლო ნაცნობთ და მეგობართაგან. ამასთან, როგორც ღარიბი კაცი, სხვა ხელობასაც თავს ვერ ანებებდა, რადგანაც ცხოვრების საშუალებად სხვა გზა არა ჰქონდა. თავისი ოწინარის სრულიად გამოგონების შემდეგ, ჯემსს უფრო მეტი დაბრკოლებანი აღმოუჩნდნენ; თუმცა ამ ოწინარს მოხმარების მეტი აღარა უნდოდა რა, თუმცა იგი ადვილად შეიძლებოდა მოხმარებული ყოფილიყო, როგორც სამუშაო ძალა, მაინც ჯერ-ჯერობით არც ერთი ფულიანი კაცი არ გამოჩნდა, რომ შეერთებულიყო მასთან ამ ფულიდეს დაწყობილებაში და ხელი მოეწყო საქმის ბოლომდე გატანისათვის. ჯემს უატი მაინც განაგრძობდა თავისი ცხოვრებისათვის წვრილმანი იარაღების და სხვა-და-სხვა საკრავების კეთებასა; ამას გარდა იღებდა გზების გეგმებსა, ზედამხედველობდა არხების გაყვანაში და საზოგადოთ არ ერიდებოდა არც ერთს საქმესა, რომელიც კი

მას საშუალებას აძლევდა—პატიოსნად ცხოვრების ლუკმა მოეპოვა. ბოლოს, როგორც იყო, ჯემსმა იპოვა სწორედ იმისთანა ამხანაგი, როგორიც ეჭირებოდა მის დაწყობილებას: ეს ამხანაგი იყო სარეწაობაში გამოჩენილი მოქმედი, მატიუ ბულტონი (1728—1809 წ.)

ბულტონი იყო ძლიერ მცოდნე, ენერგიული და შორსმხედველი კაცი; ამან ბეჯითად მოჰკიდა ხელი უატისაგან დაწყობილ საქმესა, ე. ი. ორთქლის ოწინარის მოხმარებსა და შემოღებასა სხვა-და-სხვა სარეწავ საქმეებში და რა შედეგი ჰქონდა ამას, ნათლად გვიჩვენებს აწინდელ დროში ამ საქმის მდგომარეობა, რომელიც არის სრულიად მისი მოქმედების ნაყოფი. ამის შემდეგ სხვა-და-სხვა პირებმა გამოიყენეს ეს ორთქლის ოწინარი ხომალდების ცურვაში, პურის გალეწვაში, მიწის მოხვნაში, პურის დაფქვაში, წიგნების ბეჭდვაში, ფულის მოჭრაში, ქვერაში, რანდვაში, გალესვაში, და სხვა ათას საქმეში. ერთი სიტყვით, ამ ორთქლის ოწინარს შეეძლო გარდამეტებით უკეთესი მაგიერობა გაეწია ყველგან, სადაც კი საჭირო იყო ადამიანის ხელ—ფეხის ძალა.

უატისაგან გამოგონილი ორთქლის ოწინარი ყველაზე ადრე და უკეთ გამოიყენეს ბამბეულ ქარხნებში. ამ საქმეში, ე. ი. ბამბეული ქარხნების დაარსებაში და გავრცელებაში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს რიჩარდ ერკრაიტს (1732—1792 წ.) რომლის გამოცდილი ენერგია, შრომა და შორს—მხედველობა უფრო გასაშტერებელია, ვიდრე თვითონ ამისი გამოგონვანი. არკრაიტს ეკუთვნის იმ გვარივე დიდება სასთველი ოწინარების გამოგონვაში, როგორც ჯემს უატს ორთქ-

ლით მომქმედი ოწინარის და გიორგი სტეფენსონს რკინის გზის გამოგონვაში არკრაიტმა შეკრიბა ყოველი იგი ცნობანი, რომელნიც არსებობდნენ მის დროს სასთველ სარეწაობაში და მისცა მათ სრულიად ახალი წყობილება და მიმართულება. ის, როგორც სხვა მრავალი ინგლისის წარჩინებული გამომგონი, გამოვ და მდაბიო ხალხიდამ, დაიბადა ქალაქ პრესტონში (ინგლისის ჩრდილო ნაწილში) 1732 წელსა, ღარიბი მშობლებისაგან და იყო უმცროსი თავის ცამეტ და-ძმაში. სასწავლებელში არასოდეს არ ყოფილა; ერთად-ერთი სწავლა-განათლება, რომელიც იმან მიიღო, იყო ის, რაც თვითონ შეისმინა საკუთარი მეცადინეობით. სიყმაწვილეში არკრაიტი მიაბარეს შაგირდათ ერთს დალაქსა და როდესაც ისწავლა ეს ხელობა, 1760 წელში თვითონ დაიწყო დალაქობა ერთს ქალაქში. არკრაიტმა თავისი დუქანი გამართა სახლის ქვემო სართულში, რომლის კარებზე გამოჰკიდა შემდეგი ზედ-წარწერა: «მობრძანდით მოსაპარსავათ მიწის-ქვეშ მყოფ დალაქთან, შრომის ფასი არის მხოლოდ სამი კაპიკი». ეს იყო მიზეზი, რომ სხვა დალაქები იყვნენ მიტოვებულნი თავიანთ მუშტრებისაგან და ამათაც ძალაუნებურად უნდა დაეწიათ ფასი. მაშინ არკრაიტმა ხელმეორედ დასწია თავისი შრომის ხელ-ფასი და გამოჰკიდა ახალი ზედ-წარწერა: «ვპარსავ სუფთათ სამ გროშად.» რამოდენიმე წლის შემდეგ, არკრაიტმა მიატოვა თავისი დუქანი და გახდა თმების მოსიარული გამყიდავათ. თავის მოგზაურობაში ის ყიდულობდა თმებსა და შემდეგ მომზადებულებსა და შემუშავებულებს ჰყიდდა კარგ ფასად. ყველა ამას გარდა, არკრაიტს ძალიან უყვარდა მეხანიკოსობა და ბევრს დროსაც ახმარებდა სხვა-და-სხვა ოწო-

ნართა ყალიბების მომზადებასა, გაკეთებასა და განსაკუთრებით სასთველი ოწინარის გამოგონვასა. ამ უკანასკნელმა საქმემ ასე გაიტაცა არკრაიტი, რომ თითქმის სრულ დავიწყებას მისცა თავისი წინანდელი ხელობა, რისაგამო ძალიან დაღარიბდა. ამისი ცოლი ძლიერ ცუდი თვალით უყურებდა ყველა მის ოინებს და ტყუილ-უბრალოდ ფულების ხარჯვასა, და ერთხელ გაჯავრებულმა, სრულიად მიულეწ-მოულეწა ყველა ამდენი შრომით გაკეთებული ყალიბები. მაგრამ არკრაიტი იყო დაჟინებული და შეგულიანებული ხასიათის კაცი, ცოლის ამ გვარმა მოქმედებამ ის საშინლად გააბრაზა, ველარ აიტანა და სამუდამოდ გაეყარა მას. ერთხელ თავის მოგზაურობაში არკრაიტმა გაიცნო ვინმე მესაათე კეი, რომელიც დაეხმარა მას სასთველი ოწინარის ზოგიერთი ნაწილების გაკეთებაში. ამის შემდეგ არკრაიტმა სრულიად მიანება თავი თმების ალებ-მიცემობის და ყველა თავისი ძალები მიმართა სასთველი ოწინარის დასრულებასა. ერთი ამ ოწინარის ყალიბი არკრაიტმა დადგა პრესტონის გიმნაზიაში. აქედამ არკრაიტი წავიდა ქალაქ ნოტინგამში (იგლისის საშუალო ნაწილშია), სადაც სთხოვა იქაურ ფულიან კაცებსა, რომ შეეწეოდნენ. ამ თხოვნის გამო ერთმა მდიდარმა სახელად რაიტმა გაბედა ასესხოს მას ფული იმ პირობით კი, რომ ამასაც მონაწილეობა ჰქონდეს მოგებაში. მაგრამ რადგანაც ოწინარი ისე სწრაფლად ვერ გაკეთდა, როგორც ეს რაიტს უნდოდა, ამიტომ ამან მოუკლო მას ფულის ძლევა, რომლის შემდეგ, არკრაიტმა სთხოვა ფული მეორე მდიდარსა სტრეტსა. სტრეტი იყო ნიჭიერი გამომგონი, მაგალითად იმან გამოიგონა წინდების საქსოვი ოწინარი. ის მაშინვე მიჰხვდა არკრაიტისაგან გა-

მოგონილი ოწინარის სარგებლობას და დაუყოვნებლივ გაუხდა მას ამხანაგად. მხოლოდ ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ ეღირსა არკრაიტს მოსვენება და თვისი დიდი ხნის ფიქრის შესრულება. 1769 წ. არკრაიტმა მიიღო მართებლობისაგან წყალობის წერილი (რომლითაც მრეწავი განთავისუფლებულია ხარჯების გარდახდისაგან.) ეს წელიწადი კიდევ იმით არის შესანიშნავი, რომ თვითონ უატმაც ამ წელს მიიღო წყალობის ქაღალდი თავის ორთქლის ოწინარზე. პირველი ბამბეული ქარხანა არკრაიტმა დაარსა ქ. ნოტინგამში,—სადაც ოწინარის მოქმედებაში მოსაყვანად ის ხმარობდა ცხენებსა. შემდეგ არკრაიტმა ააშენა გაცილებით უფრო დიდი ქარხანა კრომფორდში (ქალაქის ჩრდილო ინგლისში), სადაც ოწინარი მოქმედებდა თვლების და წყლის შემწეობით. მაინც ამ სასთველ ოწინარსა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა და ჯერ კიდევ ბევრს შრომას, გამჭრიახობას, გასწორებას და შევსებას თხოულობდა, ვიდრე იგი სრულიად მოგების წყაროდ გარდაიქცეოდა. რამოდენიმე წლის განმავალობაში ამ დაწყობილებას არავითარი საკეთილო ნაყოფი არ ეტყობოდა და ტყუილ-უბრალოდ საშინლად დიდ-ძალ ფულებს ჰყლაპავდა მაგრამ აქაც ხან-გრძლივმა და მძიმე შრომამა ყოველი დაჰძლიეს. როდესაც არკრაიტის მოქმედებას დაეტყო წარმატება, იქაურმა მექარხნეებმა, რომელთა ქარხნებში მუშაობა სრულდებოდა კაცის ხელით, მოინდომეს არკრაიტის წყალობის ქაღალდის გაუქმება. ეს ცოტაა ის აღვიარეს მუშა ხალხის მტრად, რის-გამო მუშებმა სრულიად დაუქციეს ქარხანა. ესეც ცოტაა: იქაურმა მცხოვრებმა გარდაწყვიტეს არა იყიდონ რა ამის ქარხნიდამ, თუმცა იმისი ნაწარმოებნი ყველაზე უკეთეს-

ნი იყვნენ. ვინც ამას წინად არკრაიტს ნისიად გააკეთებინეს სასთველი ოწინარები, იმათაც კი გარდასწყვიტეს: არკრაიტს ფულს ნუ მივცემთო. ესეც ცოტაა ყველა კეთილ-გონიერი კაცისათვის ის იყო ზარ-დასაცემი, რომ თვინონ მართებლობამ უკან წაართვა თვისგანვე მიცემული წყალობის წერილი. მაგრამ ამ მრავალ დამარცხების შემდეგაც არ დაეცა არკრაიტი და სასო-კვეთებას არ მიეცა; ამან მალე ააშენა ახალი ქარხნები სხვა შორეულ ადგილებში, სადაც იმისთანა მშვენიერ ნაწარმოებებს ამზადებდა, რომ მალე ხანში მოიპოვა ისეთი გავლენა ამ საქმეში. რომ ფასის დადება ამ სარეწავის ნაწარმოებებზე. ამაზე იყო დამოკიდებული თითქმის ყველა ქარხნების პატრონების საქმეებსაც არკრაიტი უხელმძღვანელებდა მარტოთ-მარტოკა.

არკრაიტი საკვირველი ენერგიის, ბეჯითობის და გულს-მოდგენი კაცი იყო, ანუ სხვანაირად ვსთქვათ: ის იყო სრული მუშა ის ყოველთვის საქმობდა დილის ოთხი საათიდამ მოკიდებული, ვიდრე საღამოს ცხრა საათამდე, ორმოც-და-ათი წლისა იყო, როდესაც მან დაიწყო ინგლისური გრამატიკის შესწავლა და ძალიან აც ცდილობდა სრულიად გავარჯიშებულიყო ამ ენაზე მართლ-წერაში. ყოველთვის გაჭენებული ეტლით დაიარებოდა, რომ დრო არ დამეკარგოსო. ერთი სიტყვით, არკრაიტმა თავისი დაუღალავი და გაუტეხელი მეცადინეობით დაუდვა საფუძველი სრულიად ახალ-გვარ სარეწაობას, რომელმაც გამოუთქმელი სიმდიდრე და ყოველ-მხრივი წარმატება აღმოუჩინა, როგორც კერძო პირებსა, აგრეთვე მთელ საინგლისო ხალხსა. არა ყველას გამომგონს, როგორიც მცოდნე უნდა იყოს იგი, შეგვიძლიან

უწოდოთ, წინამძღვრად სარეწაობაში, როგორც არკრაიტს. მრავალი გამოჩენილი პირი ამ გვარ საქმეში, მაინც უძლურ არსებად გამოჩნდა, რადგანაც ამ გვარი საქმე ითხოვს მრავალ შეუნაცვლებელ თვისებებსა: ნიჭსა—წესიერად მოაწყოს მრავალი მუშების შრომა; სიმარდესა და გონიერებასა მრავალი არ უწყებულ შემთხვევებში და დიდი გამოცდილება მაგალითად, უატს არ უყვარდა ყველა გვარ ხალხთან საქმის დაჭერა, მაშინ როდესაც, უამისოდ ძნელია რომელიმე ვრცელი საქმის წარმოება, განსაკუთრებით სარეწაობაში. ის თვითონვე ამბობდა, ათჯერ უფრო მირჩევნია გატენილი ზარბაზნის წინ დავსდგე ვიდრე საქმის წარმოების ანგარიში შევადგინო და აღვწერო, ანუ ვისთანმე ვაჭრობაში შევიდეო. ეჭვი არ არის, რომ ამ გვარი ხასიათის კაცი, წინ ვერ წაჰსწევდა თავის საქმეს, თუ მის და სანეტაროდ, სწორედ ამ დროს, ის არ შეჰყრიდა წარჩინებულს მატიუ ბულტონსა

ბულტონი სრულიად სხვა თვისების კაცი იყო, ვიდრე უატი. პირველი მოქმედება ბულტონისა, თითქმის სრულიად უჩინარი იყო: ის იყო ღილების მკეთებელი ქ. ბირმინგამში (ინგლისის საშუალო ნაწილშია) ის იყო საფუძვლიანი ჭკუა-გონების და მარდი მოსაზრების კაცი და ამიტომ დაუბრკოლებლივ შეეძლო უდიდესი საქმის მართვა. ის ძლიერ იშვიათად სტყუვდებოდა რომელიმე თავის დაწყებაში, რადგანაც ყოველი მისი საქმე მუდამ კარგა ღრმად იყო ხოლმე აწონილი და გამოანგარიშებული. ბულტონის ყოველივე მოქმედება და სხვებთან საქმის დაჭერა ყოველთვის სავსე იყო უანგარო სიმართლითა და პატიოსნებითა. თუმცა შემდეგში ბულტონმა დიდი სიმდიდრე

შეიძინა, მაგრამ ამ სიმდიდრეში მოტყუებით არც ერთი აბაზი არ იყო მოპოვებული: მთლად ეს სიმდიდრე იყო მის გამოცდილი, გონებითი და დაუღალავი მოქმედების სრული ნაყოფი. ერთად მოსაქმე კაცის თვისებებთან ბულტონი იყო შემკული მაღალ ხარისხოვანი სწავლითა და განათლებითა: ის მფარველობდა ხელოვნებას და ყურადღებით თვალს ადევნებდა მწერლობასა. მაგრამ იმისი სიცოცხლის უპირატესი სამზრუნველო ის იყო, რომ მთელს ინგლისში შამოეღო სმარებაში უატის ორთქლის ოწინარი, როგორც მუქთი სამუშაო ძალა და მიაღწია კიდეც ამ მიზანსა. ის იყო ნამდვილი მოთავე და წინამძღომელი სარეწაობაში. ამ გვარ მოქმედებას არა ჰყავთ მოშურნენი: პირიქით, მათზე ისმის ყოველი მხრიდამ ქება, მადლობა და კურთხევა. როდესაც ის გარდაიცვალა, ყველა იმისი მუშები მისდევდნენ იმის კუბოსა და მგონია ერთსაც ვერ იპოვნიდით მათში. რომ წმინდა გულით არ ჰტირნა ინგლისის ყველა გვარ დიდ სარეწაობაში, აგრეთვე მრავალი მაგალითებია იმ გვარი მოქმედებისა, რომელთაც წარმოუდგენელი სარგებლობა მოუტანეს იმ ადგილებსა, სადაც ისინი შრომობდნენ, მოქმედებდნენ და რომლითაც ძლიერ წინ წაჰსწიეს მთელი ხალხოსნობის კეთილ-მყოფელობა.

ეს აღწერა გამოჩენილთა პირებისა სრული არ იქმნება, თუ მათ შორის ჩვენ არ გავაცნობთ მკითხველსა რობერტ ფულტონსა (1767—1815 წ.), რომლის შრომამ და მოგონებამ მოუტანეს დაუსრულებელი სარგებლობა, არა მხოლოდ ამ კაცის სამშობლოსა, არამედ თვით მთელ ქვეყნიერებასაც. ამ ამერიკელმა გამოიგონა ორთქლით მცურავი ნავი (პაროხოდი),

რომელიც გახდა თითქმის ყოვლად-შემძლებელ იარაღად მთელ ქვეყნიერებაზე განათლების გავრცელებისა და ყველა ხალხების ქონების წარმატებისა.

ფულტონი დაიბადა 1767 წ. ჩრდილოეთ ამერიკის ერთ მხარეში, ძლიერ ღატაკი მშობლებისაგან. ამიტომ თქმა არ უნდა, რომ მან პატარაობაში თითქმის არავითარი სწავლა-განათლება არ მიიღო, უფრო იმიტომ, რომ მამა სიყმაწვილეშივე მოუკვდა.

როდესაც ფულტონი ცამეტის წლისა შეიქმნა, როგორღაც ისწავლა წერა-კითხვა და მიაბარა ერთს ჯავაირჩას (ძვირფასი თვლების გამსყიდველსა, ანუ მთლელსა); მაგრამ ამ ხელობამ ის ვერ მიიზიდა, ამის მაგიერ ფულტონმა ძლიერ შეიყვარა მხატვრობა და მეხანიკობა, რომლებსაც ის ახმარებდა თავის უკანასკნელ თავისუფალ დროსა, განსაკუთრებით მხატვრობასა. ამ უკანასკნელ ხელოვნებაში ფულტონმა ისეთი წარმატება დაინახა, რომ ხუთის წლის შემდეგ გახსნა საკუთარი სამხატვრო სახლი, სადაც მხოლოდ მხატვრობას მიჰყო ხელი. 1780 წ. ფულტონმა ერთი თავის მეგობრის რჩევით დაჰკრა ფეხი და წავიდა ლონდონში, ინგლისის გამოჩენილ მხატვართან უესტთან, რომელთანაც შვიდი წლის განმავლობაში ის ბეჯითად ვარჯიშობდა მხატვრობაში მაგრამ ამის შემდეგ კი მიატოვა მხატვრობა და ხელი მიჰყო მეხანიკას, რომლისადმი ის დიდი ხნია გრძნობდა თავისში სიყვარულსა და ნიჭსა. პირველად ფულტონმა შეისწავლა ეს საქმე ინგლისის დიდ ხელთ-საქმარ ქალაქებში და 1789 წ. გაუმეგობრდა ერთს თავის თანამემამულეს ამერიკელს. რემოზეისა, რომელიც ამ დროს

ცდილობდა იმ გვარი საშუალება გამოეგონა, რომ ხომალდები ორთქლის ძალით დაცურავდნენ ზღვაში, ფულტონი დიდის თანაგრძნობით და გულს-მოდგინებით მიუდგა თავის თანამემამულეს და წინადადება მისცა, შეუსწოროს და შეუვსოს ზოგიერთი ნაკლულევანებანი. მაგრამ ეს საერთო დაწყობილება ორთქლით მცურავი ხომალდის გამოგონებაში, რამდენიმე ხნობით შესდგა, რემზეის გარდაცვალებისა გამო, რადგანაც თვითონ ფულტონს იმდენი ფული არა ჰქონდა, რომ გაეგრძელებინა ეს დაწყობილება 1794 წ. ინგლისის მართებლობის წინადადებით ფულტონმა იკისრა რამდენიმე ახალი არხების გაყვანა საინგლისოში

ფულტონმა მიიღო რა ეს წინადადება, გამოიგონა ახალი საშუალებანი, წყლის ადგილად გაყვანისა, რომელნიც მან აღწერა ერთს პატარა წიგნში, თუმც ამ გამოგონვების სარგებლობა თვით საქმით იყო დამტკიცებული, მაგრამ მის მომგონს ამით, მაინც თითქმის არავითარი სარგებლობა არ მიეცა. ამის შემდეგ ის უკმაყოფილო დარჩა ინგლისზე და საფრანგეთის წინაშე, ამერიკელი ელჩის წინადადებით, გადვიდა პარიჟში, სადაც ცხარედ შეუდგა მეხანიკის, მატემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და უცხო ენების შესწავლასა. ამასთან დასწერა რამდენიმე თხზულებანი, რომელთა შორის, ყველაზე შესანიშნავია იმისი წერილები ვაჭრობის თავისუფლებაზე და სახალხო განათლებაზე; ფულტონი მუდამ კითხულობდა წიგნებსა, სწავლობდა, ეძებდა მეცნიერებთან გაცნობას და ერთი სიტყვით ყველა საშუალებას ხმარობდა, რათა შეივსოს ის თავისი ცოდნა და განათლება, რომელიც ამან ასე მცირედ მიიღო სიყმაწვილეში. აქ საფ-

რანგეთში ფულტონმა გამოიგონა წყალ-ქვეშ მცურავი ნავი, მტრის ხომალდების ასაფეთქებელი იარაღებით. ამ გამოგონების გამოსაცდელად ის მიიქცა თხოვნით საფრანგეთის ხელმწიფის ნაპოლეონ პირველისადმი (1769—1821), რომელმაც უბოძა მის საკმარისი ფული ამ ნავის გასამართავად. ეს ნავი მზად იყო 1801 წელსა. გამოსცადეს პარიჟში და კარგადაც გამოვიდა. გამოცდის დროს ნავი, რომელშიაც იჯდა თვითონ ფულტონი, მშვენიერად ინთქმოდა წყალში და თავს დიდის სიჩქარით კარგა მოშორებით ამოჰყოფდა ხოლმე. მეორედ გამოცდა ამ ნავისა ბრესტში (ქალაქია საფრანგეთში), უფრო შესანიშნავი იყო: ერთხელ ფულტონმა დაჰყო შიგ წყალში ოთხი საათი და თავი ამოჰყო ოცდა-ხუთმეტ ვერსზე იმ ადგილიდამ, სადაც ის პირველად ჩაყურყუმალავდა. მაგრამ, რადგანაც ეს ნავი არა ყოველთვის ასე მარჯვედ ასრულებდა თავის დანიშნულებას და ზოგჯერ მარცხი მოსდიოდა, და ამას გარდა, რადგანაც ფულტონი ხშირად სთხოვდა საფრანგეთის მართებლობას ფულით შემწეობასა, ამიტომ ნაპოლეონმა გული აიცრუა მის გამოგონებაზე და სრულ უარაფროდ დასტოვა იგი. ასე და ამ გვარად ფულტონს საქმეები ხელ-მეორედ დაეხლართა და აქაც მარცხი მიიღო. გაჯავრებულმა ინგლისზე და საფრანგეთზე, ფულტონმა განიძრახა წასვლა სამშობლო—ამერიკაში. ეს გადაწყვეტილება ძლივს-ძლიობით დაამშლევინა ამერიკის ელჩმა ლივინგსტონმა, რომელიც დაჰპირდა აღმოუჩინოს მას საშუალება, რათა სისრულეში მოიყვანოს თავისი ფიქრი და წადილი ორთქლით-მცურავ ხომალდზე.

ამის შემდეგ ფულტონი ბეჯითად შეუდგა თავის წინან-

დქლ ფიქრსა და ერთის წლის შემდეგ მოამზადა პატარა სპილენძის ორთქლით-მცურავი ნავი, რომელიც გამოსცადა პარიჟზე მომდინარე სენაში. გათამამებული ამ გამოცდით, დაუცხრომელმა მუშაკმა გააკეთა სხვა დიდი ორთქლით-მცურავი, რომლის გამარჯვებულ გამოცდაზე ის ამყარებდა სრულ თავის იმედსა, სამწუხაროდ, ახლაც მარცხი მოუვიდა: ღამით, სწორედ გამოცდის წინა დღეს, ხომალდი წყალში დაინთქა. ამის მიზეზი იყვნენ მრავალნი მტერნი და მოშურნენი ამ დაუვიწყარი მეხანიკოსისა, რომელსაც ძალა-უნებურად ხელ-ახლად მოუხდა ხომალდის გაკეთება. ფულტონი აქაც არ დაკარდა სულით და გულით, არ მიეცა სასოკვეთებას და, არა სასიხარულოდ თავისი მოშურნეებისა, ერთის წლის შემდეგ კიდევ გამართა ახალი ორთქლით-მცურავი ხომალდი, რომელიც 1803 წელში სრულიად კარგად დაიარებოდა სენაში, აუარებელ მაყურებელთა წინაშე. ამის შემდეგ ვინ არ დაიჯერებდა ამ გამოგონების სარგებლობასა და რომელი მართებლობა ხელს არ მოუწყობდა ამ შესანიშნავ და თავ-განწირულ მუშაკსა, მაგრამ, რადგანაც ნაპოლეონი იმ დროს გართული იყო ომებში, ამიტომ ვერ მოიცალა, საკმარისი ყურადღება ეთხოვა ამ გამოგონებისათვის. ფულტონს დარჩა ერთი საშუალება: ეცნობებინა თავის სამშობლოის მართებლობისათვის ეს თავისი გამოგონება და ასეც მოიქცა. იმან აცნობა თავის გამოგონებაზე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სამჯავრო კრებასა, რომელმაც განიხილა რა მისი წინადადება, წყალობის ქაღალდი მისცა გამომგონს და მის ერთგულ თანაშემწეს ლივინგსტონსა, ოცი წლის ვადით, რომლითაც ამერიკის მართებლობა ორთქლ-მავალი ნა-

ვებით ცურვის ნებას აძლევდა მათ, ყველა ამერიკის წყლებში იმ პირობით, რომ ყოველ ორ წელში ერთი ამ გვარი ხომალდი გაემართად. ლივინგსტონმა და ფულტონმა მაშინვე განაგარგულება მოახდინეს და შეუკვეთეს ინგლისის გამოჩენილ მეხანიკოსებს ბულტონს და უატსს საჭირო საორთქლე ოწინარების გაკეთება. ამ საქმისათვის თვითონ ფულტონი წავიდა ინგლისში და როდესაც გააკეთებინა ყველა საჭირო ნაწილები თავისი მომავალი ორთქლით-მცურავი ხომალდისა, 1906 წელს გამოემგზავრება ამერიკის ქ. ნიუორკში.

აქ სამშობლოში ამერიკის მართებლობამ აღმოუჩინა ფულტონს ყოველ-გვარი შემწეობა და იგი ახალი ენერგიით შეუდგა თავისი საყვარელი ორთქლით-მცურავი ხომალდის გამართვასა. მუშაობა ძლიერ წარმატებით მიდიოდა და 11 მარიამობის თვეს 1807 წ., ამერიკაში პირველად ჩაშვებულ იქმნა წყალში ორთქლით-მცურავი ხომალდი, მაგრამ აქაც ფულტონს დაუხვდა არა ერთის დაბრკოლების დაძლევა. მართალია, მართებლობამ აღმოუჩინა მას ყოველი საშუალება და თანაგრძნობა, მაგრამ ამერიკელებისთანა ხალხში ეს ცოტაა; იქ საჭიროა, რომ თვით ხალხმა კარგათ მიიღოს ახალი რამ დაწყობა. თორემ ფუჭად ჩაივლის ყოველი მეცადინეობა, როგორც კერძო პირისა, აგრეთვე მართებლობისა. აი ამ მხრით აღმოუჩნდა ფულტონს დაბრკოლება: პირველად ასე უიმედოთ იყვნენ ამერიკელები ფულტონის გამოგონების გამოყენებაზე, რომ არც ერთი ფულიანი კაცი არ მიუდგა ამხანაგად, როდესაც მას შემოაკლდა მართებლობისაგან მოცემული ფული. ფულტონის პირველ ორთქლის-საცურავს ხალხმა უწოდა სახელი: «ფულტონის სიგიჟე»,

ფულტონმა კარგად იცოდა, რომ ამ საქმის კეთილი ბოლო დამოკიდებულია იმ პირველ ცდაზე, რომელიც, როგორც ზემოთ ვსთქვით, უნდა მომხდარიყო 1807 წლის თერთმეტ მარიამობის თვესა, აუარებელი ხალხის წინაშე. წყლის კიდეზე მდგომი ხალხი წინათვე დაჯერებული იყო, რომ ფულტონს მარცხი მოუვა და ამიტომ და ამიტომ დასაბამშივე დაუხვდა მას ხარხარით და დაცინვით, მაგრამ ეს ხარხარი და დაცინვა მალე გარდაიქცა გამარჯვებულ და აღტაცებულ ძახილად, რომესაც ყველამ საკუთარის თვალით იხილა ჩქარი, მარდი და თანასწორი ცურვა ხომალდისა. რამდენიმე დღის შემდეგ ფულტონმა და ლივინგსტონმა საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ისინი იწყობენ მუდმივ მისვლა-მოსვლის თავისი ორთქლის ხომალდით, ნიუორკიდამ ქალაქ ალბანამდე (ამერიკაშია). მაგრამ მსურველი ამ მოგზაურობისა არავინ გამოჩნდა: ასე საშინლად იყო გამჯდარი დაუნდობლობა ამისთანა ყოჩაღ ხალხში, როგორც ამერიკელები არიან, თუმცა ეს საკვირველი ოწინარი, ამ რამდენიმე დღის წინად და ყველას წინაშე მშვენიერად და მარდათ დაცურავდა. ფულტონი მაინც ნიუორკიდამ მარტოთ მარტო გაემგზავრა და მშვიდობიანათ ჩავიდა ალბანში. აქედამაც არც ერთი მოგზაური არ აღმოჩნდა ერთის გარდა, რომელმაც გაბედა ამ ორთქლ-მცურავი ნავით მოვიდეს ნიუიორკში. ეს იყო პირველი მაგალითი, მოგზაურით ნავის მოარულეობისა, რომელმაც არსებაში მოიყვანა ამ გმირი და დაუღალავი მუშაკის დიდი ხნის დარდები. დასაბამში დადებული იყო და გაგრძელება უფრო ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენდა. ამერიკის ხალხმა მალე დაინახა ის აუარებელი სარგებლობა, რომელიც ამ გამოგონვას

შეეძლო მოეტანა მათი ქვეყნისათვის და მართლაც, რამოდენიმე წლის შემდეგ, ამ გვარი ორთქლით-მცურავი ნავები თითქმის ამერიკის ყველა უმთავრეს მდინარეებში დადიოდნენ. ასე და ამ გვარად ამ განათლების და უადვილესი იარაღის გამოგონვა, რომელიც უკუაგდო ევროპამ, სრულიად ეკუთვნის ახალ ქვეყანას—ამერიკას. სიკვდილის წინ ფულტონი შეუდგა დიდი ორთქლ-მცურავის კეთებას სამხედრო დანიშნულებისათვის, რომელსაც წინათვე დაარქვეს გამკეთებლის სახელი: „ფულტონი“. ამ ორთქლ-მცურავის კეთება დაიწყეს 1814 წ., მაგრამ დიდ ზამთარში [illegible] გუდზონის ყურეში (ჩრდილო ოკეანის ნაწილის)- სადაც თვით ფულტონიც ძლიერ გაციებულიყო და 1815 წლის დაწყებაში გარდაიცვალა, ასე რომ ხომალდი დაასრულეს მხოლოდ ამის სიკვდილის შემდეგ. გასაკვირველ ეს არის, რომ ეს გმირი გარდაიცვალა თითქმის სრულ სიღატაკეში. მაგრამ იმისმა სიკვდილმა ყველას გვაჩვენა, თუ რა თანაგრძნობა და პატივის ცემა ჰქონდა მოგებული, ამ გარეგნობით პატარა კაცსა. ამისი სიკვდილი და მთელი ნიუიორკის გლოვა ერთი იყო; ეს საერთო გლოვა ფულტონმა მოიპოვა არა რომელიმე უმაღლესი თანამდებობის შესრულებით, ანუ სხვა რომელიმე დამსახურებით, არამედ და მხოლოდ მძიმე შრომით, ენერგიით, საქმის ბოლომდე გატანით, ყველა დაბრკოლებათა დაძლევით და სხვა. ფულტონი წარმოგვიდგენს უპირველეს და უდიდეს მიბაძვის მაგალითს თვით მოქმედებაში. ამერიკის კონგრესმა დაუნიშნა მის სახლობას დიდი პენსია.

ფულტონის შემდეგ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ინგლისის წარჩინებული და რკინის გზის გამომგონი, გიორგი

სტეფენსონი, რომლის გამოგონებამაც ამდენი ცვლილება მოახდინა ქვეყანაზე. იგი დაიბადა 1781 წელსა, ჩრდილო ინგლისში, ქალაქ ნიუკესტლის ახლო. მამა მისი იყო ერთი საწყალი მუშა ქვა-ნახშირის მადნის სათხრეში. გიორგის მშობლები, თუმცა გარდამეტებით პატიოსანი ხალხი იყო, მაგრამ ძალიან ღარიბნი, ასე რომ ვერ შეიძლეს მიეცათ თავისი ექვსი შვილისათვის ვერა-გვარი სწავლა; იმდენი საშუალებაც არა ჰქონდათ, რომ სასოფლო სკოლაში მიებარებინათ ისინი. დიდი სისაწყლის გამო, ყველა ბავშვებს პატარაობიდგანვე უნდა ბევრი ემუშავნათ, რომ ამით ხელი მოემართად საწყალი მამისათვის ლუკმა პურის შოვნაში. ასე, გიორგი პატარაობითვე ხედავდა შრომასა და დამზოგველობას და თვითონაც შეითვისა ეს თვისებანი. ის ჯერ შვიდი წლისა იყო, რომ აძოვებდა სხვის ძროხას ექვს კაპიკათ დღეში. როცა გიორგი ცოტათი მოიზარდა, მაშინ ის შევიდა მუშად იმავე მადნის სათხრელში, სადაც იმისი მამა მუშაობდა, აქ ის არჩევდა ქვა-ნახშირსა და შემდეგ ეზიდებოდა დანიშნულ ალაგამდე. როდესაც გიორგი შესრულდა თოთხმეტის წლისა, მაშინ ის დანიშნეს მეორე თანაშემწეთ თვისი მამისა; ცხრამეტ წლოვანებაში კი დააყენეს უფროს ზედამხედველად წყლის საქანებელი ორწინარისა: ეს საქმე თხოულობდა დიდ გამოცდილებას და სიფრთხილეს, მაგრამ გიორგი ყოველის უსაყვედუროდ მოქმედებდა. ის თავის გამოუცდელობას იმით ჰფარავდა, რომ ყოველ საქმეს გარდამეტებით მეცადინეობით ასრულებდა. არა თუ სამუშაო დღეებში, არამედ თვით თავისუფალ საათებში და საუფლო დღეებშიაც. ის სწავლობდა ორწინარების შემადგენელ ყველა ნაწილებსა, ცდილობ-

და ეპოვა მათში ნაკლულევანებანი და ამის შემდეგ ასე თუ ისე გაესწორებინა ეს ნაკლულევანებანი. თუმცა გიორგიმ წერა-კითხვა სრულიად არ იცოდა, მაგრამ ის მაინც ძალიანა გრძნობდა განათლების სარგებლობასა და მუდამ იზოგავდა რამოდენიმე ფულსა ამ საგნისათვის. ერთხელ მან გაიგონა, რომ გაზეთებში სწერენო უატისა და ბულტონისაგან გამოგონილ საორთქლე ოწინარებზე და მაშინვე გარდასწყვიტა ისწავლოს კითხვა, რის გამო დაუყოვნებლივ იწყო სიარული ერთ ახლო სასწავლებელში; აქედამ მეორე წელს ის გადვიდა სხვა სასწავლებელში, სადაც წერა-კითხვის გარდა, დიდი ნიჭი გამოიჩინა არითმეტიკის შესწავლაში. რადგანაც ის ფული, რომელსაც გიორგი მადნის სათხრელში იღებდა, არ ჰყოფნიდა, ამიტომ მან ისწავლა კიდევ ერთი ხელობა ფეხ-საცმლის დაკერება, რომლიდამაც მას კარგა ფული შემოსდიოდა. ცოლის შერთვის შემდეგ, სტეფენსონი უფრო მეტს მუშაობდა: ახლა თვითონვე ჰკერავდა წაღებსა და ტანისამოსსა და ერთხელ, როდესაც საათი მოეშალა, თვითონ შეუდგა მის განახლებას, რომლის შედეგი ის იყო, რომ საათების განახლებაც ისწავლა; ესეც იმიტომ ისწავლა, რომ მუდამ ფული არ აძლიოს მესაათეს. ერთი სიტყვით, თითქმის მთელ დღე-ღამეებს შრომაში ატარებდა, რომ მეტი ფული მოეგროვებინა თავისი შვილის აღზრდისათვის და განათლებისათვის. ამ დროს ერთმა უბრალო შემთხვევამ ყველას ცხადათ დაანახვა სტეფენსონის ცოდნა და ნიჭი. ერთს მადნის სათხრელში ამოთხარეს ღრმა ჭა, რომლიდამაც წყლის ამოსაღებად იყიდეს ახალი წყლის საქაჩებელი, მაგრამ, რომელიც, ჭაში ჩაყენების შემდეგ, ვერა გზით ვერ მოიყვანეს მო-

ქმედებაში. სტეფენსონმა თავი გამოიდო და უთხრა მათ: ამე გავასწორებ მაგ ოწინარსა და მოქმედებაშიაც მოვიყვანო. რადგანაც სხვა გზა და შველა არსაიდამ იყო, პატრონებმა მიიღეს ამისი წინადადება. გიორგიმ დაშალა ეს ოწინარი, გაასწორა, შემდეგ ხელმეორედ შეკრა, ჩააყენა ისევ ჭაში და ამ გვარად, შვიდი დღის შემდეგ ოწინარი მოქმედებაში მოიყვანა. ამ შემთხვევისა გამო სტეფენსონმა მალე მიიღო კარგი ადგილი და დაინიშნა ამ მადნის ინჟინერად * (ციხეების, გზების, ხიდების, ხომალდების და სხვა ამ გვარების მცოდნე). ახლა კი სტეფენსონს შეეძლო მეტი დრო მოეხმარებინა სამეცნიერო საგნების შესწავლისათვის. ამისი შვილი სწავლობდა უნივერსიტეტში (უმაღლესი სასწავლებელის), საიდამაც იგი უგზავნიდა მამას სხვა-და-სხვა საქიმიკო და სამეხანიკო წიგნებსა და მოცლილ დროს ერთათაც სწავლობდნენ.

როდესაც სტეფენსონი იყო მადნის უბრალო მთხრელად ის ხშირად ფიქრობდა, მოიხმაროს ორთქლის ოწინარი რკინის გზისათვის. ამ დროს ინგლისში, ძლიერ ბევრნი იყვნენ იმ გვარი პირნი, რომელნიც სხვა-და-სხვა საშუალებებს ეძებდნენ, რომ რითიმე შენაცვლონ (მაგიერი ჰყონ) ცხენები, რომ უფრო იაფად და მარდათ გარდაიტან-გარდმოიტანონ ქვა-ნახშირი მადნებიდამ ქარხნებამდის. მოიგონეს თუჯის და ხის რელსები (მომცრო თუჯის სარიხეთი, თვლებს ქვეშ გასადებად რკინის გზაზე), რომ გაუადვილონ ცხენებს ურმის ზიდვა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ, სტეფენსონიც შეუდგა თავის განძრახულებების სისრულეში მოყვანას. გამოიკვლია ყოველი, რაც ამის შესახებ გაკეთებულიყო წინ და დასასრულად მხო-

ლოდ რამდენიმე მუშის შემწეობით გააკეთა პირველი ორთქლით-მატარებელი 1814 წელსა. გამოცდა ამ ორთქლ-მატარებლისა სრული გამარჯვება იყო. მაგრამ ეს პირველი ოწინარი დადიოდა ცხენზე არა უმალ და ვერც ბევრს ბარგს ეზიდებოდა; ამასთან ორთქლი გამოდიოდა საშინელი შხუილ-სუილით. ამ პირველი გამოცდილებით, სტეფენსონმა კარგად დაინახა ყოველი ნაკლულევანება თავისი პირველი ოწინარისა და ამიტომ შეუდგა ახლის გაკეთებას, რომლის გამოცდა უფრო უკეთესი სანახავი იყო: მაგრამ ჯერ-ჯერობით დიდ-ყურადღებას, მაინც, არა ვინ აქცევდა მის გამოგონებას. 1823 წელსა, სტეფენსონმა გამოსთხოვა მართებლობას ნება, გაიყვანოს რკინის გზა დარლინგსტონიდამ ვიდრე სტოკტონამდე (ქალაქების ჩრდილო-ინგლისში)- რომელიც მართლაც მალე სისრულეში მოიყვანა. ამის შემდეგ სტეფენსონს სთხოვეს გაეყვანა რკინის გზა ლივერპულიდამ მანჩესტერამდე (უპირველესი ქალაქების ჩრდილო-ინგლისში), ეს თხოვნაც მან კარგად შეასრულა.

1829 წელსა დანიშნული იყო, სიჩქარეში გამოცდა, რამდენიმე ორთქლ-მატარებლისა. სტეფენსონი ერთად შვილთან დაუძინებლად ქმნიდა ყველა გვარ საშუალებას, რათა მოემატებინა თავისი მატარებლისათვის სიჩქარე. ამათ მოახერხეს გაკეთება სხვებზე უფრო ადრე და გამოცდაში ყველა სხვა ამ გვარ მატარებლებს აჯობეს სირბილში (სტეფენსონების მატარებელი ერთს საათში გარბოდა სამოც ვერსამდე). ამიტომ დანიშნული ჯილდო ამათ მიიღეს, ე. ი. შვილმა და მამამ. შემდეგში მრავალი წლების განმავალობაში, როდესაც ყველამ დაინახა რკინის გზის სარგებლობა. სტეფენსონი ხან თვითონ მუშაობდა

და მართავდა ყველგან რკინის გზებსა და ხან მხოლოდ შვე-ლოდა ყველას დარიგებით და ხელმძღვანელობით. მოხუცება-შიაც არ ასვენებდნენ მას და ყოველი მხრიდამ სთხოვდნენ და-რიგებას და საქმის ჩვენებას. მაგალითად, იგი ორჯელ გაიწვიეს ბელგიაში. რკინის გზების დასათვალიერებლად და გასასწო-რებლად.

გიორგის სტეფენსონის წარმატებითი მოქმედების უპირ-ველესნი მიზეზნი იყვნენ თვითონ იმისი თვისებანი, რომელ-თაც იგი ასე კარგათ ხმარობდა; ეს თვისებანი იყვნენ: რიგ-ზედ საქმის გაკეთება და მუდმივი მოქმედება. სტეფენსონს კარგად ესმოდა ინგლისური ანდაზის მნიშვნელობა,—«დრო ფულია» და ამიტომ დაუღალავი იყო შრომაში. ხშირად იგი მთელ ღამეებს მოგზაურობაში ატარებდა საქმეების დასახედა-ვად და დილით კი, ყოველ საქმეს ასე ეკიდებოდა, მითომ მთელი ღამე მაგარ ძილში გაატარაო. სტეფენსონი არას დროს არ იყო ანგარი კაცი და არც ერთი რკინის გზის გაყვანაში მონაწილეობა არ მიუღია სიმდიდრის შესაძენად. თავისი კეთი-ლი გულით და პატიოსნებით, მან დიდი სიყვარული დაიმსა-ხურა ყველასი, ვინც იცნობდა იმას. უკანასკნელნი ჟამნი თავი-სი სიცოცხლისა, სტეფენსონმა გაატარა მშვიდათ სოფლურ ცხოვრებაში, სადაც ყველა გაჭირვებულს ასე შველოდა და უვ-ლიდა, როგორც ნამდვილ შვილსა. იგი გარდაიცვალა 1848 წ., სამოცდა შვიდი წლის კაცად.

БУКИНИСТИЧЕСКИЙ
Магазин № 22
„[illegible]"
Индекс № 1926[illegible]
Цена 15

17
6 60